C M Y K

# საერთო გაზეთი

№21 (205) ● 2-8.V.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## saakaSvili ukve aravis endoba da piradi dacvis mTlianad Secvlas apirebs?



## ლუკა კურტანიძე:

**26 maisi aris protestis da ara zeimis dRe. es aris ubedurebis dRe, romelic 2011 wlis 26 maiss qarTvelebma sakuTar tyavze gamoscades**



ISSN 2233-3983

9 772233 398001

ვერ გამიგია, რატომ უნდა მებრძოლო მე, როდესაც შენს გამო სიცოცხლეს ვწირავ?!



## ვინ დაგეგმა საქართველოს პარლამენტში და პარლამენტის წინ სომხურ-აზერბაიჯანული „რაზბორკები“ ანუ არნოლძიკ, აი, ტყა! სუსკაც ელი...

## ratom dadian parlamentarebi parlamentSi vazeliniT?

## 77 adamianis mkvlel breiviks 21 weli elodeba, sami qaTmis da erTi goWis mompárav mixos 24 weli!





## avRaneTis sasaklao da yayaCos rZeSi amovlebuli TeTri sikvdili



# თამაზ თამაზაშვილი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი იქნება



კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი უკანონო პატიმრობაში მყოფ თამაზ თამაზაშვილის დღევანდელ სასამართლო პროცესს გამოეხმაურა და მედიის წარმომადგენლებს მისი დაკავების მიზეზი შეახსენა. თამაზ თამაზაშვილი ფონდ „ქართუს“ ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამად პარტიის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრია და მისი პატიმრობაც სწორედ სიძის საქმიანობას უკავშირდება. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ბანკი „ქართუს“ პრეზიდენტმა გიგა ჩრდილელმა ირაკლი ღარიბაშვილს 2011 წლის 6 ოქტომბერს სამსახურის შეცვლის სანაცვლოდ სიმამრის ციხიდან გათავისუფლება შესთავაზა, რაზეც ირაკლი ღარიბაშვილმა და თავად თამაზ თამაზაშვილმაც უარი განაცხადეს. “მან საკუთარი თავისუფლება ანაცვალა იმ საქმეს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და როცა ირაკლი ღარიბაშვილმა ოჯახში დააყენა საკითხი, რომ ის სიმამრის თავისუფლების სანაცვლოდ მზად იყო გადამდგარიყო თანამდებობიდან, ამაზე უარი თავად თამაზაშვილმა განაცხადა. თამაზაშვილი იქნება ჩვენი პარტიის წევრი და როცა ხელისუფლებაში მოვალთ, ის დაიკავებს შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთ მთავარ პოსტს, მას ამის გამოცდილება აქვს”, - აღნიშნა ივანიშვილმა.

# კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

1 მაისს მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაში ეს დღე კომუნისტურ რეჟიმთან იყო ასოცირებული და წარსულის ინერციით ბევრი ახლაც ასე თვლის. არადა, 1 მაისი არის არა საბჭოთა, არამედ საერთაშორისო დღესასწაული, მშრომელთა დაფასების და მათი უფლებების პატივისცემის დღე, რომელიც აღინიშნება 80-ზე მეტ სახელმწიფოში - გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში.

ვულოცავთ ამ დღეს საქართველოს ყველა მშრომელს, მიუხედავად მათი საქმიანობისა, ეთნიკური, სარწმუნოებრივი და სოციალური წარმომავლობისა, და გამოვხატავთ პატივისცემას მათ მიმართ!



ვულოცავთ ასევე ასობით ათას უმუშევარს, რომლებიც დღემდე ცდილობენ იპოვონ სამუშაო!

ვულოცავთ ყველა დარგის პროფესიულ კავშირებში გაწევრიანებულ ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან მშრომელთა უფლებებისთვის!

შრომის დაფასება ადამიანის დაფასება და პატივისცემაა. სამწუხაროდ, საქართველოში შრომა და მშრომელი არათუ არ არის დაფასებული, პირიქით, მოქმედი შრომის კოდექსით დასაქმებულს, პრაქტიკულად, არანაირი უფლებები არ გააჩნია და მისი ბედი მთლიანად დამსაქმებლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

კოალიცია „ქართული ოცნების“ დეკლარაციაში მკაფიოდ არის გამოხატული ჩვენი მიზანი - ინტეგრაცია ევროპის დიდ ოჯახში. ამ მიზანს კი, საქართველო მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც ქვეყნის კანონმდებლობაში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად აისახება მშრომელთა უფლებების გარანტიები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოალიცია აცხადებს: ჩვენ ძირეულად შევცვლით ხელისუფლების დამოკიდებულებას საქართველოს მოქალაქეთა მიმართ, ჩვენ შევცვლით არსებულ, დისკრიმინაციულ „შრომის კოდექსს“ და ბოლოს მოვუღებთ ადამიანთა დისკრიმინაციას, ექსპლუატაციასა და უუფლებობას.

არც სახელმწიფოს და არც დამქირავებელს არ ექნებათ უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სამსახურიდან გაათავისუფლონ ადამიანები. მკაფიოდ განისაზღვრება სამუშაო საათების დაშვებული ზღვარი. დეკრეტული შვებულება კი იქნება გარანტირებული და ანაზღაურებადი. კოალიცია ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების საქმიანობას მშრომელთა უფლებების დასაცავად.

ჩვენ მოვდივართ, რათა შევცვალოთ არა მარტო ხელისუფლება, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკა და მიდგომა ხალხის მიმართ.

ხალხი კი არ უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლებას, არამედ ხელისუფლება უნდა იყოს ხალხის მსახური და მათი უფლებების გარანტი.

# დალი ფანჯიკიძე - 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მთარგმნელი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დალი ფანჯიკიძე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ქალბატონო დალი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ, დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთ უბრწყინვალეს და უპირობო ლიდერს, თარგმანის უსერიოზულეს თეორეტიკოსს, ჩინებულ საზოგადო მოღვაწეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 75 წლისთავს.

შეიძლება ხმამაღლა გაცხადდეს, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობას თქვენი სახით ჰყავს გერმანულენოვანი მწერლობის ლიტერატურული შედევრების სწორუპოვარი მთარგმნელი, რომელიც მართლაც რომ ანებივრებს უაღრესად გემოვნებიან და მომთხოვნ ქართველ მკითხველს პირველხარისხოვანი თარგმანებით.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გრძელდება თქვენი უაღრესად მნიშვნელოვანი და ტევადი მოღვაწეობა. 1960 წელს ჟურნალ „დროშაში“ გამოაქვეყნეთ ჰაინრიხ ბიოლის „ლოენგრინის სიკვდილის“ თქვენეული თარგმანი და მას შემდეგ თქვენი ლიტერატურული თუ მეცნიერული ტექსტები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის წვლილი, რომელიც თქვენ დასდეთ მეოცე საუკუნის გენიალური გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის თომას მანის შემოქმედების ქართულად ამეტყველებას. უნდა ითქვას, რომ თქვენ პიონერი ბრძანდებით ამ საშვილიშვილო საქმეში. მართლაც რომ დიდებულად თარგმნეთ „ბუდენბროკები“, „ჯადოსნური მთა“, „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“ და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურეთ ქართული ენის ძალმოსილება, რომელსაც დიახაც რომ ხელეწიფება ნებისმიერი ურთულესი ნაწარმოების ქართულ კალაპოტში მოქცევა ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას ორიგინალის სიღრმე და სურნელება... თქვენ ჩასწვდით თომას მანის ურთულეს სულიერ სამყაროს, მის განწყობილებებს, რიტმიკას, სახეთა სისტემას, ავტორისეული ენისა და პერსონაჟთა ენობრივი პორტრეტების ძირითად სტილურ ნიშნებს.



კვლავაც გავიმეორებთ, რომ კონცეპტუალური მთარგმნელი ბრძანდებით და თქვენს შემოქმედებაში ძალიან გაჭირდება შემთხვევითი ავტორებისა თუ ნაწარმოებების თარგმანების ხილვა. მაქს ფრიშის „ჰომო ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტებაინი“, ულრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“, ჰერმან ჰესეს „ფიქრი და განსჯა“ (ესეები), რაინერ მარია რილკეს წერილები, ფელიქს ბრაუნის „ფილოსოფიური ლირიკა“, ბარბარა ნოიბერტის „მოგონებათა ქალაქი“, ალფრედ დიობლინის, იორგ ფედერშპილის, ჰუგოს რასის მოთხრობები, სიბილე ბერგის რომანი „ნორას შია“, ინგებორგ ბახმანის მოთხრობები და ლექსები – ყველა ამ ნაწარმოების ქართულ თარგმანს თქვენი დალოცვილი მადლიანი ხელი ატყვია, თქვენი მწერლური ნიჭიერების კვალი ამჩნევია. გვაოცებს რა ზუსტად აღიქვამთ ორიგინალის ყველა თავისებურებას, მათში არსებულ უნატიფეს ნიუანსთა ერთობლიობას...

ფართო საზოგადოებრიობა გიცნობთ, როგორც უაღრესად ნაყოფიერ მეცნიერს, რომელიც ათწლეულებია გატაცებით იკვლევს მხატვრული თარგმანის თეორიის ურთულეს პრობლემებს. 1970 წელს გამოკვლევისათვის „გერმანული და ქართული ენების შეპირისპირებითი სტილისტიკის საკითხები და მხატვრული თარგმანის პრობლემა“ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მოგენიჭათ, ხოლო 1994 წელს ნაშრომისთვის „სტილის ეკვივალენტობის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური პრობლემები“ – დოქტორისა. თქვენი კოლეგების აღიარებით სარგებლობს ისეთი მონოგრაფიები, როგორიცაა „თარგმანის თეორია და პრაქტიკა„, „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ექვივალენტობის პრობლემა“, „ენა, თარგმანი, მკითხველი“, ლიტერატურული წერილების კრებული, ცალკეული გამოკვლევები ქართული ენის სიწმინდის პრობლემებზე. თქვენს ესეებში თომას მანზე, ჰერმან ჰესეზე, მაქს ფრიშზე თვალნათლივ გამოჩნდა თქვენი, როგორც მკვლევარის, დახვეწილი გემოვნება და ტაქტი, ერუდიცია და ფართო თვალსაწიერი.

სრული პროფესორი ბრძანდებით და ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივესიტეტში, სადაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით გერმანული ენის კათედრას. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, ალმანახ „საუნჯის“ სარედაქციო კოლეგიის გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს ფილიალის გამგეობის, მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის ბიუროს წევრად.

გარჯა და რუდუნება სათანადოდ დაგიფასდათ. დაჯილდოებული ხართ თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ორდენით – ღირსების ორდენით. მონიჭებული გაქვთ ნებისმიერი მთარგმნელისთვის დიდი და სანუკვარი პრემია – ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია...

ქალბატონო დალი!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს დიდებულ მწერალს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ratom dadian parlamentarebi parlamentSi vazeliniT?



ღმერთო კი მომკალი, რად უნდოდა, კაცო, აზერ სულეიმანოვს ვაზელინი ქართულ პარლამენტში?

საუბარია იმ ვაზელინზე, რომელიც აზერმა ჯიბიდან დააძრო და ჯონდი „ბაღათურიანს“ ესროლა.

აუცილებლად გამოსაძიებელი და გამოსარკვევია ეს ამბავი!

ჩემი აზრით, სასწრაფოდ უნდა შეიქმნას დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის და გამოიძიებს, თუ რატომ ატარებდა აზერ სულეიმანოვი ვაზელინს და გარდა იმ ერთი კონკრეტული შემთხვევისა, სხვა დროს და სხვა სიტუაციაში როგორ და რისთვის იყენებდა ამ საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის ნივთიერებას, თანაც სად — ისეთ დაწესებულებაში, როგორიც საქართველოს პარლამენტია.

თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სულეიმანოვი მუდმივად თან ატარებდა ვაზელინს და „ბაღათურიანს“ ესროლა ის, რაც თან ჰქონდა.

გამორიცხულია, სულეიმანოვს წინასწარ ცოდნოდა, თუ რას იტყოდა „ბაღათურიანი“ სხდომაზე და სპეციალურად ამ შემთხვევისთვის წამოეღო ეს ავადსახსენებელი ვაზელინი იმ დღეს.

უკვე დადგენილია, რომ ვაზელინი პარლამენტის აფთიაქში დიდი ხანია არ იყიდება, რაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გაბრაზებული სულეიმანოვი სხდომის დარბაზიდან აფთიაქში გავარდნილიყო, სასწრაფოდ ეყიდა ვაზელინი და „ბაღათურიანისთვის“ პირდაპირ, დამიზნებით ესროლა.




ნამდვილად ეროვნული ღირსების საკითხია იმის დადგენა, თუ რატომ დადიან პარლამენტარები პარლამენტში ვაზელინით და რისთვის და რა დანიშნულებით იყენებენ ამას პარლამენტის წმიდათაწმინდა შენობაში?

ვაზელინი, რომელიც, სრულიად სამართლიანად, საჩოთირო და სათაკილო სექსუალური ურთიერთობის ნიუანსებთან ასოცირდება და რომელიც ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში ბევრ სკანდალურ მოგონებასთან არის დაკავშირებული, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოცხადდეს ყოვლად მიუღებელ, ანტისახელმწიფოებრივ ნივთიერებად და მისი ტარება და გამოყენება ერთხელ და სამუდამოდ ოფიციალურად უნდა აიკრძალოს.

დროებითი საპარლამენტო კომისია, იმედია, ობიექტურად გამოიძიებს მომხდარს და ქართველ საზოგადოებას ზუსტ ინფორმაციას მიაწვდის იმის შესახებ, თუ რისთვის და რა მიზნით ატარებდა აზერ სულეიმანოვი ამ საშიშ და სახიფათო „იარაღს“?

# enurezistebi



ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო, ნათქვამია.

ერთი თხილის გული მართლაც შეიძლება ცხრა ძმამ გაიყოს, მაგრამ როგორ გაიყოფს 150 საპარლამენტო ადგილს ამდენი პოლიტიკური ორგანიზაცია და ამდენი პოლიტიკოსი, საკითხავი და თავსამტვრევი, აი, ეს არის!

250 ადგილს ვერ იყოფდნენ და ახლა 150 ადგილს გაიყოფენ ძმურად და მეგობრულად?

საქართველოა, ძმაო, ეს, სადაც ყველას პარლამენტარობა და მთავრობის წევრობა უნდა. ჩვენ კიდევ პარლამენტართა რაოდენობა შევამცირეთ, რამაც, შეიძლება, დიდ ეროვნულ უბედურებას გადაგვყაროს.

მე თუ მკითხავთ, საქართველოში პარლამენტი და მსგავსი რაღაც ორგანიზაციები საერთოდ არ არის საჭირო.

დემოკრატიაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს.

რა დემოკრატია, რის დემოკრატია — ერი კერპის გარეშე ვერ ძლებს!

ხომ ხედავთ, რა ამბები ხდება ხალხში მიშა რომ გამოჩნდება?

ასეთ ქვეყანას ან დემოკრატია რად უნდა, ან პარლამენტი?

ერთი კერპი რომ მობეზრდება, მეორეთი ჩაუნაცვლე, ისიც რომ მოყირჭდება, მესამე კერპი გამოუჩორკნე და იქნება ბედნიერად.

ამბობენ, ჰიტლერი იმდენად დიდ ზემოქმედებას ახდენდა აუდიტორიაზე, რომ მსმენელებს ენურეზი (შარდის შეუკავებლობა) ემართებოდათ.

რა ემართებათ ნეტავ, ჩვენს ქართველ მიშისტებს, როცა ბელადს ხელით ეხებიან, ან ბედნიერებისგან გულშეღონებულნი ფეხებში უცვივდებიან?

რა ემართებათ და ალბათ, იგივე, რაც ფიურერის თაყვანისმცემლებს, შეიძლება ცოტა მეტიც...

ჰოდა, არ არის საჭირო ამ დემოკრატიის და პარლამენტარობანას თამაში, გითხარით მე თქვენ და დამიჯერეთ.




თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# qarTuli marTlmsajulebis koSmari

**ანდერს ბრეივიკს, რომელმაც 77 ადამიანი მოკლა, შეიძლება, სასჯელის უმაღლესი ზომა 21 წელი მიუსაჯონ, სამაგიეროდ, ჩვენს თანამემამულე მიხოს რომელსაც ადამიანი კი არა ქათამი არასოდეს დაუკლავს, 24 წელი აქვს მისჯილი.**

მართალია, მიხოს ქათამიც არ დაუკლავს, სამაგიეროდ, ქათმები მოიპარა, მანამდე კი, როგორც გამოძიებით დადგინდა, მოიპარა გოჭი, უფრო ადრე კი მოპარული ჰქონდა ერთი შტოფი ღვინო, მეზობლის მარანში ძალისმიერი შეღწევის გზით.

სხვადასხვა დროს ჩადენილი ეს სამი დანაშაული ქართველმა მოსამართლემ ერთად შეკრიბა და მიხოს 24 წელი მიუსაჯა.

მიხოს 24 წელი, ბრეივიკს 21 წელი.

ქართული სახელმწიფოსთვის მიხო ნაკლებად ღირებულია, ვიდრე რამდენიმე ქათამი, ერთი გოჭი და ერთი შტოფი ღვინო.

საბჭოთა კავშირიდან თავდაღწეული თავისუფალი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო თავისი მოქალაქეებისთვის ცივსისხლიან ინკვიზიტორად იქცა, რომელიც მცირედი დანაშაულისთვისაც კი დაუნდობლად და სასტიკად სჯის მათ.



## 77 adamianis mkvlel breiviks 21 weli elodeba, sami qaTmis da erTi goWis mompar av mixos 24 weli!



სამარცხვინო არ არის, რომ ათასგზის შეჩვენებული და დაწყევლილი საბჭოური მართლმსაჯულება გაცილებით ჰუმანური, გაცილებით ადამიანური იყო, ვიდრე დღევანდელი ქართული სამართალია?

**ამ ხელისუფლების წყალობით ქართველი ხალხი ერთ-ერთ ყველაზე კრიმინალურ ერად ითვლება მთელ მსოფლიოში.**

**ათას სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით ევროპაში მეორე ადგილზე ვართ.**

**რა არის ეს ყველაფერი, თუ არა მიზანმიმართული გენოციდი?**

ამ სიტუაციაში ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ქართული ოპოზიციისთვის ეს თემა ვერა და ვერ იქცა ნომერ პირველ, ყველასათვის საყოველთაო და სავალდებულო თემად.

გასაგებია, რომ ჩვენი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია (ზოგს ამერიკა მოსწონს, ზოგს – რუსეთი, ზოგს – ევროპა და ეს ითვლება განსხვავებად...) მაგრამ ნუთუ ეს თემა, ქართული მართლმსაჯულების (თუ ამას მართლმსაჯულება ჰქვია) თემა არ არის ის ყველასთვის საერთო სატკივარი და საწუხარი, რომელმაც ყველა პარტია, არასამთავრობო სექტორი, საზოგადოება ერთად უნდა შეკრას და საერთო პროტესტის და შეურიგებლობის ფონზე ხელისუფლება აიძულოს დროზე გადახედოს სადისტურ-მანიაკალური შეფერილობის ამ სისხლის სამართლის კოდექსს?

**ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს რომელ პარტიას რა პოლიტიკური პლატფორმა აქვს (თუ ასეთი რამ საერთოდ აქვთ...) განა მათი წევრები თუ მხარდამჭერები ერთ საერთო ქართულ ციხეში არ სხედან და განა ყველას დამოკლეს მახვილივით არ ჰკიდია თავზე ეს არაადამიანური, ანტიჰუმანური კანონები?**

ვიღაც-ვიღაცები თავს იმართლებენ, ამგვარი კანონები ბევრ ევროპულ სახელმწიფოში, ასევე აშშ-შიც და ჩვენ მხოლოდ მათი კალკირება მოვახდინეთო.

ცხადია, ყველანაირი იდიოტიზმის კალკირება, რადგან უცხოურია, არ შეიძლება. სასჯელის შეკრებითობის პრინციპზე აგებული კანონები ადამიანებზე კი არა, მგონი, ყვავებზეა დაწერილი, რომლებიც 250-300 წელი ცოცხლობენ და, აქიდან გამომდინარე, თავისუფლად შეუძლიათ ერთი 100-120 წელი ციხეშიც გაატარონ.

ჩვენთვის მისაბაძ ევროპაში თავის დროზე ადამიანებს წვავდნენ კოცონზე. საქართველოში მსგავსი რამ არასოდეს, მისი არსებობის არცერთ ეტაპზე არ მომხდარა.

ქართველი კაცი თავისი ბუნებით, თავისი ხასიათით და მენტალიტეტით შემწყნარებელი და მიმტევებელია.

**მაშინ რატომ არ ჰგავს ქართული სახელმწიფო მის შემქმნელ ქართველ ერს და რატომ არის ის ასე ხაზგასმულად სასტიკი ადამიანების და ზოგადად, ადამიანურობის წინააღმდეგ?**

რომელ ადამიანურობაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ადამიანებს ციხეში ვსვამთ 20 ლარის გამო, რამდენიმე კილოგრამი ჯართის „მოპარვის“ გამო, ერთი ცალი ფიცრის გამო, რამდენიმე სიგრეტის გამო, ზოგჯერ კი საერთოდ არაფრის გამო – ტყუილუბრალოდ, უდანაშაულოდ, უმიზეზოდ, შეთითხნილი ბრალდებით, ცრუ მოწმეებზე დაყრდნობით.

საქართველოში ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია და უფლებადამცველია, რომლებიც, ძირითადად, საპატიმრო ადგილებში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობენ, მაგრამ თითქმის არაფერს ამბობენ იმ კანონებზე, იმ სასამართლო სისტემაზე, რომლის წყალობითაც ხვდებიან ეს ადამიანები ციხეში.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სახელმწიფო მიზანმიმართულად, ხელოვნურად ცდილობს პატიმართა რაოდენობის გაზრდას.

თუ კარგად გავაანალიზებთ მდგომარეობას, მივხვდებით, რომ სიტყვა „თითქოს“ აქ არაფერ შუაში არ არის და სახელმწიფო მართლაც მიზანმიმართულად, შეგნებულად, გეგმაზომიერად ზრდის პატიმართა რიცხვს.

რატომ? – ისმის კითხვა.

რატომ და იმიტომ, რომ ეს საკმაოდ მაღალშემოსავლიანი ბიზნესია, ხოლო საპროცესო გარიგებები ბიუჯეტის შევსების სერიოზული წყარო, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის არის, რომ რაც უფრო მეტი პატიმარი და პრობაციონერი გვყავს, მით უფრო მეტი გარანტირებული საარჩევნო ხმა აქვს ხელისუფლებას, როგორც ამ პატიმრებისგან, ისე მათი ახლობლებისგან და ნათესაევებისგან, რადგან მათზე ზეწოლის და ზემოქმედების უამრავი ბერკეტი გააჩნია.

სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფო ადამიანებს დიდი ხანია უყურებს არა როგორც ადამიანებს, არამედ როგორც საარჩევნო მასალას და როგორც ფულის კეთების საშუალებას.

აი, ეს არის შემაძრწუნებელი სიმართლე და ყოველივე ამის შემდეგ საუბარი დემოკრატიაზე, სამართლიან არჩევნებზე ფუჭი და ამაოა.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# 26 maisi aris protestis da ara zeimis dRe. es aris ubedurebis dRe, romelic 2011 wlis 26 maiss qarTvelebma sakuTar tyavze gamoscades

*გვესაუბრება „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი **ლუკა კურტანიძე:***

**— ბატონო ლუკა, ბიძინა ივანიშვილმა 26 მაისის აღნიშვნა სტადიონზე გადაწყვიტა. არადა, თქვენ დიდი ხნით ადრე გააჟღერეთ, რომ ამ დღეს ფილარმონიაში აღნიშნავთ. რამდენად ცვლის ეს ვითარებას, რას ფიქრობთ მომხდარზე?**

— 2011 წლის 26 მაისი თუ ვინმესთვის მტკივნეულია, პირველ რიგში სწორედ იქ მონაწილე თითოეული ქართველისთვის.

როდესაც 26 მაისის აღსანიშნავად „სახალხო კრებას“ ფილარმონიის დარბაზი უკვე დაჯავშნული ჰქონდა, სწორედ ამ დროს ჟღერდება ინფორმაცია, რომ ივანიშვილი ამ დღის აღნიშვნას სტადიონზე აპირებს. მე კი, ჩემს ინტერვიუებში (რომელიც თქვენამდე მივეცი სხვა გაზეთებს) 26 მაისისთვის მზადყოფნას გამოვთქვამ და ყველას, სოლიდარო-



ბის, ერთიანობისკენ მოვუწოდებ, მოვუწოდებდი ყველას — სოლიდარულნი ვიყოთ და ამ დღეს მაინც გავერთიანდეთ და შემდეგ დავგეგმოთ მომავალი, რათა გამარჯვება ერთად მოვიპოვოთ-მეთქი. ამის მიუხედავად, ჩემდა გულდასაწყვეტად, ძალიან მტკივა გული, გადმოგცემთ ჩემს გულწრფელ ემოციებს, რომელიც დაიმედებული ვარ სამომავლო ხედვებით და უცებ ასეთი გაუგებრობა ხდება. არავითარი კონსულტაცია, არავითარი შემოხმიანება მათი მხრიდან არ ყოფილა. ჩვენ იმ უბედურების უშუალო მონაწილენი ვართ, იქ დავსახიჩრდით და 26 მაისს ჩვენი შეკრება ერთ-ერთი ნაპერწკალი უნდა ყოფილიყო დიდი იმედის გაჩენის, ვფიქრობ ჩვენ აუცილებლად უნდა შემოგვხმიანებოდნენ. ვინც „სახალხო კრების“ აქციაზე მონაწილეობდა, ეს ხალხი ყველა გმირია და წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, თუ ჩვენს მიერ დაგეგმილ ღონისძიებას შემოუერთდებოდნენ, გავერთიანდებოდით, თუმცა, მოხდა გაუგებრობა და ამ გულისტკივილს ვერ დავმალავ. თანაც რა არის იცით კიდევ?

**„ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც თავიდანვე „სახალხო კრებაში“ იყვნენ, უშუალოდ იყვნენ ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრები, 26 მაისის ავბედით ღამეს ბინტით წმენდნენ დასისხლიანებულ სხეულს ხალხს, ამ ღამეს გმირულად იქცეოდნენ მანანა კობახიძის ჩათვლით, რომელიც ახლა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეა. ის და კიდევ სხვა ადამიანები ჩართულნი იყვნენ ამ პროცესში, ამიტომ ვფიქრობ, მათ თუნდაც „სახალხო კრების“ ნებისმიერი წევრისთვის უნდა დაერეკათ და კონსულტაცია გამართულიყო. მაშინ ჩავთვლიდი, რომ ურთიერთდაფასება მოხდა. მე არ ვსაუბრობ რაიმე ოფიციალურ შეხვედრაზე, არამედ ადამიანურ შემოხმიანებაზე, რომელიც ადამიანური ურთიერთობა და დაფასება იქნებოდა. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ.**

თქვენამდე მიცემულ ინტერვიუებში გავაჟღერე, რომ დიდი მოთმინების ფასად ერობისკენ მიმავალ გზას შევუწყობ ხელს. მაგრამ რაც მოხდა, მსგავსი გულდასაწყვეტი, ადამიანური ტკივილები, ალბათ კიდევ მექნება იმიტომ, რომ ქართველებმა ვერაფრით ვერ შევიგნეთ, რომ ჩვენი ძალა ერთობაშია. ყველა გავიძახით, რომ ძალა ერთობაშია, მაგრამ ელემენტარულად ყველაზე ტკივილიანი დღე 26 მაისი რომ ერთად აღვნიშნოთ, ამაშიც კი არ ვართ სოლიდარულნი, ამ ერთდღიან ერთიანობასაც კი ვერ ვახერხებთ. ჩვენი შეთავაზება გულწრფელი, ადამიანურია, ეს იმ მადლის დაფასებაა, რაც პირადად ივანიშვილმა ათწლეულების მანძილზე გააკეთა, ამიტომ ასეთი გაუგებარი სიტუაცია ასმაგად მტკივნეულია.

**კიდევ ვიმეორებ, ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, ვინც ძალიან ახლოს იყო „სახალხო კრებასთან“, ნინო ბურჯანაძესთან და ახლა ვერ მოახერხეს დაერეკათ „სახალხო კრებაში“ თუნდაც როგორც ადამიანებს და არა პარტიის წევრებს და გაეგოთ ჩვენი მოსაზრება ამ დღესთან დაკავშირებით. ან თუნდაც ეკითხათ, ხომ არ აჯობებდა ერთად აღგვენიშნა ეს უბედურების დღე.**

ეს ჩემი პირველი ემოციაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რადგან ხალხი ერთიანობას ითხოვს, არ მინდა რაიმე დაპირისპირება მოხდეს იმით, რომ ჩვენ ცალკე აღვნიშნოთ ფილარმონიაში და მეორე ოპოზიციურმა ფლანგმა ცალკე. ეს რომ არ მოხდეს, მე ლუკა კურტანიძე, მსოფლიო ჩემპიონი ვამბობ შემდეგს — ჩვენ აუცილებლად აღვნიშნავთ 26 მაისს, მაგრამ ეს ძალიან ღირსეულად მოხდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ აუცილებლად გადავიხდით პარაკლისს და მოუწოდებთ ყველას ერთიანი ვიყოთ. ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა ამ დღის ცალკე აღნიშვნა და ამით მოლოდინს აჩენს? — კი, ბატონო სოლიდარობას ვუცხადებ. ჩემი გულისტკივილი დღევანდელობიდან გამომდინარეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მტერი, ამ ხელისუფლების წარმომადგენლები რომ არ გავახაროთ, მათ არ მივცემ იმის უფლებას თქვან — აი, ხომ ხედავთ უკვე დაიყვნენ, თუნდაც 26 მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებითო. არა, ბატონებო, 26 მაისს სოლიდარობას ვუცხადებ, აჰა ბურთი, აჰა მოედანი, აჰა ჩემი თავიც და ჩემი სიცოცხლეც. ჩემს მეგობრებს, თანამებრძოლებს მიუხედავად ყველაფრისა მოვუწოდებ, ხელი არ შევუშალოთ ერთმანეთს. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, მიუხედავად იმისა, რაც ხდება, მომხრენი ვართ ერთიანი ფრონტით, ერთიანი ბრძოლით, უკან დაუხევლად, სიცოცხლის ფასად ვემსახუროთ სამშობლოს.

**— „სახალხო კრებამ“ 26 მაისის აღნიშვნა დიდი ხნის წინ დააანონსა და როგორც აღნიშნეთ ფილარმონიაში დარბაზი უკვე დაჯავშნული იყო. თქვენ თქვით მიუხედავად ყველაფრისა ივანიშვილს სოლიდარობას ვუცხადებთ. ანუ ეს ნიშნავს, რომ „სახალხო კრება“ ფილარმონიაში ღონისძიებას აღარ ჩაატარებს?**

— მე, ლუკა კურტანიძე დღეს ამ დღის ცალკე აღნიშვნის აზრს ველარ ვხედავ. იმიტომ, რომ ეს ისე შეიფუთება, რომ გამოვა საზოგადოების დაყოფა.

**რას გადაწყვეტს „სახალხო კრება“ ჯერ არ ვიცი, მაგრამ ჩემი, როგორც ერთი პიროვნების სუბიექტური აზრია — არავითარ შემთხვევაში, დღეს დაყოფის დრო არ არის.**

რადგან ასე მოხდა, ჩვენ სხვაგან აღვნიშნავთ, გადავიხდით პარაკლისს. ფილარმონიაში შეხვედრის მიზანი კი ის იყო, რომ ყველა პარტია მოსაწვევით და პირადად უნდა მოგვეწვია და ეს უნდა ყოფილიყო ერთობის დღე, რომელიც ყველა ამ უკეთურობას, რაც 26 მაისის ჩათვლით და მერეც მოხდა, ამ ყველაფერზე ერთად გვეთქვა — არა! ეს იყო ჩვენი პროგრამა და არა ცალ-ცალკე დაყოფა. არავითარ შემთხვევაში მხარს არ დავუჭერ, რომ ოპოზიციურად განწყობილმა საზოგადოებამ 26 მაისი ცალ-ცალკე აღნიშნოს.

**— ანუ ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ სტადიონზე შეუერთდებით?**

— ჩვენ ვაუქმებთ ფილარმონიაში 26 მაისის აღნიშვნას იმიტომ, რომ ამ დღის ცალ-ცალკე აღნიშვნა, სწორი არაა. „სახალხო კრება“ ამ აზრს იზიარებს — იმედს, რაც გაჩენილია ყველანაირად ხელს შევუწყობთ, ასეთი პოზიცია გვეჭირა თავიდანვე და ჩვენს სიტყვას არ გადავალთ.

**— „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერმაც იცოდნენ, რომ „სახალხო კრება“ ამ დღის აღნიშვნას აპირებდა. როგორ ფიქრობთ, მათ რატომ გადაწყვიტეს, ამ ვითარებაში, 26 მაისის ცალკე აღნიშვნა, ეს დაპირისპირება ხომ არ არის „სახალხო კრებასთან“?**

— „სახალხო კრებასთან“ დასაპირისპირებელი რა აქვთ?! „ქართული ოცნების“ პოლიტიკაში მოსვლის დღიდან მხარს ვუჭერდი, როგორც სიტყვით, ისე ქმედებით. ქმედებითვე ვართ მზად მხარში დავუდგეთ იმ ერთიან ფრონტს, რომელიც გადააშენებს ამ დამნაშავე ხელისუფლებას.

**ვერ გამიგია, რატომ უნდა მებრძოლო მე, როდესაც შენს გამო სიცოცხლეს ვწირავ?!**

ვის აქვს უფლება, მე მებრძოლოს?! ვერავინ წამართმევს ღირსებას და ვერავინ წამართმევს სამშობლოს. აბა, გაბედოს ვინმემ, თუ ამის დიდი სურვილი აქვს. ჩემს თანამებრძოლებთან ერთად გამოვიარე ეს უბედურება და აქედან გამომდინარე ვამბობ —„სახალხო კრება“ უკან დამხევი არაა, იმ უკეთურობების წინააღმდეგ, რაც დღეს საქართველოში ხდება, ამას ალალი გულით და სულით ვამბობ.

## ver gamigia, ratom unda mebrZolo me, rodesac Sens gamo sicocxles vwirav?!



**— ბიძინა ივანიშვილთან თქვენი შეხვედრისას, მან ნინო ბურჯანაძეს დაუწუნა შარშანდელი 26 მაისი, არასწორად მოიქეციო...**

— უნდა გაგეთვალისწინებინა ის უბედურებები, რისი ჩამდენიც ხელისუფლება იყოო, მაგრამ მაშინ ბურჯანაძემ თქვა — ხომ არ აჯობებს თუ ხალხის დიდი ტალღა არ იქნება, მათ ვუთხრათ მადლობა მობრძანებისთვის და მომავალი ბრძოლისთვის მოვემზადოთ, მაგრამ„სახალხო კრება“ ერთსულოვანი იყო იმაში, რომ ბოლომდე უნდა მდგარიყვნენ იქ იმიტომ, რომ მანამდე საქართველო შემოვიარეთ და საზოგადოება გვეუბნებოდა —რამდენჯერ გამოგვიყვანეთ, მერე უკან დაიხიეთ და იმედი გაგვიცრუეთო. ახლა, გვანახეთ, რომ ბოლომდე იბრძვითო და ჩვენც

6 gv.

5 gv.

# 26 maisi aris protestis da ara zeimis dRe. es aris ubedurebis dRe, romelic 2011 wlis 26 maiss qarTvelebma sakuTar tyavze gamoscades

გვერდით დაგიდგებითო. ხალხის შეკვეთა იყო ასეთი. ხალხი ბევრჯერ დააბრუნეს სახლებში. მათ საკუთარ ტყავზე გამოსცადეს უმუშევრობა, სამსახურის დაკარგვა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ეს ხალხი მართალი იყო, ითხოვდა ბრძოლა გვანახეთო. მაშინ მე ვუთხარი მათ — თუ მე გაწირულს დამინახავთ, ხმა ამოიღეთ-მეთქი.

**ალასანიას დამსახურება კი არ იყო მეორე დღეს ხალხის გამოსვლა — არამედ ისინი იმიტომ გამოვიდნენ, რომ 26 მაისის ღამეს მე და ათასო-**




**ბით ადამიანი გაწირული, გაუბედურებული ნახეს და მათ პროტესტი გამოხატეს. ჩვენ თავგანწირვა ვაჩვენეთ და ხალხმა სოლიდარობა გამოგვიცხადა, და არა ირაკლი ალასანიას დაძახილზე. ეს მან და მისნაირებმა კარგად დაიმახსოვრონ, რა, რომელთაც ჰგონიათ, რომ მარტო შეძლებენ რამეს. ვერავინ ვერაფერს ვერ შეძლებს მარტო.**

აი, ვნახოთ, რა, ვინ რას მოახერხებს. მაგრამ აი, ვნახოთზე ხომ არ არის საქმე. ცალ-ცალკე დაქსაქსვის დრო არ არის. ხაზგასმით მინდა აღნიშნოთ — 26 მაისს რა უბედურებაც მოხდა იმ ხალხის სოლიდარულნი იყვნენ 28-ში შეკრებილი მოსახლეობა. ძალიან ნუ შეეშლება ზოგიერთ პოლიტიკოსს და ხარისხობრივად ნუ დაჰყოფს რა, ხალხს, ვინ ვისზე ნაკლები ხარისხიანია ერთიერთზე გავარკვიოთ, თუ კაცია რა. ადამიანმა, როდესაც დიდი ამბიციები გაქვს, კარგად უნდა დაუკვირდე რას ამბობ, თორემ ის სიტყვა დაგიხვდება წინ. ბოდიშს გიხდით, ასე ემოციურად რომ ვსაუბრობ, მაგრამ ვერ გამიგია ქართველობის. როგორ უნდა ვინანო, ადამიანმა სამშობლოსთვის ბრძოლა. როგორ უნდა ვინანო, როცა გეუბნები — სიცოცხლეს გავწირავ შენი გულისთვის მეთქი და შენ კონკურენტად მთვლი?! არ ვარ მე შენი კონკურენტი, შე დალოცვილისშვილო, რაც შენ გაგიკეთებია და არ გაგიკეთებია, ამას სიცოცხლის ფასად დავიცავ და შენს გვერდით დავდგები მეთქი გეუბნები, მეტი რა ვქნა?! როგორ გავიგო ახლა ის მდგომარეობა, რაშიც ჩაგვაყენეთ. კი ბატონო, ხომ მოისმენთ, ხომ წაიკითხავთ ამას, გამეცით პასუხი კაცო, ამიხსენით რა ხდება?! მიუხედავად ამისა, როცა სამშობლოზეა საუბარი, ამ საკითხს მეასეხარისხოვნად ვთვლი. ვერავინ დამაპირისპირებს იმ აზრთან, რომ ბიძინა ივანიშვილს სამშობლო უყვარს, სხვა რამეს ვერავინ მათქმევინებს. ეს მან თავისი საქმით, ქმედებით დაამტკიცა, რომ არავისზე ნაკლებად თუ მეტად არა, ეს სამშობლო არ უყვარს. მზად ვარ ბოლომდე სიცოცხლის ფასად ვიბრძოლო ჩემს თანამებრძოლებთან ერთად. ამიტომ, ჩემთვის დამაბნეველია ის შემხვედრი პოზიცია, რაზეც, ახლა ვსაუბრობთ.

**ძალიან მინდა, დავსვა შეკითხვა — ის ადამიანები, ვინც „სახალხო კრებაში" იყვნენ, ვინც ქალბატონი ნინოს პარტიის წევრები იყვნენ, მათ ან სინდისი არ აქვთ, ან გულის სიღრმეში საკუთარ თავთან კითხვა არ უჩნდებათ, ხომ არ იქნება უზნეობა, „სახალხო კრებას" უკვე დაგეგმილი ღონისძიება ჩავუშალოთო?**

იქნებ ჯობდეს ყველამ ერთად, თამამად ვთქვათ სიმართლე. ბატონი ბიძინა ახალი შემოსულია პოლიტიკაში და მან არ იცის ის სიბინძურეები, რაც პოლიტიკას ახლავს, მაგრამ ეს კოალიციაში შემავალმა პარტიებმა ხომ იციან?! ნუთუ არ უჩნდებათ აზრი — ახლა ის დროა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ერთობისკენ, კორდინირებისკენ წავიდეთ თუნდაც, 26 მაისის აღნიშვნაში არ გავიყოთ, ხალხი არ გავყოთ და ღირსება არ წავართვათ მათ. ხომ შეიძლება ყველამ ერთად, ერთმანეთს მოვეფეროთ, ძალა შევმატოთ და მომავალი ბრძოლისთვის კოორდინირებულად ვიმოქმედოთ. ნუთუ არ უჩნდებათ ეს სურვილი? მე ვიცი „ქართულ ოცნებაში" მყოფი ბევრი ადამიანი, ვინც თამამად საუბრობს. ვიცი, ეკა ბესელიას პოზიცია, რომელიც თამამად ამბობს, რომ ერთობა აუცილებელია. ეკას მებრძოლ ადამიანად ვთვლი. თუ ყველა ერთად დადგება მიხვდებიან, რომ ერთობას დღეს წინ არაფერი უდგას. შეიძლება პოლიტიკურად არ ვიყო იმდენად განათლებული, მაგრამ სამშობლოს სიყვარულში ვერავინ გამანათლებს. ასეთ უკეთურობებს რომ ვუყურებ, ვიბნევი. როგორ შეიძლება ასე ცხოვრება პოლიტიკაში ან თუნდაც ცხოვრებაში. უამრავი ადამიანი ჩემს გულწრფელობას, ბრძოლას, სიყვარულით პასუხობს, ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ.

**— როგორ ფიქრობთ, რა უნდა აღნიშნოს 26 მაისს „ქართულმა ოცნებამ" — დამოუკიდებლობის დღე? ეს ხომ ჩვენ, ფაქტობრივად არა გვაქვს.**

**— 26 მაისი არის პროტესტის და არა ზეიმის დღე. არამგონია „ქართული ოცნება" ამ დღეს ზეიმს აწყობდეს. მწამს, რომ ეს იქნება პროტესტი იმაზე, რაც შარშან 26 მაისს მოხდა. მე თუ მკითხავთ 26 მაისი უახლეს ისტორიაში უბედურების დღეა, 20 წლის თავზე ხალხი გარდაიცვალა, სულიერად დასახიჩრდა და ქართველმა ქართველზე როგორც არასდროს ისე აღმართა ხელი. 26 მაისს ვერც თავისუფლების დღედ აღვნიშნავ და ვერასოდეს ვიზეიმებ ამ დღეს. თუ თავისუფლების დღეს აღნიშვნა გვინდა, უახლესი ისტორიიდან, ეს დღე 9 აპრილია. 26 მაისი მთელი ჩემი ცხოვრება იქნება არა ზეიმი, არამედ ტანკების გრუხუნი, იარაღის ჟღარუნი. ხელისუფლებამ ამ დღეს მთელ საქართველოს აჩვენა თუ რაიმეს გაბედავთ ყველაფერს დაგამხობთ თავზეო. ეს არის უბედურების დღე, რომელიც 2011 წლის 26 მაისს ჩემს ტყავზე გამოვცადეთ, ჩემი თანამებრძოლების სისხლიან თვალებში ჩავიხედე.**

ერთი რამ მინდა ვთქვა, როგორც პროფესიონალმა — ადამიანს სიცოცხლეშივე ვაფასებ. ადამიანი, რომელიც ქვეყნისთვის იფერფლება, იწვის, მას მე ვაფასებ დღეს და მიყვარს სიცოცხლის ბოლომდე. მინდა თქვენს გაზეთში გაიჟღეროს — ადამიანი, როდესაც გარდაიცვლება, იმ ქვეყნად მამაღმერთი მიხედავს. თუ ქართველ ხალხს რაიმე აქვს შესაცვლელი დღეს, საქართველოსთვის დაფერფლილი ადამიანები სიცოცხლეშივე უნდა დააფასოს. „სახალხო კრების" წარმომადგენლები ჩემთვის მაგალითები არიან. აქვე ვიტყვი, ივანიშვილისნაირი ადამიანი შეიძლება ორ საუკუნეში ერთხელ დაიბადოს, რომელმაც ამხელა მადლი დააგროვა. ამიტომ ვარ ასეთი გულაღტკინებული, გულწრფელი, მინდა, რომ მის მიმართ ნასროლი აუგი სიტყვაც და ტალახიც მე მომხვდეს. ყველაფერს გადავუდგები მისთვის წინ დიდი მოთმინების ფასად, მაგრამ მჭირდება უკურეაქცია, რათა მყარი, დიდი ერთობა მოხდეს ეს არის ჩემი სურვილიც, ოცნებაც.

**— მაგრამ თქვენი ოცნება არა და არ სრულდება, ერთობას პირი არ უჩანს. რა უშლის ამას ხელს?**

— ბოლო წუთამდე მექნება იმედი იმისა, რომ დადგება დრო, როცა ერთიანობა შედგება. თვითონ ხალხი, საზოგადოებაც კარნახობს ამას, მაგრამ, ალბათ მეტი შემახილია საჭირო. თუ ჩვენ გამაჯრვება გვინდა, ეს აუცილებლად ერთიანობით უნდა მოხდეს. მინდა ხაზი გავუსვა კიდევ ერთ რამეს —

**ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად გახდება პრემიერ-მინისტრი, ამის მჯერა. მაგრამ ასევე მჯერა, რომ დღეს თუ ხვალ ნინო ბურჯანაძე აუცილებლად გახდება საქართველოს პრეზიდენტი,**

ვაერთიანებ ამ ორ ბუმბერაზ ადამიანს. შეიძლება ვინმემ გამაკრიტიკოს, ჩემი აზრი არ მოეწონოს, მაგრამ მე მსოფლიო ჩემპიონი ვერ გავხდებოდი ის პროფესიული თვალთახედვა, რომ არ მქონდეს, რაც ყველა სფეროს სჭირდე-



ბა. ორივეს გამარჯვება გარდაუვალია. დღეს თუ ვინმე მზადაა პრეზიდენტობისთვის, ეს ბურჯანაძეა, ხვალ შეიძლება ალასანია იყოს.

**— ადამიანები, რომლებსაც 10-12 წლის წინ ვებრძოდით ხელისუფლებაში ყოფნისას, ახლა ივანიშვილის კარზე დაგვხვდნენ. მაშინ თუ გაგვწირეს, ახლა გაგვახარებენ?**

— საერთოდ თევზი თავიდან ლპება. თუ მას თავი ჯანმრთელი აქვს, იგი ბევრ ცუდ რამეს ფილტრავს და ინელებს. ამის იმედი მაქვს. დღეს საქართველოში თავი დამპალია და შესაბამისად მთლიანად ორგანიზმიც, მაგრამ იმედი მაქვს, რომ „ქართული ოცნების" თავი არის საღად მოაზროვნე და ჯანმრთელი თავისი გაკეთებული საქმეებიდან და მადლიდან გამომდინარე. ამიტომ იმედს ვიტოვებ, რომ აუცილებლად მოხდება ფილტრაცია. არჩევნებამდე დიდი დროა და იმედია ამ ფილტრაციას ბატონი ბიძინა გააკეთებს. ის ადამიანები, ვინც 10 წლის წინ ქვეყანას რყვნიდნენ და დღეს „ქართულ ოცნებაში" არიან, არ ნიშნავს იმას რომ მათ რაიმე სადავეები ჩაებარებათ და ჩააბარებენ. მიუხედავად გულისტკივილისა, იმედი მაქვს ასე არ მოხდება. გთხოვთ ეს დაწეროთ — ყველას აქვს უფლება სამშობლოსთვის იბრძოლოს, თუნდაც ძალიან დიდი შეცდომები ჰქონდეთ დაშვებული, ვინც შეცდომა დაინახა და გაათმაგებულად იბრძვიან სამშობლოსთვის.

**— დასაწყისში ახსენეთ სოლიდარული ვიქნები 26 მაისს ივანიშვილის გამართული ღონისძიებისაო. ბურჯანაძე თუ იქნება სოლიდარული?**

— „სახალხო კრება" იმისაა, რომ ყველას თავისი აზრი აქვს. ქალბატონი ნინოსთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის ეს შეიძლება მიუღებელი იყოს, მაგრამ იგი მხარს უჭერს ერთიანობას, დიდი მოთმინების ფასად მან თავისი ამბიციები გვერდზე გადადო. 6 თვე კი არა 6 დღე ვერ ითმენენ პოლიტიკოსები აზრის გამოხატვას.

**— თუმცა, ივანიშვილმა ბურჯანაძე თავის გუნდში პრო-რუსული ორიენტაციის გამო არ მიიღო, მაგრამ სამაგიეროდ მისი გუნდის და ხელისუფლების მიმართულება იდენტურია. მაგალითად, ავღანეთში ჯარების გაგზავნის, ნატოში გაერთიანების საკითხებში...**

**— არც ნატო მინდა და არც ევროკავშირი... არც ნატო მინდა და არც ეგნატე. სამშობლო, მისი მთლიანობა უპირველესია, აფხაზეთი უპირველესია. მამის ძვლები მიმოფანტულია აფხაზეთის მიწაზე და მისი საფლავიც არ ვიცი. 21-ე საუკუნეში უგზო-უკვლოდ მყავს მამა დაკარგული, ამიტომ არაფრად არ მიღირს, არც ნატო, არც სხვა რაიმე ორგანიზაცია, თუ სამშობლო არ დამიბრუნდა. პეტრესაც დაველაპარაკები, პავლესაც, ოღონდ სამშობლო გაერთიანდეს. ჩემს მიწას საცდელ ლაბორატორიად ვერ ვაქცევ.**

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# avRaneTis sasaklao da yayaCos rZeSi amovlebuli TeTri sikvdili

2013 წლისთვის ამერიკული ჯარი ავღანეთის ტერიტორიას დატოვებს! — იუწყებიან მსოფლიოს წამყვანი ჟურნალ-გაზეთები, პოლიტიკის ექსპერტები და თვით ამერიკის პრეზიდენტი ბარაქ ობამაც კი, მაგრამ იქამდე? იქამდე რა მოხდება, თუკი მიხეილ სააკაშვილისა და მთელი მისი „ნაცხროვის“ ხუშტურების, სავარძლების შენარჩუნების და ფუფუნებით ტკბობისთვის, ჩვენი ქართული „შეზღუდული სამხედრო კონტინგენტი“ იქ დარჩება?

შესაძლოა, „დემოკრატიული“ დასავლეთი კატეგორიულად არ დამეთანხმოს, მაგრამ ერაყისთვის, ლიბიისთვის, ეგვიპტისთვის, არაბეთისთვის და ახლა უკვე ავღანეთისთვის, ე.წ. დემოკრატიის ლანგრით მირთმევა იგივეა, რაც ვირისთვის ცხვირთან პიტნის მიტანა და ძახილი: — მიირთვი შე სამგლე, ძალიან სასარგებლოა და რატომ ჯიუტობო?

ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით შესულმა სამხედრო შენაერთებმა, არათუ წესრიგი, არამედ ერთგვარი გამღიზიანებლის როლი რომ შეასრულა ადგილობრივ მოსახლეობაში? ყველას გვახსოვს ამერიკულ „გუანტანამოს“ ციხეში რა „დემოკრატიული“ მეთოდებით აწამებდნენ ერაყელებს! გვახსოვს მათი გაუპატიურების ამსახველი ფოტოებიც! გვახსოვს მუსლიმთა წმინდა წიგნის „ყურანის“ დაწვის და შეურაცხყოფის ამსახველი ვიდეოკადრები! გვახსოვს „დემოკრატიული ბომბებით“ დასახიჩრებული, მკვდარი ბავშვების შემზარავი კადრები და ისიც გვახსოვს, როგორი „დემოკრატიული“ თოკით ჩამოჰკიდეს სადამ ჰუსეინი და მერე თქვეს: რომ, თურმე ერაყში ქიმიური იარაღი საერთოდ არ არსებობდაო! სულ ახლახან მკვდარი ავღანელების ფონზე, ამერიკელი ჯარისკაცები როგორ ილრიჭებოდნენ და პოზირებდნენ აქაოდა, ნახეთ, რა მაგრები ვართო? ისიც ხომ ვნახეთ?

ასე მარცხდება ტერორიზმი და ასე აპირებენ „დემოკრატიის“ ექსპორტს ამერიკა და ევროპა? ანდა ჩვენში რომ ჩამოაგდეს დემოკრატიის კაფსულა, რომელიც შემდეგ გასკდა და იქიდან სააკაშვილი ამოიფრქვა, როგორც დიქტატორი, ეგ იყო ბრძოლა თავისუფალი საზოგადოებისთვის, დემოკრატიული აზროვნებისთვის და „ზემაღალი“ იდეებისთვის?

ჯანდაბამდე გზა ჰქონია მათ, ვისაც ჰგონია, რომ რომელიმე ქვეყნის კეთილგანწყობას სიკვდილით, დაბომბვით, დაცინვით, შეურაცხყოფით და ზოგადად, ძალადობით მოიხვეჭს, მაგრამ ხომ უნდა ვკითხულობდეთ, სხვის ომში შესვლა ძირშივე წაგებული თამაში რომ არის, ოდითგანვე ჩვენ ქართველებს რა ჯანდაბა გვესაქმება იქ და ისიც რის ფასად?

**მთელმა მსოფლიომ იცის, რომ არაბულ ქვეყნებში „ნატოს“ იერიშები — იაფი ნავთობის ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ავღანეთში რა არის მიზეზი „ნატოს“ კოალიციისათვის, არ იკითხავთ? რა, და... იაფი ჰეროინი, ანუ ჰეროინის ყაყაჩოების უკიდეგანო პლანტაციები და აქაც „მსოფლიოს მამათა“ „დემოკრატიული“ შირმით მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, ვის უნდა ეკუთვნოდეს „თეთრი სიკვდილის“ გასაღება-ტრანსპორტირების „საპატიო“ მისია!**

ისიც ცნობილია, რომ ჰეროინის ექსპორტის 80 პროცენტი სწორედ ავღანეთიდან ხორციელდება და აბა, მაშ რა შუაშია აქ ან „დემოკრატია“, ანდა ჩვენი სიმწრით გაზრდილი ჯიშიანი ბიჭების „სამშვიდობო მისია“, რომლის გამო თურმე ფეხები უნდა ვუკოცნოთ ამერიკას, ევროკავშირს და მთლიანად სამხედრო ალიანსს, რომელსაც „ნატოს“ სახელით იცნობს მსოფლიო?

გამოდის, რომ მსოფლიო ნარკობიზნესში მოწინავე პოზიციებისათვის მებრძოლი ქვეყნების კვალდაკვალ საქართველომაც უნდა მიიღოს ფიზიკური მონაწილეობა და ამ ბინძურ თამაშს, ვიღაც გარეწრები, სატანის მოციქულები — სამშობლოსთვის ბრძოლას ეძახიან? იქნებ იმიტომაც გვხოცავენ, რომ „ნარკოტრანზიტის ქვეყნად“ ჩვენი მონათვლის შემდეგ სხვანაირად არც უნდა გვეგებოდეს?

იმაზე მეტი ცინიზმი რაღაა, როცა 800 თუ 1000 დოლარად შეფასებული ჩვენი ბიჭების სიცოცხლე აქ, ან იქ, მცხუნვარე ავღანეთში, არავის ადარდებს?

რა ტერორიზმი, რის ტერორიზმი — ყაყაჩოს რძე ყოფილა თურმე მთავარი ობამასთვის, სააკაშვილისთვის, სარკოზისთვის, მერკელისთვის და კიდევ მრავალი სახელმწიფო „მოღვაწისთვის“, მაგრამ იმ ქვეყნებში დღედაღამ მანიფესტაციები რომ იმართება ჯარისკაცების დედების, მამების, ცოლების, შვილების თუ ნათესავების მიერ — ჩვენ რა ჭირი გვჭირს ასეთი, დებილი ცხვრებივით რომ შევყურებთ ვეებერთელა ცინკის კუბოებით ჩამოსვენებულ ჩვენს საჯიშე შვილებს და ვიღაც გაწრების შიშით ხმა რომ ვერ ამოგვიღია?

ან ტელევიზორს არ უყურებთ, ან კომპიუტერში არ უცქერით რა ხდება იგივე ამერიკაში, როცა მოსახლეობა ავღანეთიდან ჯარების სასწრაფოდ გამოყვანის მოთხოვნით ხან თეთრ სახლს, ხან პენტაგონს და ხანაც „გაეროს“ შტაბბინას რომ ასკდება რისხვით? „დაგვიბრუნეთ ჩვენი სიმწრით გაზრდილი შვილები — მკვლელებო“!

ასეთი შინაარსის პლაკატები იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკაში და სხვა ნატოს წევრ ქვეყნებში თითქმის ყოველდღიურადაა, მაგრამ ქვეყანა, რომლის ჯარისკაციც დღეს ავღანეთშიც კვდება, შეხედეთ, როგორი პატივით იკრძალება იქ?



აეროპორტში, დროშაგადაფარებული კუბო მოწიწებით ჩამოაქვთ! დაშვებულია დროშები! ამა თუ იმ ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ქალაქის მერი, სამხედრო ხელისუფლება და დაღუპული ჯარისკაცის მშობლები, ოჯახი ერთად დგანან! სრულდება სახელმწიფო ჰიმნი, სამგლოვიარო სამხედრო პანაშვიდი და ასე პატივით ემშვიდობებიან იმ ჯარისკაცს, რომელმაც „ქვეყნის ინტერესებისათვის“ თავი გასწირა! ამის შემდგომ სახელმწიფო გარდაცვლილის ოჯახს უნიშნავს სოლიდურ პენსიას და მთელ რიგ სოციალურ სფეროებში, ასევე სოლიდურ შეღავათებს უწესებს. ჩვენთან? ჩვენთან შავი ქვის გარდა, რამეს სთავაზობს სახელმწიფო „ცხელ წერტილებში“ დაღუპული ჩვენი ბიჭების ოჯახებს? შავი ქვა იქით იყოს და... ვინმემ ზუსტად ვიცით, რამდენი ჯარისკაცი დაიღუპა რეალურად ან ერაყში, ანდა ავღანეთში?

ანდა რა არის სასირცხვილო ის ფაქტი, რომ — აეროპორტიდან ჩუმად, (ისე, რომ არავინ გაიგოს), სასწრაფოდ რომ მიაქანებენ საკუთარ ოჯახებში გარდაცვლილ ჯარისკაცებს?

დალოცვილო, თუ სატელევიზიო კლიპებით მეუბნები, რომ ავღანეთში სამსახურისთვის მადლობა უნდა ვუთხრა ქართველ ჯარისკაცებს, რომ ისინი იქ ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ეწირებიან მაშინ გმირულად დაღუპული ჯარისკაცის კუბოსთან მოსვლის საშუალებაც მომეცი, ჭირისუფალის მისამძიმრების საშუალებაც მომეცი და გამაგებინე, სად, რომელმა სოფელმა, ქალაქმა და ოჯახმა გაზარდა ასეთი ვაჟკაცი?! ასე უსახელოდ, ასე უბრალოდ და ასე ქურდულად ჩამოსვენება — სირცხვილი და დანაშაული არ არის?



ვისაც უნდა ეწყინოს, მაგრამ მე არც იმ ბიჭების მშობლების მესმის, ვინც ტელევიზორ-ტელევიზორ გამოდიან და მადლობას უხდიან ამ მკვლელ სააკაშვილს, ავღანეთში მათი შვილების ჩახოცვის გამო! მითუმეტეს, არ მესმის იმ მშობლების, ვისაც ნარკომანი სააკაშვილის ეშინიათ და შიშისგან ხმას ვერ იღებენ!

ხალხო, შვილები მოგიკლეს და ამაზე უარესი რაღა უნდა დაგემართოთ, გამაგებინეთ ერთი?

რა თავში იხლით ამათ ფულად კომპენსაციებს, ანდა დუმილის ფასად მიღებულ, თქვენი შვილის სისხლით გაპოხილ სასაცილო შეღავათებს?

განა ვერ ხედავთ, რომ ეს არაკაცი, ხან კოკაინის, ხან ღვინის და ხანაც ათასი „სიამით“ პატივმიგებული — ხან მახათას მთაზე „აკიმარებს“, ხან მოხუც ქალებს „შნუროკებს“ უკრავს და ხანაც „ფორმულა 1“-ის სპორტულ მანქანაზე ამხედრებული ჩვენს ჯიშზე, ჩვენს აწმყოსა და მომავალზე ერთიანად კაიფობს და ფეხებზე ვკიდივართ?

განა შვილები სიმწრით იმიტომ გაზარდეთ, რომ ამ ვიგინდარას შიშით, უჩუმრად მიაბაროთ მიწას? რა სჭირდათ თქვენს შვილებს დასამალი — არ უნდა ჰკითხოთ საკუთარ სინდისს?

მართალია, შალვა ნათელაშვილი, როცა ამბობს „ქუჩები უნდა ზანზარებდეს, ავღანეთიდან ჩვენი ბიჭების გამოყვანის მოთხოვნითო“, მაგრამ — ესმის ვინმეს? იმაშიც მართალი იყო შალვა — რეფერენდუმმა გაარკვიოს, საქართველოში მოსახლეობის რამდენ პროცენტს უნდა ჩვენმა ჯარისკაცებმა ავღანეთში იომონო! მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ლეიბორისტების“ ამ ინიციატივას, საარჩევნო კომისიად წოდებულმა ვაჭართა ამქარმა უარი სტკიცა და რა გინდა რომ გააკეთო?

არა, რა? ჩვენ ერი აღარა ვართ, თორემ სააკაშვილსაც, ახალაიასაც, ბოკერიასაც და დანარჩენებსაც, ჯერ კიდევ 2004 წელს ვასროლინებდით კუდით ქვას, როცა პირველი ეკლესია (გლდანში) დაგვინგრიეს და როცა ჩვენი ჯარისკაცები ერაყში გარეკეს ვითომცდა საქართველოს საკეთილდღეოდ!

**ძვირფასო მშობლებო! ჯარისკაცების ცოლებო და ნათესავებო!**

**აბა, დამისახელეთ ერთი ჩინოვნიკი, ერთი დეპუტატი, ანდა ქვეყნის მმართველი ელიტის ოჯახებიდან ერთი წევრი მაინც, რომელიც თქვენი შვილების გვერდით თუნდაც ჰელმანდის პროვინციაში იბრძვის?**

ვერ დამისახელებთ, იმიტომ, რომ ასეთი ფაქტი არ არსებობს. ერთადერთი პოლიტიკოსი ვიცი, ვისი შვილიც ერაყში იმყოფებოდა და ეს პოლიტიკოსი კაკო ასათიანია! მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც იბრძოდა მისი შვილი თორნიკე და კარგად მახსოვს, 4 დღე დაკარგული რომ იყო, კაკო დაჭრილი დათვივით როგორ ბღაოდა: ეს რა უბედურებაში გაგვხვია ამ გიჟმაო! ამაზე მეტ ფაქტს ვერავინ მოიყვანთ და ახლა თავად დაფიქრდით — რაღა მაინც და მაინც თქვენი შვილების სიცოცხლის ფასად უნდა ამ დამპალ რეჟიმს „ნატოში“ შეძრომაც და ამ ე.წ. „დემოკრატიის“ მწვერვალების დაპყრობა?

სხვათაშორის, როცა გიჟი სააკაშვილი ქართველ მეფეებს ედრება, მისი კარის მასხარა ისტორიკოსები და ზოგიერთი სამღვდელო პირი კი ამ სიგიჟეში კვერს უკრავს, რატომღაც ავიწყდებათ, რომ ერთ დროს სპარსეთის ვილაეთის ვალი საქართველო, სწორედ ამ პერიოდში, საქართველოს მეფე გიორგი X ერთად ავღანეთში იბრძოდა და დაიღუპა კიდეც სხვა ქართველ მეომრებთან ერთად. მეტიც, როცა ნადირ შაჰის ჯარები უკუიქცნენ, გიორგი X გაქცევა იუკადრისა და შეუძახია: „არა წეს არს, ქართველთა მიერ უკუქცევაო“ და დააკვირდით, როგორი ისტორიული პარალელია ამ შემთხვევაშიც? „ნატოს“ წევრ ქვეყნებს თავისი ჯარები ნელ-ნელა გამოჰყავთ ავღანეთიდან და ეს „ჩვენი მხიარული“ კიდევ გაიძახის, —„უნდა გავზარდოთ ქართული სამხედრო კონტინგენტი ავღანეთშიო.“

**მიდი და შენს ჯარს შენვე ჩაუდექი სათავეში, კურდღელო სააკაშვილო, მარცხნივ შენი შვილი ედუჩი დაიყენე და მარცხნივ კიდევ სანდრაელისაბედი ხომ გიყვარს მეფეების სწორობა და რა გიშლის ხელს?**

ღამით ჩუმად რომ ჩაიპარე ავღანეთში და 1 საათი რომ გაჩერდი იქ ეგ იყო გმირობა, შენმა ტელევიზიებმა ტვინი წაგვჭამეს? თანაც შენი ჩამოთრევიდან რამდენიმე საათში 2 კუბო რომ ჩამოიტანეს ავღანეთიდან, ვის გინდა დააჯერო, რომ ის ბიჭები შენი პირადი უსაფრთხოების დაცვისას არ დაიღუპნენ?

ქალია ანგელა მერკელი, მაგრამ „ბრონეჟილეტში“ არ ჩასულა ავღანეთში, გერმანელი ჯარისკაცების მოსანახულებლად, და მეტიც, გერმანულ სატელევიზიო არხებს, შენი ტელევიზიებისგან განსხვავებით, არ უთქვამთ, რომ „უპრეცედენტო ფაქტი მოხდა, როცა ქვეყნის პირველი პირი მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში ჩაბრძანდა და ჯარისკაცებთან ერთად ისადილაო!“

დაიმახსოვრეთ ქართველებო „ჩვენი“ ე.წ. პოლიტიკოსებისათვის სამშობლოს სიყვარული, სამშობლოს სიღრმისეულად განცდა უცხო ხილია და მათ სამშობლო მხოლოდ პირადი გამორჩენისთვის და პირადი მარადიული დღესასწაულისთვის სჭირდებათ მხოლოდ!

თუ ვინმეს საწინააღმდეგო არგუმენტები გაქვთ, კი, ბატონო, ვიკამათოთ!

იქამდე კი, ჩემი რედაქტორი ვახო ხარჩილავასი არ იყოს:

— „მოაქვთ და მოაქვთ სხვადასხვა ქვეყნებიდან ცინკის კობოში ჩაჭედილი ქართველების ცხედრები სამშობლოში და განმკითხავი მაინც არავინ სჩანს!“

**ირინე გოგოსაშვილი**

# ramdeni procentia bazarze gamotanili produqciidan `frankenSteinis sakvebi~




გენმოდიფიცირებული საკვები მიიღება ხელოვნურად შექმნილი თესლებისაგან, რომელიც შეიცავენ თანამედროვე ბიოტექნოლოგიების გამოყენებით მიღებულ გენომს. ეს უკანასკნელი ზრდის მოსავლის რაოდენობას და ზომას, მიღებული პროდუქტი თითქმის არ შეიცავს ვიტამინებს.

გენური ინჟინერიის მომხრეთა მთავარი არგუმენტი მშიერთა დაპურებაა. დედამიწის მოსახლეობა 6 მილიარდამდე გაიზარდა, სახნავ-სათესად გამოსადეგი და ასათვისებელი მიწები ილევა. ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი საკვებ ღირებულებას დიდხანს ინარჩუნებს და ვიზუალურად გამოირჩევა მაღალი ხასირსხით, შესაბამისად, აქვს მომგებიანი ფასი.

## გენმოდიფიცირებული პროდუქტი სიმსივნეს იწვევს — მითი თუ რეალობა?

გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღების ძირითადი მითოდი უჯრედის დაცხრილვაა. უჯრედი იცხრილება მინიატურული სხეულებით, რომელზეც სასურველი გენეტიკური ინფორმაციაა განთავსებული. რის შედეგადაც წინასწარ განსაზღვრული გენი მოხვდება მცენარის დნმ-ზე. ამგვარად ჩამოყალიბებული კავშირი არ არის საკმარისად მყარი, ამიტომ არსებობის ნებისმიერ მონაკვეთზე შეიძლება დაირღვეს. თუ ჩვენს საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვდა ამ ორ მონაკვეთს შორის არსებული ბმის გაწყვეტა, ავტომატურად ვიღებთ თავისუფალ გენეტიკურ ინფორმაციას, რომელიც უკვე შეიძლება ჩვენს საკუთარ უჯრედში ჩაენაცვლოს ნორმალურ გენს. ჩანაცვლების შემთხვევაში კი დაიწყება ინფორმაციის წაკითხვა და ორგანიზმისთვის უცხო უჯრედული მასების გაჩენა, რაც თავის მხრივ უკვე სიმსივნეა — შესაბამისად, შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ ამ ტიპის საკვები სიმსივნეს არ გამოიწვევს.

ალერგიული შოკი — კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც უკავშირდება გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს — არის ალერგია. მაგ: ქართველების ნაწილი ვერ იტანს ზღვის პროდუქტებს, ორგანიზმში მას, როგორც შხამს, ისე აღიქვამს. წარმოიდგინეთ, მივიღეთ პომიდორი, რომელშიც არის მორიელის გენი, ამან შეიძლება ალერგიული შოკი გამოიწვიოს, ან გვაქვს ალერგია არაქისზე, და არ ვიცით, რომ რომელიმე ბოსტნეულში არაქისის გენია შეყვანილი — შეიძლება ისეთი მძიმე ალერგიული შოკი მიიღოთ, რომ სიკვდილიც გამოიწვიოს. ზოგჯერ ბოსტნეულს იმისათვის, რომ ის იყოს ყინვაგამძლე, უმატებენ ჩრდილოეთის ზღვების თევზების გენს, ხოლო მაღალი ტემპერატურის პირობებში ბოსტნეულის მოსაყვანად საჭიროა მის გენს დაემატოს მორიელის ან უდაბნოს ჯიშის გველის გენი. მეტიც, გენეტიკურად მოდიფიკაციის დროს ხშირად ისეთი ორგანიზმების პროტეინს იყენებენ, რომელიც არასოდეს ყოფილა ჩვენი კვებითი ჯაჭვის ნაწილი, და არც მათი ალერგიული თვისებების შესახებ ვიცით რაიმე. ფაქტია, რომ მთელ მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოშიც, განსაკუთრებით გაზრდილია ალერგიულ დაავადებათა რიცხვი, არის სიკვდილიანობის შემთხვევებიც.

გაცილებით დიდი საფრთხის შემცველია გენმოდიციფირებული თესლი, მას აქვს უნიკალური თვისება დამტვერვის გზით მოსპოს მცენარეთა ტრადიციული, ენდემური ჯიშები. ისინი არღვევენ ეკოლოგიურ ბალანსს, მაგალითად: გენმოდიფიცირებული სიმინდი ანადგურებს ყველა მწერს, მიუხედავად იმისა, მავნეა ის მოსავლისთვის თუ არა. ისიც უნდა ვიცით, რომ ჰიბრიდული სათესლე მასალისაგან მოყვანილი ნაყოფი მეორე წელს სათესლედ აღარ ივარგებ, ასევე სათესლედ გამოუყენებელია მეზობლად მოყვანილი ადგილობრივი ჯიშებიდან ნახევარი მაინც, ვინაიდან გადამტვერვის შემდეგ ჰიბრიდული გენები აშეერევა. გენმოდიფიცირებული თესლი საფრთხეს უქმნის ნიადაგსაც — კანადაში და მექსიკაში ჩატარებული კვლევებით დადასტურდა, რომ მიწის ის მონაკვეთები, რომელზედაც 15-20 წლის განმავლობაში მოგვყავდათ გენმოდიფიცირებული პროდუქტი, ისე გამოიფიტა, რომ დღეს ის მკვდარი ზონაა და ამ ფართობების ნაყოფიერება აღდგება 25 წლის შემდეგ, ისიც მიწის ხელოვნურად გამდიდრების გზით.

ევროპის უმეტეს ქვეყნებში გენმოდიფიცირებული პროდუქტები თითქმის არ იყიდება, ან თუ იყიდება აუცილებლად დიდი ასოებით აწერია, რომ საკვები არის გენმოდიფიცირებული პროდუქტებით დამზადებული და ადამიანი თავად ირჩევს შეიძინოს თუ არა ის. საგულისხმოა ისიც, რომ სამხრეთის ზოგიერთმა ქვეყანამ ჰუმანიტარულ დახმარებაზეც კი თქვა უარი, იმ მიზეზით, რომ იგი გენმოდიფიცირებულ პროდუქტს შეიცავდა. ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალულია გენმოდიფიცირებული თესლის შეტანა, ამ საკითხს განსაკუთრებული სიმკაცრით ეკიდებიან მცირემიწიანი ქვეყნები.

საქართველოში პირველად გენმოდიფიცირებული პროდუქტი 1996 წელს შემოიტანა ამერიკულმა კომპანია "მონსანტომ" - ეს იყო ტრანსგენური კარტოფილი და მოხდა მისი კულტივაცია. იმ წელს საქართველოში 148 ტონა სათესლე კარტოფილი შემოიტანეს. 1997 წელს მარტო წალკის რაიონში ტრანსგენური კარტოფილი 142 ჰექტარზე დაითესა, შესაძლებელია, საქართველოში წარმოებული კარტოფილის და სოიოს გარკვეული ნაწილი დღესაც გენმოდიფიცირებული იყოს, მაგრამ ამ ვარაუდის დასაზუსტებლად საჭიროა ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება. სამწუხაროდ, საქართველოში არ გვაქვს ისეთი ლაბორატორია, სადაც მოხერხდება ამგვარი პროდუქტების კვლევა.

1998 წელს "მონსანტომ" მოახდინა სოიოს და ბამბის გენური მოდიფიკაცია. 2000 წელს კი შექმნა ზრდის ჰორმონი, რომლის გამოყენებით ძროხების წველადობა იმატებდა, მაგრამ ამ ჰორმონს ბევრი უკუჩვენება გააჩნდა, ამიტომ მასზე უარი თქვა ევროპამ, ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ.

ჯანმრთელობისთვის არანაკლებ საშიშია გენური ინჟინერიით მიღებული სკავებდანამატები.



ემულგატორები — ემულგატორისგან შექმნილი ემულსიის საშუალებით საკვები ხდება გემრიელი, დიდხანს შენახვადი, პლასტიკური. ემულგატორები განსაკუთრებით სახიფათოა ბავშვებისა და ორსულებისთვის. ემულგატორის აღმნიშვნელი ნიშანია ე მაგ: ე123, ე510, ე513 და ასე შემდეგ, საკმაოდ გრძელი სიაა საშიში ემულგატორებისა. ისინი გვხვდებიან ყველგან: ნაყინში, ძეხვში, შოკოლადში, ფუნთუშეულში, სალეჭ რეზინში. საშიში ემულგატორების კლასიფიკაციის შესახებ ქართველმა სპეციალისტებმაც იციან, მაგრამ ვერ მიაღწიეს კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომ მსგავსი ემულგატორებით დამზადებული პროდუქტების შემოტანა აიკრძალოს. ამ ემულგატორებით იღებენ ძეხვის ფერს, გაყინულ პროდუქტს ვარგისიანობის ვადას უზრდიან, პურიც უფრო ფუმფულა გამოდის და ნამცხვარიც, ყავა და შოკოლადი ბევრად უფრო გემრიელია, მაგრამ მომაკვდინებელი. სამაგიეროდ, ასეთი პროდუქტი დიდხანს ძლებს დახლზე, შესაბამისად იმპორტიორები ხეირობენ და ასევე ხეირობს განვითარებადი ექსპორტიორი ქვეყნების სახელისუფლებო ჯგუფები, რადგან ასეთი საკვები ძალიან იაფი ჯდება და და როგორც ვნახეთ, საქართველოში მისი ძვირას გაყიდვაც შესაძლებელია, შესაბამისად, - მოგება მეტი მოაქვს.

## როგორ პროდუქტებს მოვერიდოთ:

ფალსიფიცირებულ რძის ნაწარმებს. ასეთ პროდუქტებში რძის ცხიმი სხვა ცხოველური ცხიმით არის ჩანაცვლებული. თუ ეტიკეტში მითითებულია მცენარეული ცხიმი ან ცხოველური ქონი — ნუ შეიძენთ. თუ ეტიკეტზე მითითებულია რომ არ შეიცავს ქოლესტერინის (ან ეს სამარხვო პროდუქტია) ნურც ასეთ ხაჭოს, კარაქსა და მაიონეზს შეიძენთ. კარაქი კონცეტრირებული რძის ცხიმია, ის მაღალკაროლიურია და ამასთან ადვილი ასათვისებელი. ამავე რაოდენობის მცენარეული ცხიმი გაცილებით რთული ასათვისებელია. არაჟნის არჩევისას შეიძინეთ პროდუქტი, რომელშიც ბაქტერიული კულტურა ცოცხალია. ამის გამოსაცნობი მეთოდი გაცილებით ადვილია - თუ პროდუქტს აწერია, რომ მისი შენახვის ვადა 5 დღეზე მეტია, მას ნუ შეიძენთ, რადგან მასში აუცილებლად დამატებულია გენური ემულგატორები.

სამარხვო პროდუქტების უმეტესობა სიოს ლეციტინზე მზადდება. სოიოს გადაჭარბებული მიღება იწვევს ბიჭებში ფსიქიურ აშლილობას, უარყოფითად მოქმედებს ფარისებრ ჯირკვალზე და მთლიანად ენდოკრინულ სისტემაზე, იწვევს ნაადრევ დაბერებას და ტვინში სისხლის მიმოქცევის რღვევას. ასევე უარყოფითად მოქმედებს ემბრიონის თავის ტვინზე, ამიტომ ექიმები მის მიღებას უკრძალავენ ორსულებსა და 3-წლამდე ბავშვებს. ეს ჩამონათვალი სოიოს სუფთა ჯიშების ჭარბი გამოყენების შემთხვევებს ეხება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად ბაზარზე გამოტანილი სოიოს 85 % გენმოდიფიცირებულია, მაშინ ამ ჩამონათვალს დაემატება ყველა ის საშიში თვისება, რომელიც მსგავს პროდუქტს გააჩნია.

## როგორ ავირჩიოთ პური?

პური უნდა იყოს ელასტიური, თითის მსუბუქი დაჭერით უნდა ჩაიზნიქოს და მალევე დაუბრუნდეს საწყის ფორმას. კანი უნდა იყოს ხრაკუნა, პრიალა, ოდნავ ამობურცული, თანაბარი ზედაპირით, ნახეთქების გარეშე. უნდა იყოს შეფუთული. თუ პურს ვადა აქვს 7-14 დღე - ნუ შეიძენთ, მასში დამატებული იქნება ქიმიური კონსერვანტები. თუ პური ქათქათა თეთრია, მაგრამ უგემური და ან რბილობი იფშვნება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ფქვილი ქიმიურად გაათეთრეს და მეწარმემ ცომში სხვადასხვა საკვებდანამატები შეურია. მოერიდეთ ასეთ პურს. რუხ და შავ პურში ხშირად ჭვავის ფქვილის ნაცვლად მუქი ფერის საღებავია დამატებული. მართალია, საქართველოში არ არსებობს ლაბორატორია, რომელიც გაარკვევს ჭვავის პური საღებავითაა გაჯერებული თუ მართლა ჭვავის ფქვილისაგან დაცხვა, მაგრამ შეგვიძლია სახლის პირობებშიც შევამოწმოთ: ჩავფშვნათ პური წყალში, შევანჯღრიოთ, თუ წყალს მოყავისფრო (ჩაის ფერი) ფერი მიეცა, ე.ი. პური შეღებილია. თუ პურში კოშტები შეგხვდათ — ესე იგი მეწარმემ ცომში ძველი პურის დამბალი რბილობი შეაზილა და ისე გამოაცხო. თუ პური მეორე, მესამე ან მეოთხე დღეს მძაღე გემოს იძენს და სველი და წებოვანი ხდება, მასში კარტოფილის ან თივის ჩხირებია და ამ მეწარმის ნაწარმს ნუღარ შეიძენთ. დაიმახსოვრეთ: პური შეიძლება დაობდეს, მაგრამ არასოდეს გახდება წებოვანი, პურის წებოვნების მიზეზი მხოლოდ მისი დასნებოვნებაა.

მოერიდეთ გაყინულ ხორც-პროდუქტებს — რადგან მათში აუცილებლად იქნება შერეული რამდენიმე ემულგატორი, და სოიოს ცხვნილის ნაყენი. როგორც წესი, გარეგნულად ამგვარ პროდუქტს არაფერი ეტყობა, მაგრამ თუ გაყინულ ქათმის კანს ბევრი ნასვრეტი ამშვენებს, ესე იგი, იგი არა მხოლოდ გენმოდიფიცირებულია, არამედ "დილეტანტის" ნამუშევარიც, ასეთ ქათამს ნუ შეიძენთ.

ცოტა ხნის წინ, ამერიკაში გარდაიცვალა 22 წლის გოგონა, რომელიც ყველადღიურად სვამდა დიდი რაოდენობით კოკა-კოლას, სიკვდილის გამომწვევ მიზეზად სწორედ ამ სასმელის გადამეტებული მიღება დასახელდა. ზოგჯერ ჩვენი სურვილები საკვებისა და სასმელის მიმართ ძალიან მძლავრია, ამიტომ კარგი იქნება თუ სურვილების "ჩანაცვლებას" ვისწავლით:

შოკოლადის და მჟავე პროდუქტის მირთმევის სურვილი გიჩნდებათ ხშირად? — ე.ი. ორგანიზმს მაგნიუმი აკლია, რასაც მოუხალავი მზესუმზირა, თხილი და პარკოსანი მცენარეები შეგიცვლით.

**SOS!!!** გენური ინჟინერია "სინჯარის" მეცნიერებაა. სინჯარაში შესწავლილი გენის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, თუ როგორია და როგორ იქცევა ის ამ სინჯარაში, მაგრამ თითქმის ვერაფერს ვიტყვითყ მის როლსა და ქცევაზე მშობლიურ ორგანიზმში, და მით უმეტეს სრულიად უცხო ორგანიზმში მისი გადატანის შემთხვევაში. გენმოდიფიცირებული პროდუქტი აუცილებლად აისახება ჩვენს ჯანმრთელობაზე და საბოლოო ჯამში დემოგრაფიაზე.

**თამარ კუჟელავა**

# provokaciebi nacionalurad

## vin dagegma saqarTvelos parlamentSi da parlamentis win somxur-azerbaijanuli `razborkebi~ anu arnolZik, ai, tya! suskaceli...







გასულ კვირას საქართველოს დედაქალაქ თბილისში „მავანმა“ ერთი მეტად შემაშფოთებელი, შორსგამიზნული და ვერაგი პროვოკაცია დაგეგმა და ზედ პარლამენტის შენობის წინ საქართველოს თვითმარქვია პარლამენტისგან, მისი სადეპუტატო უმრავლესობისაგან და „დაჟე პრეზიდენტ“ მიშიკასგან ოსმალების მიერ სომხების წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის აღიარება მოითხოვა!

ვააა! აი ესღა აკლდა, აი, ამის დამტკიცება და აღიარებაღა აკლდა ამ პარლამენტს და ამასაც მალე „გაიჩალიჩებს“ თუ ყველამ ერთად ბოლო არ მოვუღეთ მათ აღვირახსნილ ქმედებებს, გნებავთ, ქვეყნის შიგნით და გნებავთ ქვეყნის გარეთაც...

„საერთო გაზეთის“ მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს ის პერიოდი, როცა ნუგზარ წიკლაურის მიერ შარშან ინიცირებული „ჩერქეზთა გენოციდის“ საკითხი საქართველოს თვითმარქვია პარლამენტის წინაშე დიდი ზარზეიმით გამოიტანეს! აგრეთვე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ჩერქეზები თბილისშიც ჩამოიყვანეს, ნიანგის ცრემლებიც ღვარეს. უი, უი, ეს რა გიქნეს რუსებმაო“ და პარლამენტში, ჩერქეზების მიწვევის პარალელურად, „ჩერქეზთა გენოციდი“ როგორ ერთხმად სცნეს, ამ „არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო“ — უთქვამს ქართველ ბრძენკაცს და რა გასაკვირია, რომ ეს ნათქვამი, ხშირ შემთხვევაში, „ამათ“ გადამკიდეს პირდაპირი მნიშვნელობით აგვიხდება ხოლმე ქართველებს?

**ერთი — ნუგზარ წიკლაური ვინ გდია (ანდა მთლიანად საქართველოს პარლამენტად წოდებული ხროვა), რომ საქართველოს მომავალზე, თუნდაც „ჩერქეზული ვარიაციებით“ პროვოკაციები მოგვიწყოს? ანდა, თვითონ დათო ბაქრაძე ვინაა, ჩაქუჩის ბრაგუნით უხელმძღვანელოს ერს — აი, რუსების ჯინაზე ასე და ასე ვიზამთო? ვინაა გოკა გაბაშვილი, აკუ მინაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, მიშა მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, ჩიტი-ჩიორა თაქთაქიშვილი და ბოლოს, პარლამენტის „ძველი ბიჭი“, საგარეჯოს „მხედრიონის“ უფროსის, გელა გოდერძიშვილის სიძე, კაკოია ბოზოხიძე, მალაყებზე რომ გადადის ყოველ ჯერზე და ვინმემ მართალი თუ თქვა, ეგრევე საცემად რომ იქაჩება?**

ოეეე კაკო! აბა თუ ბიჭი ხარ, ქუჩაში დაცვის გარეშე იარე, რა მოგივა ერთი? შენ ის „ძველი ბიჭი“ არ ხარ, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქუთეისში, მუცლის გაზივით რომ დეიპარებოდი აღმა-დაღმა და ხმას, ნაც. აქტივის გარდა, რომ „არავინ გაძლევდა? ბოლოს, ჯარიც რომ ჩამოატარეს უბნებზე და ხმები რომ ჩაგიყარეს, ის არ ხარ შენ?

მოკლედ, ასეა თუ ისეა, პარლამენტის წინ, გასულ კვირას, სომეხი გოგო- ბიჭები მივიდნენ და საქართველოს პარლამენტში შემძვრალ საკუთარ გვარგადაკეთებულ თანამოძმეებს ქვემოდან შეუძახეს — „აბა, დავაი, როგორც ჩერქეზთა გენოციდი აღიარეთ, ისე სომეხთა გენოციდიც გვიღიარეთო!

ამ დროს პარლამენტში პლენარული სხდომა მიმდინარეობდა და დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ „კოლეგებს“ ასე მიმართა: „აქ არიან ჩვენი ქვეყნის თანამოქალაქეები: სომხები, თბილისელები თუ რაიონებიდან ჩამოსულები და ჩვენგან ითხოვენ სომეხთა გენოციდის აღიარებას და ჩვენს მხარდაჭერას!მე ხომ გეუბნებოდით, როცა ერთდღიან პიარაქციას, სამასხარაო პიარაქციას აწყობდით და გინდოდათ ჩერქეზთა გენოციდი გეღიარებინათ, რომ არ გეღიარებინათ, რომ არ გაგეკეთებინათ ეგ საქმე? ხომ გეუბნებოდით, ხვალ სომხები მოვლენ და სათქმელი არ გვექნება არაფერითქო? მაინტერესებს, რა გინდათ? ანდა რა გინდათ უპასუხოთ ამ ხალხს?“

**როგორც მოსალოდნელი იყო, სომეხი ახალგაზრდების პარალელურად, პარლამენტის წინ ახლა აზერბაიჯანელი გოგო-ბიჭები გამოჩნდნენ და „ერევნული გოთვერნოზები“ გააპროტესტეს, მაგრამ ამ დაპირისპირებაში მთავარი ის კი არ არის, ვის რისი აღიარება, ან არ აღიარება უნდოდა, არამედ მთავარი ის არის, ეს ჩვენი საქართველო ვინ და რატომ შეარჩია „რაზბორკების“ არენად?**

ვინ მოიყვანა, რატომ მოიყვანა, ანდა ვისი ხელმძღვანელობით შეგროვდნენ მწყობრში სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები საქართველოს „საკანონმდებლო ორგანოსთან“, არ უნდა გვაინტერესებდეს?

ჰოდა, რომ გვაინტერესებს, ამიტომაც ვკითხულობ, ვინა ხარ შენ, დეპუტატო მარნეულიდან აზერ სულეიმანოვო, ანდა დეპუტატო არმენაკ ბაინდურიანო, ხელებს რომ იქნევთ აქეთ-იქით და იმ ქვეყნის პრობლემები რომ შემოგაქვთ ჩვენს ქვეყანაში, რომელთა გენოციდში ჩვენ, ქართველებს, არანაირი კავშირი არა გვაქვს? ანდა ვინ გდიხართ, ზოგადად იქვე ნაც.ბაცილები.

საქართველოში ახალ-ახალ პროვოკაციებს რომ გეგმავთ და ხშირად ანხორციელებთ კიდევ? როგორ ბედავთ თქვენ აზერ სულეიმანოვო, მართალ კაცზე გაიწიოთ და ჭიქა ესროლოთ მას, ვინც პროვოკაციის აღკვეთას ლამობდა? ანდა ის რა იყო ბათუმელ ჯონდი ბაღათურიას ნამდვილ გვარსაც გაგვიმხელთ! იქამდე კი მოგახსენებთ, რომ ჯონდის ოჯახობა დედა-ბუდიანად აქამდე ქართველები, ცხოვრობენ ბათუმში და მის მამას, ბატონ ალკაზარ ბაღათურიას, რაღა დაგიმალოთ და პირადად ვიცნობ!

ახლა რაც შეეხება თვითონ სტუდენტი ახალგაზრდობის თავყრილობას პარლამენტის წინ...

**მეტად საგულისხმოა, რომ სომეხი ეროვნების ახალგაზრდა პროვოკაციული მოთხოვნის პარალელურად, ასევე პროვოკაციულად იყო მობილიზებული სომხეთის და აზერბაიჯანის ტელევიზიათა ჟურნალისტები, თავიანთი ვიდეო- კამერებითა და ბლოკნოტ „პასტებით“ შეიარაღებულნი და არ მითხრას ახლა ცინიკოსმა დათო ბაქრაძემ, ანდა კაკო-ტაკო ბოზოხიძემ ესეც შემთხვევით მოხდა და „ნაც.მოძრაობამ“, ვანო მერაბიშვილმა და კიდევ ბევრმა ჩვენთაგანმა არაფერი ვიცოდითო და ჩვენ არაფერ შუაში ვართო!!!**

(ისემც თავები გაგიხმებათ) ისე, კი ე.წ. პარლამენტის, ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის (?) სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ერევნულმა პარლამენტმა მართალია დოკუმენტურად არა, მაგრამ სიტყვიერად მაინც აღიარა სომეხთა გენოციდი და მოგახსენებთ, როგორც: დ.ბაქრაძე: —„ეს არის ტკივილი და ტრაგედია, რომელიც გავიარეთ და ამ ტრაგედიას არ სჭირდება პოლიტიკური გამოსვლები და ისეთი ფორმით სპეკულაცია, როგორადაც ეს ჩვენი ზოგიერთი გამომსვლელი პოლიტიკოსისგან მოვისმინეთ. ეს არის ტკივილი, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ და ეს არის ის ტკივილიც, რომელიც საქართველომ განიცადა და განიცდის. ამიტომ, მოდით, ნუ ავყვებით პროვოკაციას და ამ პროვოკაციულ განცხადებებს. ყველაზე დიდი მტრობა ამ ქვეყნის არის ეთნიკური შუღლის დათესვის მცდელობა, ამიტომ მოგიწოდებთ, ნებსით თუ უნებლიედ ნუ გავხდებით იმ თამაშის მონაწილეები, რომელიც მხოლოდ ერთ მტერს აძლევს ხელს“.

**ჯერ ერთი, რომელია „ის ტკივილი და ტრაგედია“, ანდა რატომ არის დავით ბაქრაძისთვის ასე „მტკივნეული და განცდებით სავსე“ ოსმალეთის იმპერიის მიერ ჩადენილი ქმედება? და აქვე, მეორე დალოცვილო! თუ ამბობ, რომ ეთნიკური შუღლის დათესვა საქართველოს დაღუპავსო, რატომ პირადად არ ჩაბრძანდი იმ სტუდენტებთან და არ უთხარი მათ პირდაპირ, შვილებო, საქართველო არ არის ის ადგილი, სადაც ეს ამბავი უნდა ირჩეოდეს, მაშინ ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი-თქო?**

ანდა, როგორ დავიჯერო, ამ მართლაც პროვოკაციული შეკრებების შესახებ თქვენ, თქვენმა „უმრავლესობამ“, სომხებიან-აზერბაიჯანლებიანად და თქვენზე აწებებულმა მოღალატე ქართველებმა არაფერი იცოდით? ლამისაა ცრემლები რომ გადმოგცვივა „მავანთა“ პროვოკაციებზე, იქნებ ისიც დაგვიკონკრეტო, გენოციდის შემთხვევაში, რომელ ერს გულისხმობდი სომხებს, რომლებიც თურქებმა გაჟლიტეს თუ იმ 60 000 აზერბაიჯანელს, რომლებსაც 1918 წელს სომხებმა მუსრი გაავლეს! თუ ქართული პარლამენტის თავმჯდომარედ მიგაჩნია თავი და ასევე ქართველად მოგაქვს თავი, იქნებ, ემაგ შენი „მაღალი ტრიბუნიდან“ ისიც გეთქვა, რომ, ამ პროვოკაციას უთუოდ გამოვიძიებთ და მკაცრად დავსჯით მათ, ვინც ეთნიკური შუღლის გაღვივებას ასე გულმოდგინედ ცდილობსო?!

გიმეორებთ, რატომ არ დააყენეთ დღის წესრიგში საგამოძიებო კომისიის შექმნის თემა და რატომ არ ინტერესდებით, ვინ იყო იმ სტუდენტების ორგანიზატორ-იდეოლოგი?

მთელი უბედურება იმაშია, რომ ყოველთვის გაღმა მოდავეს გამოღმა ედავებით და აკი, თქვენს მიერ კონტროლირებულმა მედიამ აქეთ დაადანაშაულა ჯონდი ბაღათურია, მაგას არჩევნების წინ ამომრჩევლის გულის მოგება უნდა და პარალელურად კიდევ ეთნიკური შუღლის გაღვივებაცო?

როდესაც დეპუტატ ბაღათურიას, ამ და სხვა საკითხებზე ინტერვიუს ჩაწერა შევთავაზე, ასეთი რამ მითხრა: „მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს გცემ, ვფიქრობ, აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი...

— რატომ? — შევეკითხე მე.

— იმიტომ, რომ ყველამ ნახა, სინამდვილეში ვინ იყო პროვოკატორი და ვინ არა! მე ვფიქრობ, რომ თემა ამოწურულია და ჩვენმა ფრაქციამ „ნაც.მოძრაობას“ 100-0 მოუგო!

— ჯონდი, დეპუტატმა აზერ სულეიმანოვმა შენი გვარი „ბაღათურიანად“ რატომ მონათლა? მე ვიცი, რომ ბათუმელი ხარ, დედაც ჯიშით ქართველი გყავს და მამაც და რაშია საქმე?

— იცი? ეგ ყველაფერი მისი მხრიდან იყო „დიშოვი“გამოხტომა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა მაგასაც და სხვასაც...

— ეგ კიდევ საკითხავია, გაპატიებენ თუ არა ეთნიკური შუღლის პროვოკაციის აღკვეთას. შენ გაქვს გარანტია იმისა, რომ იგივე, ან სხვა პროვოკაციის გზით, რაიმე შარში არ გაგვხვევენ?

— მაგის გარანტია რა თქმა უნდა, არავის არა გვაქვს, მაგრამ ვიდრე შეგვიძლია, ნებისმიერი გზით, უნდა აღვკვეთოთ!

ეეეჰ, აღკვეთით კი აღვკვეთთ, ჩემო მკითხველო, მაგრამ როდის იყო, რომ ასეთი პროვოკაციების წინ ჩვენ ქართველებს წინდაწინ გვაყენებდნენ საქმის კურსში?

**ისე, რა მაგის პასუხია და... ამ დალოცვილ ჰაოსებს, თუკი მაინცდამაინც საქართველოს პარლამენტის მხრიდან უნდათ დასტური ოსმანთა მიერ, სომეხთა გენოციდისა, ეს ტინგიცა გოგო-ბიჭები რას შემოუსიეს პარლამენტს? რა, დავიჯერო, არ იციან, რომ მაგ საქმეს ყველაზე უკეთ „გარეგინ ვტაროი“ გააკეთებს და ამ „ჩვენს ნაჰაოსარებსაც“ სულ „რაკომ“ დააყენებს თუ მოინდომა?**

არა გჯერათ? ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ, ოღონდ მერე არ დაგვიწყოთ — თურმე რა მართლები ყოფილხართო?

**და ერთიც არნოლდა სტეპანიანის გასაგონად!**

**ბიჭო! სულ რო ქსენოფობია გაკერია მაგ პირზე, ახლა მაინც თქვი, რომ მიჰქარავ და აღიარე, რომ შენი თანამოძმეების „პრავაკაციები კაკრაზ“ ქსენოფობიას, ეთნიკური შუღლის გაღვივების და საქართველოს დედის სატირებლად იყო გამიზნული! ჰოდა, ამის შემდეგ შენი ხმა აღარ გავიგოთ ქართველებმა და მოკეტე პაშალუსტა! ვერ გაიგე? ხარაშო, სომხურად გეტყვი: „აი, ტყა! სუსკაც ელი...“**

მაინც ვერ გაიგე? მაშინ იმ ენაზე გეტყვი, ვისი დავალებითაც შენი ჯიშის ლაწირაკები რუსთაველის გამზირზე გამოეფინენ და ულტიმატუმით დაგვიწყეს ლაპარაკი, არნოლძიკ დოროგოი, პოშოლ ტი ნა ხუი ბოლვან ი ჩტობ ტვოეგო დუხა ბოლშე ნე ბილო, პონიალ? ეხლა წადი და „სუდში“ მიჩივლე, მე ჩემი სათქმელი გითხარი და დანარჩენი კი „პარდონ“ და სულ ფეხებზე მკიდია! ასკაცა?

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. „საერთო გაზეთის“ რედაქტორს კი ვთხოვ, თითოეული სიტყვა უცვლელად დატოვოს, რადგან ჩემს სტატიაში მოყვანილ სიტყვებზე მე ვაგებ პასუხს და სხვა არავინ.**

# saakaSvili ukve aravis endoba da sakuTari dacvis mTlianad Secvlas apirebs?

მახათას მთაზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის „ვოიაჟი“, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოების განსჯის საგანი. „სახალხო კრების“ მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის დავით პაპულაშვილის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილს ეს ყველაფერი საკუთარმა გუნდის წევრებმა „გაუჩალიჩეს“, რათა მთელ მსოფლიოს ეხილა საქართველოს ე.წ. პრეზიდენტის ნამდვილი სახე. თუ ქართველი ანალიტიკოსების იმ დასკვნასაც გავითვალისწინებთ, რომელსაც ისინი კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციების საფუძველზე აკეთებენ, დავით პაპულაშვილის ამ განცხადებას ნამდვილად აქვს მყარი არგუმენტი. ანალიტიკოსების აზრით, გიგა ბოკერია სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობისგან“ დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს და ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობას და მათ შორის თეთრ სახლსაც საკუთარი პერსონა უკეთესად და დადებით კონტექსტში გააცნოს. რატომ აკეთებს ამას ბოკერია, რამდენიმე სავარაუდო პასუხი არსებობს, თუმცა ბოკერიას ამბიციებს თუ გავითვალისწინებთ, ყველაზე სარწმუნო ვერსია ისაა, რომ იგი უმაღლესი თანამდებობისკენ მიისწრაფის, თუმცა ამ ეტაპზე საუბარი პრეზიდენტობაზე უფრო პრემიერ-მინისტრობაზეა.

სხვათა შორის, ჩვენი რესპონდენტი 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო მცხეთის რაიონში, თუმცა მისი გამარჯვებიდან ერთ კვირაში დავით პაპულაშვილი ოპოზიციაში გადაბარგდა და დღემდე იქ რჩება.

დავით პაპულაშვილი: „ჩემი აზრით, პრეზიდენტი და მიხეილ მაჭავარიანი ქვეყანაზე ფიქრსა და ზრუნვაში „გადაღლილები“ ჩანდნენ, თუ რა თქმა უნდა, იმ მდგომარეობაში არ იყვნენ, რასაც საზოგადოება ფიქრობს. სიმართლე გითხრათ, ამ საკითხს მე უფრო სხვანაირად ვუყურებ, ყოველ შემთხვევაში, იმედი მომეცა, რომ ხელისუფლებაშიც არიან ადამიანები, რომლებსაც მსოფლიოსთვის უნდოდათ ეჩვენებინათ, აი, ეს არის საქართველოს სახეო. მე მათ სახელმწიფოებრივად მოაზროვნეებს დავარქმევდი, თუ მართლაც სპეციალურად გამოუშვეს ამ მდგომარეობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი მახათას მთაზე, მისი ნამდვილი სახე რომ გამოჩენილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეიძლება სახელმწიფოში არ არსებობდეს ისეთი სამსახური, რომელიც ამ ყველაფერს ალკვეთს, სულ მინიმუმ, რჩევას მაინც მისცემს ქვეყნის პირველ პირს, რომ ამ მდგომარეობაში არ გამოჩნდეს მსოფლიოს წინაშე. ამ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა ეკლესიის სიახლოვესაც კი არ უნდა გაიაროს, არათუ ტაძრის საძირკვლის ჩაყრაში მიიღოს მონაწილეობა. ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვისაც მიუღებელი გახდა სააკაშვილის პერსონა. მართალია, მისი გაპრეზიდენტებიდან ერთ კვირაში ოპოზიციაში ჩავუდექი, მაგრამ არასდროს მითქვამს, რომ ეს კაცი ცუდია, თუმცა ახლა ზიზღის გარეშე მიჭირს მასზე საუბარი. მაშინ ჩემთვის, უბრალოდ, მიუღებელი იყო მისი ურთიერთობის ფორმა საკუთარ ხალხთან. შეიძლება, ბევრი კარგიც გააკეთა ქვეყნისთვის, მაგრამ რა აუცილებელი იყო ქვეყნის მართვის ეს ფორმა, იქნებ სხვანაირი მმართველობის პირობებში უფრო მეტი სიკეთე გაეკეთებინა? ოპოზიციონერობა მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას მხარს არ უჭერდე. ოპოზიციამ უნდა მიუთითოს ხელისუფლებას, თუკი ეს უკანასკნელი ვერ ხედავს, სად აქვს შეცდომები და დანაშაული, მაგრამ ხელისუფალიც უნდა ღებულობდეს ამ მითითებებს და შეცდომებს ასწორებდეს. ასეთი ოპოზიცია ნამდვილად არის „სახალხო კრება“, რომელიც მუდამ იმას ამბობს, რომ ჩვენ ქვეყანას გადარჩენა სჭირდება“.

სააკაშვილმა იცის, რომ წამსვლელია და ამიტომაც აღარ აღელვებს, რა მდგომარეობაში გამოჩნდება საზოგადოების წინაშეო. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას? ისე საეჭვოა კაცი, რომელმაც მილიარდიანი რეზიდენცია აიშენა, თავისი საახლობლო კი მილიარდერები გახადა ხელისუფლებიდან წასვლას ფიქრობდეს. ახლახანს თურმე დედამისს აჭარის საჯარო რეესტრის შენობა ერთ ლარად აჩუქა, აღარაფერს ვამბობ სხვა ქონებაზე, თუნდაც ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებზე. როგორც შევიტყვეთ თავისი დაცვის მთლიანი შემდგენლობის შეცვლასაც გეგმავს, ეტყობა, აღარავის ენდობა.

არ აღელვებსო, გადაჭარბებული სი პრობლემაა და არა დაცვის. მოკლედ, ის ყველაში უკვე მტერს ეძებს. სხვათა შორის, ეს ფაქტორი ძალზე კარგად მუშაობს დღევანდელ სიტუაციაზე, ბიძინა ივანიშვილმა შეძლო, რომ ხელისუფალი ამ მდგომარეობამდე მიეყვანა. ისე, საზოგადოებისთვის რა მნიშვნელობა აქვს ენდობა თუ არა სააკაშვილი თავის დაცვას, იქ შიგნით მისი მოკვლა რომ უნდოდეს ვინმეს, აქამდე ვერ მოკლავდნენ? პირიქით, მან დიდხანს უნდა იცოცხლოს, რომ საკუთარი თვალით ნახოს, როგორ ვითარდება მის გარეშე საქართველო. სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლასთან დაკავშირებით კი იმას გეტყვით, რომ ძალზე იმედიხეთ, ყველას ციხეში შეგვაბრუნებდნენო. აი, ამ ფორმით დაიმორჩილა ხელისუფლებამ საზოგადოება და როცა თავადვე დაჭირდა, საზოგადოება გვერდით არ დაუდგა ხელისუფლებას იმის შიშით, რომ თვითონვე დაიჭერდა.

**— ბატონო დავით, მოგეხსენებათ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან დაკავშირებით საჯარიმო სანქციები გამკაცრდა. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ამის მიზეზი ბიძინა ივანიშვილის მხრიდან პოლიციის დაფინანსების შეწყვეტა ყოფილა.**

— რამდენიმე დღის წინ სატელევიზიო დებატებისას შალვა ოგბაიძემ და ავტოექსპერტმა დავით მესხიშვილმა ამ თემაზეც ისაუბრეს. მესხიშვილმა სასაცილო არგუმენტები მოიყვანა სანქციების გამკაცრების გასამართლებლად, ზოგიერთ ქვეყანაში ამაზე დიდი ჯარიმებია და ჩვენთან ამის მესამედი რატომ არ უნდა იყოსო. მოკლედ, გარე მოხმარებისთვის საკუთარ პოზიციებს მკაცრად იცავენ. იმას რატომ არ ფიქრობს ეს ხელისუფლება რა მდგომარეობაშია იმ ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ეკონომიკა და მოსახლეობა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენს ქვეყანაში ხომ ორმაგი სტანდარტი არსებობს, ვიღაცისთვის კანონი არაფერს ნიშნავს, ვიღაცას კი მთელი სიმკაცრით სჯიან. ასე, რომ ეს გამკაცრებული სანქციები მხოლოდ „უბრალო მოკვდავთ“ შეეხება. მინდა გითხრათ, რომ ეს „სიახლე“ არც „სანაქებო“ პატრულისთვის და არც ხელისუფლებისთვის სასიკეთოდ არ იმუშავებს.



ნათქვამია, პირიქით, ვფიქრობ, ეს ნერვიულობის შედეგია, რადგან კარგად იცის, რომ მისი წასვლის დრო დადგა, არადა დარჩენის ძალზე დიდი სურვილი აქვს. ცხადია, უკანონოდ ნაშოვნ ქონებაზეც ნერვიულობს, თავადვე არ დაამკვიდრეს პრინციპი – იყო შენი, გახდა ჩემი და ამ ყველაფერს სახელმწიფოს პირველი პირი არეგულირებდა. ამან შექმნა მონოპოლიები და დააქცია ქვეყანა. ჩემთვის ის კი არ არის მთავარი, სააკაშვილმა ვთქვათ, 3-მილიონიანი ქონება ერთ ლარად რომ აჩუქა დედამისს, მთავარი ისაა, რა შედეგი მოუტანა სააკაშვილს დედამისისთვის ნაჩუქარმა ქონებამ, ამაზე თუ იფიქრა სააკაშვილმა, როცა ჩუქნიდა. იმუშავებდა კი ეს საჩუქარი ქვეყნის სასიკეთოდ? გახსოვთ ალბათ შევარდნაძემ პოლონეთიდან „შოკური თერაპიის“ ავტორი ბალცეროვიჩი რომ ჩამოიყვანა. ამ პროექტმა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ეკონომიკა ფეხზე დააყენა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არ იმუშავა. უბრალოდ, ერთი მუჭა ადამიანები გამდიდრდნენ, ეს იყო და ეს. მე გაჩუქებული ქონებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული მოგება ჯერ არ მინახავს.

რაც შეეხება დაცვის შეცვლას, ეს ინფორმაცია მეც მოვისმინე, სანამ სააკაშვილი ხელისუფლებიდან არ წავა, მანამდე ასე შეცვლის. იგი ქვეყანას ველარ მართავს, ელჩებს ეუბნება — თქვენ საქმეს მიხედეთ, ჩვენ საქმეში ცხვირს ნუ ყოფთო. საზოგადოებას უმტკიცებს, ყველაზე კარგი მე ვარო და იმ ფორმით ჩნდება, რა ფორმითაც ვიხილეთ. ჯერ ერთი, რა სააკაშვილის საქმეა დაცვის შეცვლა, ამისთვის სახელმწიფო უშიშროების სამსახური არსებობს. რა თავისი საძმაკაცო უნდა მოიყვანოს და ისინი დაიცავენ არჩევნებში დამარცხებისგან? ისე თუ უნდა შეცვალოს, ეს მიანად ვარ, რის საფუძველსაც დღევანდელი სიტუაცია მაძლევს. შეიძლება ის მრავალნაირ პროვოკაციაზე წავიდეს, მაგრამ უბრალოდ, ამ კაცს არც მორალური უფლება აქვს და არც ზნეობრივი, რომ ხელისუფლებაში დარჩენაზე იფიქროს, მითუმეტეს 17 აპრილის შემდეგ. დარწმუნებული ვარ, ამ დღის შემდეგ საზოგადოებას



რაც არ უნდა ელაპარაკოს, ვეღარაფერს დააჯერებს. აქვე მინდა ერთი ამბავი მოგიყვეთ. ნამდვილი ამბავია, ოღონდ არ დავკონკრეტდები, რომელ რაიონში მოხდა. ამ რაიონის გამგებელს ქორწილში სცემეს, თანაც ისეთმა კაცმა სცემა, რომელსაც ეს გამგებელი ვერ უჩივლებდა. ქორწილიდან გამოსულ გამგებელს თავისიანებისთვის უთქვამს, რატომ არ მომეხმარეთო. პასუხი არ გაინტერესებთ? შენ ხომ არ გადაირიე, როგორ მოგეხმარებოდით, ყველა პრობაციონერები ვართ, ვიღაცას რომ დავენაისე, პატრულმა თავიდან მართლაც კარგად დაიწყო, თავადაც იცავდნენ წესრიგს და მძღოლებსაც მოუწოდებდნენ წესრიგის დაცვისკენ, მაშინვე კი არ აჯარიმებდნენ, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა. რამდენად უკავშირდება ჯარიმების ოდენობის გაზრდა ივანიშვილის მხრიდან პოლიციის დაფინანსების შეწყვეტას ვერ გეტყვით, თუმცა რა თქმა უნდა, ეს მიზეზიც იქნება, მაგრამ არ დახარჯავს სააკაშვილი ქეიფებში, კონცერტებსა და მაიმუნობებში ფულს და თუ უნდა პოლიციას მისცემს. არ მოიკლებს სიამოვნებას და მით უარესი მისთვის, მაშინ საერთოდ აღარ ექნება. თუ ისედაც გაჭირვებული ხალხიდან უნდათ დამატებით ამოქაჩონ იგივე პოლიციის დასაფინანსებელი ფული, მეეჭვება, ამან ხელისუფლების წისქვილზე დაასხას წყალი, მითუმეტეს თუ ხელისუფლების შენარჩუნება უნდათ, მაგრამ ამას ჭკუა სჭირდება. ნაცმოძრაობა კი ამ დევიზით მუშაობს, რახან ძალა აქვთ, ჭკუა აღარ სჭირდებათ. ამიტომაც გითხარით, რომ სააკაშვილის მიერ ქვეყნის მართვის ფორმა მიუღებელია. ასეთი მმართველობა ძალზე მოკლევადიანია, შიშის ფაქტორი დიდხანს ვერ იმუშავებს. იმ ხალხს, ვინც ბიძინა ივანიშვილს მისცემს არჩევნებისას ხმას, რას უპირებს სააკაშვილი, როგორც 26 მაისს გააკეთა, ისე გაუსწორდება? კატას გამოკიდებული ძაღლივით თვალებამოკაწრული და აწკმუტუნებული არ დარჩეს ბოლოს.

ხელისუფლებას ტყუილად ჰგონია, რომ თითოეული ადამიანის ხმას გააკონტროლებს, მათ შორის ვერც პრობაციონერებისა და მათი ოჯახების ხმებს. ამ ხალხის უმეტესობა ხომ უმიზეზოდ დაიჭირა, მათგან ფული რომ ამოექაჩა. შორიდან, შეიძლება, შეაშინონ, მაგრამ საარჩევნო კაბინაში ყველა თავის გადაწყვეტილებას მიიღებს.

**— პედაგოგები გაუფრთხილებიათ საარჩევნო ბიულეტენი მობილური ტელეფონით გადაიღეთო, სხვებსაც ალბათ, იგივეს მოსთხოვენ, ასე, რომ თუ მოინდომეს, გაკონტროლება არ გაუჭირდებათ...**

— ხელისუფლებას არჩევნების მოსაგებად მილიონი ხმა სჭირდება და როგორ ფიქრობთ, მილიონ ტელეფონს გააკონტროლებენ ესენი? სახელისუფლებო რესურსი მაქსიმუმ 30%-ია, აქ ვგულისხმობ საჯარო მოხელეებს, პატიმრებს, პრობაციონერებს და მათ ოჯახებსაც. ვისი გაკონტროლებაც მართლა შეუძლიათ, ეს ამომრჩევლის მხოლოდ 17%-ა. ეს ხელისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიგებს არჩევნებს თუ საზოგადოება არ მივა არჩევნებზე, როგორც, თუნდაც, 2010 წელს მოხდა და მხოლოდ ეს 30% მივა, სხვა შანსი არ არსებობს. უამრავ ადამიანს ვხვდები და არავის უთქვამს ნაცმოძრაობას ვაძლევ ხმასო. სხვათა შორის, თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რომლებთანაც მეტნაკლებად მიწევს ურთიერთობა, ამბობენ, რომ არჩევნებს სულმოუთქმელად ელიან და შეიძლება, არც მისცენ ხმა ნაციონალებს, რადგან არც მათ მოსწონთ ხელისუფლების ხალხთან ურთიერთობის ფორმა. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, „სახალხო კრების“ მიმართ მოსახლეობას ნამდვილად არ აქვს ცუდი დამოკიდებულება, გვყავს ჩვენი მხარდამჭერები. კრება, მოგეხსენებათ, ზეპარტიული ორგანიზაციაა და ის არჩევნებზე კენჭს არ იყრის, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ნინო ბურჯანაძე ამ ორგანიზაციასთან ერთად მოუგებდა არჩევნებს სააკაშვილს ან ბიძინა ივანიშვილს. ვფიქრობ საკითხი ასე უნდა დაისვას და ალბათ, ასეც მოხდება, მიიღოს თუ არა ნინო ბურჯანაძემ არჩევნებში მონაწილეობა - რა თქმა უნდა, მიიღოს, თუმცა ჩემი აზრით, ამ ვითარებაში არ უნდა მიიღოს. მოკლედ ძალზე რთული სიტუაციაა ამ მიღება-არ მიღებასთან დაკავშირებით, რადგან არც საზოგადოების გათიშვა მოიტანს კარგ შედეგს (ივანიშვილისთვის ხმების წართმევას ვგულისხმობ) და არც ბურჯანაძის პოლიტიკიდან გათიშვა. ქალბატონი ნინოს გვერდით მართლაც პატივსაცემი ადამიანები დგანან, თანაც მან საზოგადოებას ბოდიში მოუხადა, რაც, ვფიქრობ, მის ღირსებაზე მეტყველებს.

**მანანა სუხიშვილი**

# kaxa kaxiSvili: biZina ivaniSvils, rogorc qvelmoqmeds, xalxi rasac apatiebda, ivaniSvils, rogorc politikoss, aRar apatiebs!

*„საერთო გაზეთს“ „არჩევნებისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი **კახა კახიშვილი** ესაუბრა.*

**— ბატონო კახა, რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად შედგა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პრეზენტაცია. რას ფიქრობთ, რა შთაბეჭდილება შეგექმნათ პარტიის ჩამოყალიბების პროცესში?**

— საერთოდ, რთულია სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, მაგრამ, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნება" ჩამოყალიბდა, კოალიციის ლიდერებმა გააკეთეს განაცხადი, რომ ისინი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს აუცილებლად



მოიგებენ. შესაბამისად, მათი მიზნები და ამოცანები საჯარო გახდა და ცხადია, საზოგადოების ინტერესსაც იწვევს. პარტიის თავმჯდომარედ მანანა კობახიძის დანიშვნას რაც შეეხება მას, მე, პირადად, ახლოს ვიცნობ. ის კარგი უფლებადამცველი და ადვოკატია. თუმცა პოლიტიკა განსხვავებული სფეროა, სადაც ქალბატონ მანანას არანაირი გამოცდილება არა აქვს. ალბათ, ეს უფრო იძულებით მიღებული გადაწყვეტილება იყო, რადგან ბიძინა ივანიშვილსა და მის გარემოცვას რაღაც ნაბიჯი უნდა გადაედგათ. ივანიშვილი დარწმუნებული იყო, რომ სააკაშვილი მოქალაქეობას აღუდგენდა, რაზეც მეტყველებდა ის რეკლამები, რომელიც მედიასივრცეში გადიოდა, თითქოს გამარჯვებამდე დარჩენილი იყო 5, 4, 3 დღე და ა.შ

**— თუმცა პარტიის ყრილობაზეც ივანიშვილის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ივანიშვილი მოქალაქეობის მიღებაში არ გულისხმობდა მაინც და მაინც ხელში ქართული პასპორტის ქონას, რადგან მისთვის საქართველოს მოქალაქეობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე, უბრალოდ, პასპორტი?**

— შეიძლება, ბიძინა ივანიშვილი მართალაც ასე ვფიქრობს, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის აუცილებელია იურიდიული სტატუსის არსებობა. დღევანდელი კანონმდებლობით პარტიის თავმჯდომარეობისთვის აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობა, მეტიც, ადამიანი თუ არაა საქართველოს მოქალაქე ვერანაირ პოლიტიკურ პროცესებში ვერ ჩაერთვება და ოფიციალურ აქტივობას ვერ განახორციელებს.

**— თუმცა საზოგადოება შეგუებული იყო იმას, რომ პარტიის თავმჯდომარე ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე ივანიშვილი ვერ იქნებოდა, მაგრამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარედ მანანა კობახიძის დანიშვნამ საზოგადოებაში გაკვირვება გამოიწვია?**

— ივანიშვილს პარტიის თავმჯდომარედ თავისი მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე რომ დაესახელებინა, შემდეგ ცოლის გადაყენება პარტიული თავმჯდომარეობიდან და შემდეგ ამ პოსტის დაკავება ივანიშვილის მხრიდან ცოტა უხერხული იქნებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს პარტიის დროებით თავმჯდომარედ ისეთი ადამიანი დაენიშნათ, ვინც ხალხისთვის გამაღიზიანებელი არ იქნებოდა. ჩემი აზრით, პრინციპში პარტიაში მთავარი გადაწყვეტილების მიმღები მაინც ბიძინა ივანიშვილი იქნება და არა მანანა კობახიძე.

**— თუმცა პოლიტოლოგები საუბრობდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი დიდ რისკზე წავიდა, როდესაც პარტიის თავმჯდომარედ დანიშნა პოლიტიკაში გამოუცდელი პიროვნება?**

— იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება—დემოკრატიული" საქართველოს თავმჯდომარედ დანიშნავდნენ პოლიტიკაში გამოცდილ ადამიანს, შეიქმნებოდა საფრთხე, რომ ის დაიწყებდა დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმას და ამაში ხელს ვერავინ შეუშლიდა, რადგან ის, ოფიციალურად, პარტიის თავმჯდომარე იქნებოდა. ამიტომ ივანიშვილს, პარტიასა და თვითონ კოალიციის წევრებსაც სჭირდებოდათ პარტიის თავმჯდომარედ ისეთი კანდიდატურა, რომელიც არ შექმნიდა შიდაპარტიულ პრობლემებს და არ ექნებოდა მოთხოვნა, რომ საკითხები პრინციპულად თვითონ გადაეწყვიტა. ვფიქრობ, სწორედ ამ ნიშნით შეარჩიეს ქალაბატონი მანანა, იციან, პოლიტიკაში ნაკლები გამოცდილება აქვს და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს.

**— ბატონო კახა, „ქდმ-ს" ინიციატივით კანონპროექტში ცვლილებები იგეგმება, რომლის თანახმად, ივანიშვილს პოლიტკური აქტივობის საშუალება ენიჭება.**

— არ შეიძლება კონსტიტუციის ცვლილებები განვიხილოთ ერთი ადამიანის ჭრილში. კონსტიტუცია უნდა იყოს ისეთი დოკუმენტი, რომელსაც ვერც ივანიშვილსა და ვერც სააკაშვილი სურვილის მიუხედავად, ვერავინ შეხება. ეს ინიციატივა ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ძალიან საშიშია.

**— კონკრეტულად რა საფრთხეებს ხედავთ?**

— ახლა გვეუბნებიან პოლიტიკური აქტივობის უფლება ეძლევა პირს, რომელიც არის დაბადებული საქართველოში, არის ევროკავშირის მოქალაქე და ცხოვრობს ათი წლის განმავლობაში საქართველოში, კანონში არაა მითითებული, რა იგულისხმება ამ ათ წელში, დაბადებიდან ათი წელი, ბოლო ათი წელი, თუ რა? მაგალითისთვის, ადამიანი, რომელიც დაიბადა 1973 წელს და 1983 წლამდე ცხოვრობდა საქართველოში და შემდეგ მშობლებმა სხვა ქვეყანაში გადაიყვანეს და იმ ქვეყანაში აღიზარდა იქაური მენტალობით, იმ ქვეყნის სკოლაში მიიღო განათლება და იმ ქვეყნის მოქალაქეა მითხარით, ასეთ ადამიანს საქართველოს მიმართ რა პატრიოტიზმი უნდა ჰქონდეს. ჩვენ ამ ცვლილებით ვყოფთ საზოგადოებას. ჩემთვის პირადად უფრო პატრიოტია ის ადამიანი, ვინც საკუთარი ოჯახის დასახმარებლად გადასულია არა ევროპის კავშირში, არამედ სხვა ქვეყანაში. მაგალითად, უკრაინაში და იქიდან ინახავს ოჯახს. გაანალიზება რომ გავაკეთოთ, ადამიანი, როდესაც ხდება ევროკავშირის მოქალაქე, ასეთი ადამიანი ცდილობს თავისი ოჯახის წევრები გადაიყვანოს იმ სახელმწიფოში, სადაც იმყოფება და აქ, ფაქტობრივად, არანაირი „ფესვები" აღარ რჩება და ადამიანი, ვთქვათ, როდესაც არის უკრაინაში საკუთარი ოჯახის დასახმარებლად, როგორც წესი, ის მარტოა წასული. მისი ოჯახის წევრები აქ არიან და შესაბამისად, მისი პატრიოტული გრძნობა გაცილებით მაღალია.



**— „ქდმ"-ის განცხადებით, აქცენტი მაინცდამაინც ევროკავშირის მოქალაქეობაზე იმიტომ გაკეთდა, რომ საქართველოს პრიორიტეტია ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია?**

— ჩვენი პრიორიტეტი თუ ევროკავშირში შესვლაა, საინტერესოა, ევროკავშირის პრიორიტეტი, თუ არის საქართველოს მიღება ევროკავშირში? მეორეც როცა გავხდებით ევროკავშირის ნაწილი, მაშინ ვიფიქროთ ასეთი კანონპროექტების შემუშავებაზე. რატომღაც გვემართება პოლიტიკური პროვინციალიზმი. დღეს ევროპის ქვეყნები, მიუხედავად იმისა, ერთ სივრცეში არიან მოქცეული, ერთიან კონსტიტუციაზე ვერ შეთანხმებულან, რადგან ყველას საკუთარი სახელმწიფოებრიობა აღელვებს, ვიდრე ერთი სივრცე და ჩვენ გვინდა რაღაცების შეცვლა. ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში არ მოქმედებს კანონი. მაგალითად, რომ გერმანიის ბუნდესტაგში საფრანგეთის მოქალაქე იქნეს არჩეული და ჩვენ რატომ გვემართება ასეთი „პროვინციალური ფუფალობა", სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები.

ამასთან საქართველოში ძალიან მოდაშია საუბარი, რომ რომელიმე ჩვენი ახლო მეზობელი საქართველოს წინაშე ამზადებს აგრესიას. აქედან გამომდინარე, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, როგორი ფაქტის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ. მაგალითისთვის: ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ძალიან ადვილია მოქალაქეობის მიღება, ხშირ შემთხვევაში ამისთვის საკმარისია პირმა განახორციელოს სოლიდური ინვესტიცია და გარკვეული დროის შემდეგ ენიჭება პრივილეგია, რომ გახდეს ევროკავშირის მოქალაქე. დავუშვათ, რომელიმე სპეცსამსახურმა აღმოაჩინა ისეთი პიროვნება, რომელიც დაბადებულია საქართველოში, მიაღებინა ევროპის მოქალაქეობა, გაზარდა ის, როგორც თავისი აგენტი და შემდეგ ჩამოიყვანა საქართველოში. შემდგომ ამ ადამიანმა არჩევნებში იყარა კენჭი, გახდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და შემდეგ გახდა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი დონის და ხარისხის ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი იქნება, მათ შორის ქვეყნის საიდუმლო ინფორმაცია. წარმოგიდგენიათ, ასეთი ტიპის ადამიანები თუ მოგვევლინენ პრემიერებად და ქვეყნის პრეზიდენტად, საერთოდ, რა სიტუაციაში აღმოვჩნდებით. მითუმეტეს, ჩვენნაირი პატარა ტიპის სახელმწიფოებისთვის, რომელთაც რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქვს, სახელმწიფოებრიობის კონტურების ჩამოშლა, რასაც ეს კანონპროექტი ემსახურება არის სახიფათო და მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც, შესაძლოა, ჩვენს მომავალ თაობებზე გადავიდეს და სწორედ მათ იწვნიონ მისი შედეგები.

ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში გამოჩენისთანავე იმხელა რეიტინგი ჰქონდა, ადვილი იყო კარგად დაგეგმილი სტრატეგიის შედეგად მიეღწიათ გამარჯვებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, „ქართულ ოცნება" მაინცდამაინც აქტიური ნაბიჯებით არ გამოირჩევა. მმათი მხრიდან ერთადერთი გამარჯვების ფორმულა ყველა ჯანსაღი ძალის გაერთიანება იქნებოდა, რადგან, ასეთ შემთხვევაში ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლების ხმები არ გაიხლიჩებოდა. დღეს, როცა „ქართული ოცნების" მოქმედება პოლიტოლოგებისთვისაც კი „თავისმტვრევის" საგანს წარმოადგენს, ცხადია, ხალხი ვერ გაიგებს ნორმალურად ქართული ოცნების ამოცანებს, რაც ამომრჩევლების დაბნევას გამოიწვევს და სწორედ ხელისუფლების მიზანსაც ეს წარმოადგენს. თუნდაც, რაც გააკეთა ივანიშვილის გუნდმა მისი მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით, მიმართეს სასამართლო, და ტყუილუბრალოდ სამი თვე დაკარგეს. პპირიქით, ივანიშვილს უარი უნდა ეთქვა თავიდანვე რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქეობაზე და უნდა მიემართა პრეზიდენტისთვის ნატურალიზაციის გზით საქართველის მოქალაქეობის მიღების თხოვნით, რაც არ გააკეთეს და ტყუილუბრალოდ დაკარგეს სამი თვე სასამართლოში სიარულში.

სხვათაშორის, ჩემთვის საინტერესო იყო ის, რომ პარტიის პრეზენტაციაზე ვერ ვნახე „ეროვნული ფორუმის" წარმომადგენლები, თუმცა არ ვიცი, რა მიზეზით არ იმყოფებოდნენ პრეზენტაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ „ფორუმი" გაწევრიანდა კოალიციაში, მათი მხრიდან კოალიციის სახელით გაკეთებული განცხადება არ მომისმენია, რასაც ვერ ვიტყვი კოალიციაში შემავალ სხვა ლიდერებზე. ამიტომ არ შეიძლება კოალიცია, რომლის მიმართაც არის დიდი მოლოდინი მოქმედებდეს ისე, რომ ხალხს, მათ მხარდამჭერებს ბევრი კითხვის ნიშნები დაებადოთ.

ივანიშვილის ღვაწლი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ყველასათვის ცნობილია და ჩამოთვლას არ დავიწყებ—ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქველმოქმედს, ხალხი, რასაც აპატიებდა, ივანიშვილს, როგორც პოლიტიკოსს აღარ აპატიებს, რადგან იგი ბოლო იმედი იყო. ივანიშვილს შეცდომა რომ მოუვიდეს და მისი დანაპირები არ ასრულდეს, ჩათვალეთ, ფაქტობრივად, მოსახლეობის 80% ისევ ნიჰილიზმში ჩავარდება და მივიღებთ უფრო უარეს პოლიტიკურ ვითარებას, ვიდრე დღეს გვაქვს.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




# axali jeims bondis, daviT defis da sxvaTa patara ambebi feisbuqidan

გასულ კვირას, ისევე როგორც მე, ჩემს კომპიუტერსაც „ვირუსი“ შეეყარა, თუმცა თვითონ უფრო მალე „გამოჯანმრთელდა“, რადგან, როგორადაც არ უნდა „ვახლობლობდე“ ამ მანქანასთან, ის მაინც უგულოა და სრულიად არ აინტერესებს ჩემი ეგზისტენციალური მიდგომა ცხოვრებისადმი.

ერთ-ერთი ყველაზე მთავარი თემა, რომელიც სოციალური ქსელების „ობობებს“, ანუ ფრენდებს ამ კვირაში აწუხებდათ „ბუსკუნა“ ბიზნესმენის – მინდია გულუას თამამი პოლიტიკური განცხადებები იყო.

აქ, ფეისბუკში, არავინ იცის, ვის ემუქრებოდა მინდია გულუა მსოფლიოს გაურკვეველი წერტილიდან – არჩევნებში აუცილებლად ჩავერთვებიო. მაგრამ, ამ ჩემი ძველი ნაცნობის პოლიტიკური აპეტიტი და სურვილები დაკვირვებული ადამიანისთვის რომ ძნელად გამოსაცნობი არაა, თქვენც დამეთანხმებით.

მინდია გულუამ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში განაცხადა: მერაბიშვილი და ახალაიები მემტერებიან, თორემ სხვას იოლად „მოვუვლიო“.

**არ ვიცით, გულწრფელი იყო თუ არა მაშინ (ან საერთოდ არის თუ არა გულწრფელი) მინდია გულუა, მაგრამ ვანო მერაბიშვილი**



**რომ არ არის ისეთი მიამიტი როგორადაც თავს აჩვენებს, ხომ ცხადია?**

ამ ორიოდე დღის წინ პარლამენტში მობრძანდნენ მინისტრები და ჩემი ფეის-ფრენდების აღშფოთებაც ამ სტუმრობამ გამოიწვია. მითუმეტეს, ვანო მერაბიშვილის პასუხებმა ჯონდი ბაღათურიას კითხვებზე პრეზიდენტის კდემამოსილი დედის ბიზნესპარტნიორობას რომ შეეხებოდა ექსტრემისტ-ისლამისტთან ფეთჰულა გიულენთან.

„ლაპარაკი კი უჭირს, მაგრამ თუ დააკვირდით, მაგარი ჭკვიანი ადამიანია, მას მაკომპრომეტირებელი მასალები ყველაზე ულაგია სეიფში, ყოველი შემთხვევისთვის. მე ასე ვფიქრობ, ეგ მალე მიშას პოლიტიკურ სანაგვეზე (სულ მცირე) გადააგდებს და თვითონ პოლიტიკაში ახალ სახედ მოვა...“ – ამბობდნენ ფეისბუქში და დიდ ვანოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

„მე გეტყვით, რაც მოხდება: 1) ბიძინას მიშა მოკლავს აუცილებლად! მხოლოდ ისე არა, როგორც ჟვანია მოკლა, საფერფლით, არა, სხვანაირად. 2) ყველა საარჩევნო უბანთან 20-20 ზონდერს დააყენებენ და მხოლოდ თავის ამომრჩევლებს შეუშვებენ. 3) ამერიკა ხმას არ ამოიღებს, სამაგიეროდ, კიდევ ერთ ბატალიონს გააგზავნიან სასაკლაოზე. 4) რესპუბლიკელები საარჩევნო კოდექსზე გააგრძელებენ მუშაობას ლევონ რამიშვილის (ასრაწიანის) ხელმძღვანელობით. 5) ჯონდის ხალხი გააპარებს საზღვარგარეთ“. – ასეთი წინასწარმეტყველებით აგვირგვინებს ცხარე კამათს ფეისბუქში ვინმე ახალი „ვანგა“.



ჯონდი ბაღათურია ვახსენე და ხალხი ჯონდის „ჩვენს ჯონდიკოს“ ეძახის უკვე. სხვათა შორის, ბევრმა მოიწონა მისი სიტყვები –

**„არავის არ უთხოვია და დედამიწის ზურგზე რომ არავის უცვნია, თვით ჩერქეზებს არ ულიარებიათ საკუთარი გენოციდი, უმრავლესობამ, პრეზიდენტის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, რუსების ჯინაზე ცნო ამ ხალხის გენოციდიო“.**

– განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

კავკასიელებს მოგვწონს ვაჟკაცი ხალხი. არც ჩერქეზების წინააღმდეგია ვინმე და არც პარლამენტის „ინტელიგენტი სომხების“, მაგრამ ჯონდის ნასროლმა გაურკვეველმა საგანმა აზერ სულეიმანოვისადმი არა მხოლოდ ფეისბუქის ნაზი სქესის წარმომადგენლების გული დაატკბო, არამედ მამაკაცებისაც.

– „ყოჩაღ ჯონდი, ჯიგარრ“... „მიდი, ჯონდი, გაიხარე“... – იყო ასეთი „პოსტები“.

მოკლედ, პარლამენტში შეგზავნილია ჯეიმს ბონდი – ბაღათურია ჯონდი.



კავკასიაზე გამახსენდა (თუმცა არც ოდესმე დამვიწყებია... ვინ დაგავიწყებს, ძაანაც რომ გინდოდეს?!), ბევრი ე.წ. ზვიადისტი ზვიად გამსახურდიას არა მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, არამედ სრულიად კავკასიის პრეზიდენტსაც უწოდებს და რა აზრის არის ამაზე სომხეთი და აზერბაიჯანი, ჩემი ფრენდებისთვის ჯერ უცნობია.

**ისე, ყოველი შემთხვევისთვის დავსძენ, ერთი სომეხი „მეგობარი“ („ფრენდი“) გულის მოსაოხებელ ქართულ პოსტებზე ფეისბუქში ხშირად „აკომენტებს“ ხოლმე: აპრუწუწუნ...**

„რას იზამ, ძაღლები ყეფენ, ქარავანი მიდის გაურკვეველი მიმართულებით... უდაბნოში... რომისკენ.. არა. მგონი, ვაშინგტონში“... – ეს ჩემი ფეისბუქელი მეგობრის მიგნებული მარშრუტია, რომელიც იმდენად „სპრავედლივია“ (მისივე სიტყვებით), რომ მუდამ სიმართლეს ღაღადებს და ამბობს:

**„ისაა სიმართლე, მიშას და ობამას უყვართ საქართველო, რომ ამბობენ? თან ისე მაგრად უყვართ, შიგადაშიგ შტერდებიან სიყვარულით და ბანცალებენო?“**

ისე, მეგობრებო, სიყვარულიცაა და სიყვარულიც. აი, გეების სიყვარული ვისაც უბრალო რამე ჰგონია... დავიგინებდი, საბრალო ქალი რომ არ ვიყო. „ინტერნეტ-გამოცემა „ვზგლიადის“ ცნობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევიდა, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფის, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის შეუწყნარებლობის ნიდაგზე ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელს ამკაცრებს.

ამა თუ იმ ქმედების ჩადენა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის ნიადაგზე დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება.

„საქართველოს სსკ ცვლილებები ევროსაბჭოს რეკომენდაციით შევიდა. კანონის თანახმად, დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენა რასობრივი ნიშნის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან თანამდებობრივი მდგომარეობის... შეუწყნარებლობის ნიადაგზე“.

აი, ამაშია საქმეე...

ამასობაში კინაღამ დამავიწყდა, ჩვენი დიდი „მგოსანი“ დავით გოგიბედაშვილი, მთვარის შუქზე რომ მიჰყავდა იდუმალი ხმით ცხოვრებისეული დრამების ამსახველი გადაცემები, ერთ დროს, პირველ არხზე, „პროფილის“ სტილში და მერე ამ ამბავს რომ შეეშვა და ადრე დაწყებულ „საქმეს“ – პოეტობას რომ მიუბრუნდა, ამ კაცმა გასულ კვირას განაცხადა – დავით გოგიბედაშვილი არ დამიძახოთ, არა ვარ მე ის დავით გოგიბედაშვილი, ადრე რომ ვიყავი, ახლა დავით-დეფი გახლავართოო. ვაჟა-ფშაველა ხომ არსებობს, ტერენტი გრანელიც, ჰოდა, რა მოხდა, მაგათზე ნაკლები სიგრძე მაქვს თუ სიგანე, ამიტომ მე დღეიდან დეფი-დავითი ვარ, ბატონებოო..

აჰა, უმახეთ ახლა თქვენ ამას ბერეტდაცურებული, კრამიტი აქვს დაცურებული, ცოოტათი. ისე, ამ „პატრიოტმა“ კაცმა გამოიჩინა თუ გამოიჩინა თავი – აიყოლია სალომე ბაკურაძე, ნოდიკო ტატიშვილი, ბესოიე კალანდაძე და მათნაირი „გულდამდუღრული“ ქართველები და საარჩევნო სიების გასაკონტროლებლად მიადგნენ დეფის სეხნია დავით საგანელიძეს...

ფეისბუკში „დეფი“ წერს: „სოციალურ ქსელებში, ძირითადად, ჩემი ლანძღვა მიმდინარეობს. ამაზე ლაპარაკიც არ მინდა, ისეთი თემაა. ჩემი ყველა წარმატება უარყოფით კონტექსტში განიხილება. დასამალი არაფერი არაა, ღიად ვამბობ, მე მხარს ვუჭერ მიშას, იმიტომ, რომ მიშას მივეცი ხმა და ვარ პასუხისმგებელი ამ ხმაზე. როცა ვიცი, რომ ხუთი წლით მივეცი მე მას ხმა, ვიღებ პასუხისმგებლობას, აი, ამ ხუთ წელიწადზე“.

ახლა ამას რომ აკომენტებენ – ვის მიეცი და რა მიეციო, ეს, მე მგონი, იმდენად საინტერესო აღარაა, რამდენადაც მნიშვნელოვანია თვით დიდი დეფის მისთვის ჩვეული მანერით – კრიჭაშეკრული, წყნარი ბუტბუტით ნათქვამი პოლიტიკური აღსარება თუ აღიარება.

ამას წინათ ერთმა ჩემმა მეტად პატივსაცემმა ფეის-ფრენდმა ერთი ასეთი სტატუსი გააზიარა ოტია იოსელიანის ნაწარმოებიდან:

**„ქალი, რავარი ასატანია, მაგრამ რო გიყვარს, რა გინდა რო ქნა!“...**



მართლა, რა გინდა რომ ქნა, უხსენებელზე ერთი დღით ადრე დაბადებული ქალბატონები ნუკრის თვალებს რომ შეაფათქუნებენ, მარადისობას ავიწყებენ ყველას...

საქმე რაშია იცით? პოლიტიკა, საარჩევნო თუ სექსუალური უმცირესობების დამცველ-გამამრავლებელი კანონები და ყოველდღიური შეხლა-შემოხლა მაინც პირველყოფილურ გრძნობამდე რომ მიდის... „რო გიყვარს, რა გინდა რო ქნა“?..

**ირანდა კალანდაძე**

# qarTuli geniari momkvdara, gamoiRviZa lazaresaviT da mzadaa aRdges

"ნაცმოს" დიდი მცდელობის – მესამე ოპოზიციურ-პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბების მიუხედავად, "პოლიტიკური ფრონტი" მაინც ორ პოლუსად გაიყო. აქეთ "ნაცები", თავისი დანამატი "თორთლაძის რვიანით" ("მემარჯვენეები", "ქრისტიანულ მანტიაში გამოწყობილი დემოკრატები", "მე თვითონ", ანუ "ნაცმოს მაგიერ", "ედეპე" და სხვა დანამატი ვითომ ოპოზიციური პარტიები) და აქეთ ბიძინა ივანიშვილი თავისი პარტიითა და კოალიციით. ნათქვამია: "არჩევნებს ის იგებს, ვინც ხმებს ითვლის და სიებსაც ადგენსო". სიების დადგენა-დაზუსტებაც, როგორც ყოველთვის, ხელისუფლების პრეროგატივაა. "სიების დაზუსტების კომისიაც", რომელსაც ხალხში ზოგი კუბლაშვილის, ზოგიც კაციტაძის კომისიას უწოდებს, "კარდაკარის" განხორციელებას შეუდგა. გამოთქმაც კი გაჩნდა: "ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კიდევ კაციტაძეო". "დემოკრატიულად მოჭიკჭიკე ქრისტიანებისა" და ედეპეს ფუნქცია, "ცარიელი ნაციონალური ქვევრის" პირდაპირი ფუნქციის შესრულება, რასაც "ნაცმო" ჩასძახებს, იმის ამოძახება რომაა – გარკვეულია. "მემარჯვენეები" კი, რომლებიც ერთ დროს განათლების რეფორმის წინააღმდეგ იბრძოდნენ და "კონსტიტუციური მოარქიის" მომხრედაც გამოდიოდნენ, ეტყობა, პარლამენტს გარეთ დიდი ხნით დარჩენამ ისე შეაშფოთა, რომ პარლამენტში მოსახვედრად კვალიფიციური პარტიის სტატუსისა და დაფინანსების მოსაპოვებლად ახლა ყველაფერს იღონებენ. ერთი-ორ კანდიდატს მაინც გაიყვანენ პარლამენტში მაჟორიტარად. არჩევნების მოგებასაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაჟორიტარების ხარჯზე შეეცდება "ნაცმო". 75 მაჟორიტარს დამატებული ცოტა "ნაცები" და ცოტაც ვითომ ოპოზიცია – უკვე უმრავლესობას შექმნიან. "სიების დაზუსტების კომისიის" კაციტაძის თავმჯდომარეობაც ამაზე მეტყველებს. "სიების დაზუსტებაზეც", არც მეტი-არც ნაკლები 5 000 000 ლარი გამოიყო. ამაში კომისიის წევრების, "კარდაკარ" მოწანწალე ადამიანებისა და რაიონებში გასასვლელი სამივლინებო თანხებიც უნდა შესულიყო. თუმცა, რასაკვირველია, როგორც სჩვევიათ, პირველ რიგში, ეს თანხა მანქანებს, რემონტსა და კომპიუტერების შეძენას მოხმარდა. 5 000 000 მილიონიდან მაჟორიტარობისთვის ერთი მილიონის მოტეხვაც, ალბათ, უპრობლემოდაა შესაძლებელი, რის გამოც რეგიონებში გასასვლელი სამივლინებო თანხებიც აღარ დარჩა. სამაგიეროდ, კომისიამ "კარდაკარის" უკვე აპრობირებული მეთოდი დაიწყო და ყოველი ჩვენგანის კარზეც, ალბათ, უკვე მოაკაკუნეს "კარდაკარის" წარმომადგენლებმაც. რომელთათვისაც, 5 000 000 მილიონიდან გამოყოფილ საცოდავ 150 ლარზე "კარდაკარ წანწალი" ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. "კარდაკარმა" ჩემს კარზეც "დააკააკუნა" და რატომღაც სრულებით არ გამკვირვებია, როდესაც "ნაცმოელებისა" და "მემარჯვენეების" წარმომადგენელი ქალბატონები ერთად მოსიარულე ვიხილე. გასაკვირი არც ის იყო, რომ მიუხედავად ყოველ არჩევნებზე სიების არაერთგზის ჩასწორებებისა, მათ 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დაუზუსტებელი სიები ეჭირათ ხელში. არც ის იყო გასაკვირი, მეზობელს წყალკანალის მიერ მიწერილი ოთხი ადამიანიდან, ორი ისევ სიაში რომ დაუტოვეს. ასეთი "კარდაკარი" თავის დროზე, ოპოზიციამაც ჩაატრა და 100-100 ათასიც "ტკბილად შეირგო". სალომე ზურაბიშვილის პარტიის გარდა კი ამომრჩეველთან მისვლით თავი ბევრს არც კი შეუწუხებია და მხოლოდ სატელეფონო გამოკითხვას დასჯერდა. ოპოზიციის მაშინდელი "კარდაკარის სიებსაც" დღეს "ცესკოს" სრდაფში მტვრის დიდი ფენა ადევს და აბლაბუდა ახვევია. ვერც ერთი "კარდაკარიც" სიების ზუსტ ვერსიას ვერ დადებს, სანამ მოსახლეობის სრული აღწერა არ იქნება ჩატარებული. ყველაზე დიდ რესურსს კი საზღარგარეთ გასული საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ, რომელთაგან ბევრი არალეგალია. მას შემდეგ კი, რაც "ნაცმომ" ქვეყნიდან გასულ ყველა ადამიანს ინტერნეტით რეესტრში პირადობის მოწმობის დარეგისტრირების შესაძლებლობა მისცა, ეს ციფრი კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველი გახდება. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში სამი მილიონ 600 ამომრჩეველია, რაც უკვე დიდი ეჭვს ბადებს. არჩევნების დღის წინა საღამოს სიების შეცვლის "დიდი გამოცდილებაც" 2003 წლის არჩევნებიდან კარგად გვახსოვს. არჩევნების გაყალბებაში "ნაცმოს" დამხმარე ჭიაბერაშვილის მაინცადამაინც ახლა ჩამოყვანაც შემთხვევითობას არ უნდა მივაწეროთ. თორემ მაგის "ავიცენობის" აბა ვის სჯერა? "ნაცებში" დიდი პანიკა და მობილიზაციაა!



მიუხედავად ყველაფრისა, მოსახლეობამ ასეთივე მობილიზებით უნდა უპასუხოს "ნაცმოს" მორიგი თაღლითობის ჩატარების სურვილს და სრული შემადგენლობით გამოცხადდეს არჩევნებზე. პოზიციაც, რომ ზოგს რესპუბლიკელები და ხიდაშელი არ მოსწონს, ზოგს დავითაშვილი და ზოგს თედო ჯაფარიძე მიაჩნია "ძველ სახედ"– სიტუაციას ჩვენს სასარგებლოდ ვერ შეცვლის. ეს ხელისუფლებაც სწორედ "მათი ხელით" უნდა გადააგდოს, ვინც თავის დროზე სააკაშვილი ხელში ატატებული მოიყვანა და ზუტად ისე ჩააფეხვა საპრეზიდენტო სავარძელში, როგორც მახათას მთაზე ტაძრის საძირკვლის გათხრისას "ჩაასკდა" იქ დადგმულ სავარძელში. ვინ მოგვწონს და ვინ არა, მათ მერე მივუჩინოთ თავთავიანთი ადგილი. მითუფრო, არც ბიძინა ივანიშვილია "იმის ჩიტი", დიდი ამბიციის მქონე რომელიმე ლიდერი წამოისვას თავზე. არც ზოგიერთი "ნაცმოელის" დაუსჯელობაზე ივანიშვილის სიტყვებია არჩევნებზე წაუსვლელობის საბაბი, რადგან ხალხი თავად დასჯის ყველა იმ ლიდერს, ვინც დანაშაული ჩაიდინა და ყველას სასამართლო გაასამართლებს. გარდა იმ "ლიფსიტებისა", ვინც მხოლოდ უნამუსობისა და ოჯახების რჩენის გამო ჩადგა ამათ სამსახურში. მხოლოდ ერთი საფრთხის წინაშე ვდაგავრთ, რომ სააკაშვილს თავის დასძვრენად "თეთრი ბილეთის გაკეთება" და ფსიქიური აშლილობის გათამაშება აღარ დასჭირდება. მისი ყველა ბოლოდროინდელი გამოსვლით და საქციელით უკვე მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ საქმე კლინიკურ გიჟთან გვაქვს. ერთადერთი, ვისაც ამის დანახვა არ აწყობს – ეს ხალხის ქონებით გამილიონერებული "დედა დედოფალია", რომელიც იმას ეღირსა, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდა. ამ ყველაფრის დაკარგვა კი იმდენად არ ემეტება, რომ იმაზეც თანახმაა, "მისი საყვარელი პირმშო" ერთ დღესაც დედიშობილა გამოვარდეს რომელიმე მიტინგზე და "გავგიჟდი, გავცოფდი, აპრუწუწუმოოო...", იყვიროს. საქმე კი, ჩემო მეგობრებო, სწორედ აქეთკენ მიდის. თორემ კაცს, რომელსაც სულ რამოდენიმე თვეღა დარჩენია პრეზიდენის რანგში ყოფნისა, გახსნილ "რალიზე" წრეების დასარტყმელად არ უნდა ეცხელოს. მართალია, "მოჯადოებული შავი წრე" მის გარშემო უკვე შემოხაზულია და "ამ წრიდანაც" სააკაშვილი უკვე ვეღარასდროს გამოვა, მაგრამ "ორიბიტიდან ამოვრადნილ მანათობელ შუქურასა" და "წრედარტყმულს" "თავშიც რომ დაარტყას" რამემ, ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. წრეზე ტრილმა რეტის დასხმაც იცის და იმიტომ.

არჩევნებისთვის მნიშვნელოვანს, ისევ სიებს რომ დავუბრუნდეთ, ამათი სების იმედზე ყოფნაც მაინცა და მაინც არ შეიძლება. ისეთი პირი უჩანს, რომ ბაქრაძის მოწოდებისამებრ, "ჩანგლებითა და ტაფებით გამოსვლა" მართლაც მოგვიწევს, ოღონდ არა სააკაშვილის "ნაციონალური გენიტალიების", არამედ ჩვენი ხმების დასაცავად. მოსახლეობაში უკვე აღარც 91-92 წლის მოვლენების ასოცირება და აღარც "რუსული კვალი" აღარ ჭრის. სააკაშვილმა გაქსუებულ "ნაცმოსთან" ერთად უკვე "იმდენი გააკეთა", უფრო სწორად გააფუჭა, რომ საზოგადოებას ყელში აქვს ამოსული ამათი ვითომ გაკეთებული ყველაფერი. თანაც, როგორც გაირკვა, ეს ყველაფერი არა "ნაცმოს", არამედ ბიძინა ივანიშვილის გაკეთებულიც ყოფილა. ამათ გასანადგურებელი და გასათახსირებელი საქართველოში არაფერი დატოვეს. ვისაც კი საუკუნეების წინ, საქართველო მოუთარეშია, გაუნადგურებია და გაუვერანებია– ყველასთვის სისხლით მორწყული ქართული მიწების ჩუქება და დარიგება შეუძლიათ. ქართულისა და საქართველოს ყველა მტერი "ამათი მოყვარე და მეგობარი გახდა"! ვერც ერთმა ურჯულომ და მომხვდურმა მტერმა ვერ დაანგრია საქართველო ისე, როგორც ეს "ნაცმომ" და მისმა ფავორიტებმა მოახერხეს. ამიტომ ამათ ხალხის ძალა 26 მაისს უნდა დავანახოთ და როგორც ერთი, ისე მთელი თბილისი უნდა გავიდეთ პოზიციის დასაფიქსირებლად. შარშანდელი 26 მაისი (არა ბურჯანაძის "პრინციპულობის" გამო) წლევანდელისგან განსხვავებული უნდა იყოს. წლევანდელი, ქართველი ხალხისა და საქართველოს გამთლიანების 26 მაისად უნდა იქცეს. საბედნიეროდ, შარშანდელი 26 მაისი სწორედ ბურჯანაძის პერსონის გამო არ იყო ისეთი ხალხმრავალი, როგორიც, შესაძლოა, "სახალხო კრება" მის გარეშე ყოფილიყო. უფრო მეტ მსხვერპლსაც ხალხიც ამიტომ გადაურჩა, თორემ პირსისხლიანი სააკაშვილის ხელისუფლება სიამოვნებით დახოცავდა უფრო მეტ ქართველს. 2003 წელს "მაღალი კლასის იურისტის მიერ" დარღვეულმა კანონმა – არჩევნების შედეგების სათავისოდ შეცვლამ, პრეზიდენტის სავარძლის უკანონოდ დაკავებამ და შემდგომ ორჯერ, ჯერ 2004-ში, შემდეგ კი 2007-ში სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთვის ხელშეწყობამ გამოიწვია მთელი ის უბედურება, რაც სააკაშვილმა საქართველოში დაატრიალა. ამიტომ, შესაძლოა, "სად ჭკუაზე მყოფი ბურჯანაძე", რომელიც "შეუპოვრად", მაგრამ მხოლოდ საპრეზიდენტო სკამისთვის და მილიონების შენარჩუნებისთვის იბრძვის –" არა სად ჭკუაზე მყოფ სააკაშვილზე" მეტი დამნაშავე აღმოჩნდეს კანონის წინაშე. საერთოდ კი ურიგო არ იქნება, თუ საქმეში ჩახედული მთელი მაშინდელი ოპოზიციური სპექტრი, იმას აღიარებს, რომ "ნაცმო და ბურჯანაძე- დემოკრატები" თავისივე გაყალბებული სიების კომპიუტერული ვერსიის წყალობით მოვიდნენ ხელისუფლებაში. რაც, ფაქტობრივად, სახელმწიფო გატარიალების ტოლფასია. შარშანდელი 26 მაისის ბურჯანაძის "დამსახურებასთან" გაიგივებაც დაუშვებელია. იმ აქციაზე დახოცილი და დაპატიმრებული ადამიანების ბედზე, სააკაშვილის მტარვალ რეჟიმთან ერთად, ბურჯანაძეცა და მის გვერდით მდგომი პოლიტიკური ფიგურებიც არიან პასუხისმგებელნი. პოლიტიკოსმა ყველა შესაძლო სცენარის განვითარება უნდა გათვალოს. თუ ამის უნარი არ გაგაჩნია – შენი ადგილი პოლიტიკაში არ არის.



დღეს კი სრულიად საქართველოს მობილიზაციის დრო დადგა. ვერც მლიქვნელობას და პირფერობას ვიტან და არც კერპთაყვანისმცემლობის მომხრე ვარ, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ადამიანს, რომელსაც უფალმა სამების მშენებლობის დაფინანსება შეაძლებინა, ხალხთან ერთად (ხალხიც რიცხავდა ფულს მშენებლობაზე), ამდენი ეკლესია-მონასტრის აღდგენის უფლება მისცა, ამდენ ქართველს დაეხმარა და თავის სამშობლოს– საქართველოსაც ამდენი სიკეთე გაუკეთა, ღმერთი საქართველოსა და ქართველების გასანადგურებლად არ მოიყვანს უმრავლეოსობით. იმისიც მჯერა, რომ რადგან საერთაშორისო ძალებმა ივანიშვილის ფიგურის პოლიტიკაში წამოწევას (ამაზე ელჩებთან მისი შეხვედრები მეტყელებს) შეუწყვეს ხელი, სააკაშვილის ბედი ამ ჯერზე უკვე გადაწყვეტილია! ნდობადაკარგულ ოპოზიციას ხალხი არ გაჰყვებოდა, ივანიშვილის პოლიტიკაში შემოყვანაც საჭირო ამისთვის გახდა. სხვა შემთხვევაში, (იმის გარდა, რომ ჩვენსავით, მისი სიტყვებით ისიც "სამშობლოს კარგავს") რა რჯიდა ამ ნაბიჯის გადადგმისკენ? დღესაც არხეინად იცხოვრებდა სადმე შორეულ უცხოეთში, მაგრამ რადგან მან ქართულ მიწაზე ცხოვრება ამჯობინა, ეს იმას ნიშნავს, რომ (განსხვავებით სააკაშვილის რეჟიმისგან) მისთვის საქართველოც, ქართული მიწაცა და ქართველიც მნიშვნელოვანია! მხოლოდ ეს არგუმენტი გადასწონის მთელი "ნაცმოსა" და მისი ფავორიტების არგუმენტებს.

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Coqo mxeiZe: movasvenoT im biWebis sulebi iq, sadac arian da Cven gavakeToT Cveni gasakeTebeli saqme

*ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ყოფილმა გვარდიელმა **თენგიზ (ჩოქო) მხეიძემ** ნახა უკანასკნელად ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე ზუგდიდში.*

*თენგიზ მხეიძემ, რომელსაც სამეგრელოში მეორე მერაბ კოსტავას ეძახდნენ, 60 დღე და 60 ღამე იშიმშილა პროტესტის ნიშნად მას შემდეგ, რაც აბსურდული ბრალდებით ციხეში გამოკეტეს კანონიერი მთავრობის მხარდამჭერისთვის.*

*„ჩოქო“ მხეიძე პატრიოტი ქართველის, დღემდე გამსახურდიას პიროვნების ერთგული კაცის – ალეკო დოლბაიას საშუალებით დამიკავშირდა.*

*გთავაზობთ ინტერვიუს.*

**– ბატონო თენგიზ, როგორც კანონიერი მთავრობის ერთგულ გვარდიელს, უნდა გკითხოთ...**

– *(მაწყვეტინებს.)* ჩემო ირანდა, სანამ კითხვა-პასუხზე გადავიდოდეთ, მინდა განაცხადი გავაკეთო „კვირის ქრონიკის“ 12-18 მარტის №11-ში გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, ამ საკითხზე გარკვეულ წრეებში ერთგვარი აჟიოტაჟი ატყდა. ამის შემდეგ დამიკავშირდა სტატიის ავტორი და სატელეფონო საუბარი მან, როგორც ჩანს, ჩაიწერა. ამ საუბარში მივუთითე იმ უზუსტობებზე, რომელიც მას გაეპარა უკვე გამოქვეყნებულ სტატიაში. ეს შეცდომები კი განაპირობა იმან, რომ ზემოაღნიშნული სტატია ჩემთან შეუთანხმებლად გამოქვეყნდა. ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ პირველი, ვინც დამიკავშირდა, გარდაცვლილი ჟურნალისტის, დათო ბოლქვაძის დედა, ქალბატონი ლია ისიანი იყო, რომელსაც მე ავუხსენი, რომ ჩემი სიტყვები იმ წერილში იყო, მაგრამ ინტერვიუ ჩემგან არავის არ აუღია, თანაც დავამატე, თქვენი შვილი დათო ბოლქვაძე მდინარე ხობისწყლის პირას ნამდვილად ჩვენ ავიყვანეთ, ხალხისგან ჩაქოლვას გადავარჩინეთ, მაგრამ, არც ხობის ცენტრში და მით უმეტეს, არც ზუგდიდში ჩვენ არ წაგვიყვანია-მეთქი, და ეს ასეც იყო.



მოკლედ, თავიდან ჩემი დიდი სურათი რომ გამოქვეყნდა და დაიწერა ჩემზე, მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, მერე დამიკავშირდა და როგორც ეტყობა, მაშინ ჩაიწერა ჟურნალისტმა ჩემი სატელეფონო საუბარი და ახლა ამიტომ ამბობს ჯიბეში მიდევს ჩოქოს ინტერვიუო.

**– რას ერჩით, დაგკავშირებიათ, მეტი რა ექნა?**

– მეც ასე ვუთხარი, ძალიან კარგი, რომ დამიკავშირდი, მე თვითონ მინდოდა დამერეკა-მეთქი. ის უზუსტობები, რაც იყო წერილში, მე რომ დამკავშირებოდი, არ იქნებოდა, რადგან ეს შეცდომები, შეიძლება, ნებისმიერმა დაიხვიოს ხელზე, მით უმეტეს, ჭირისუფალმა-მეთქი.

თქვენ ხომ იწერთ, ახლა რასაც გეუბნებით?

**– კი, ბატონო თენგიზ.**

– ჰო, მინდა, რომ ჩაიწეროს, იმიტომ ვლაპარაკობ.

ჰოდა, ვუთხარი ჟურნალისტს – საერთოდ, არ მიყვარს ტელეფონით ლაპარაკი, როცა ადამიანს თვალებში ვერ ვუყურებ, საუბარი მიჭირს და რომ შევხვდებით, უფრო კარგად დავილაპარაკებთ-მეთქი.

ჯერ ერთი, მე არ მითქვამს, ბოლქვაძე იქ იყო, როცა ექიმი სიჭინავა მოკლეს-მეთქი. მე ბოლქვაძე კი დავაკავე, მაგრამ რა ვიცოდი, რა ჰქონდა მანამდე ჩადენილი. თვითონ დათო ბოლქვაძის და რომ ამბობს, რა უნდოდა ჩემს ძმას გლდანის და თემქის საძმოსთანო, მე ვეკითხები: მართლაც რა უნდოდა? როცა ავიყვანეთ, სწორედ თემქის და გლდანის საძმოს ბიჭებთან ერთად იყო: ონანაშვილთან და გოგილაშვილთან ერთად. დათო ბოლქვაძე და ის ორი ბიჭი რომ ავიყვანეთ, ხალხი შეგროვდა. სადაც ჩვენ უნდა გაგვევლო, 5-სართულიანი შენობა იდგა. იქ მოხდა ექიმ სიჭინავას მკვლელობა. ხალხი, რა თქმა უნდა, ვერ ცნობდა, ესენი იყვნენ თუ არა ნამდვილად ექიმის მკვლელები, მაგრამ „მხედრიონელები“ იყვნენ და მათთვის სულ ერთი იყო ამათი უდანაშაულობაც რომ დაგვემტკიცებინა. ხალხი ყვიროდა, ჩაქოლვა უნდოდათ. მე ვუთხარი: ესენი სამხედრო ტყვეები არიან და ტრიბუნალზე უნდა წარსდგნენ-მეთქი.

**– დათო ბოლქვაძეს კამერა ეჭირა ხელში. ჟურნალისტს ტრიბუნალზე წარადგენდით?**

– კამერაც ეჭირა დათო ბოლქვაძეს და იარაღიც. ორივე ხელში ჰქონდა. მე, სამწუხაროდ, დავუტოვე ის კამერა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. მათი მკვლელობის პირველი დღეებიდანვე გაჟღერდა – იმ ოპერატორს აღმოაჩნდა ვახტანგ ნოდიას წამების კადრებიო.

ეს ბიჭები დახვრიტეს ხობის ცენტრში და ტყუილია, როცა წერენ, თენგო მხეიძემ ზუგდიდში ჩაიყვანა ესენიო. ეს სიტყვები გულზე მწარედ მომხვდა, რადგან არ არის სიმართლე და ვუთხარი კიდევაც ქალბატონ ლია ისიანს, დათო ბოლქვაძის დედას – მართალია, იმ სტატიაში ნამდვილად არის მოტანილი ჩემი სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები მე ერთ-ერთ საპროტესტო გამოსვლაში მაქვს ნათქვამი.

**ემოციური კაცი ვარ და უნდა ვთქვა, დათო ბოლქვაძე კი არა, ვინც გინდა იყოს, ქართველი, ყველას სიკვდილზე გული დაგწყდება ადამიანს,**

მაგრამ მხოლოდ დათოს სახელი ისმის, რამდენი დათო არის დახოცილი პრეზიდენტის მომხრეებს შორის, იმაზე რატომ არაა ასეთი ამბავი ატეხილი. ვახო ნოდია, გოჩა ჯიქია, დედ-მამის თვალწინ რომ მოკლეს ზუგდიდის ცენტრში, ლომიები, ბულიები, ფუტკარაძეები, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ყარყარაშვილი, რომელიც გოჩა ჯიქიას საწოლში დავაწვინეთ, ტყვედ რომ ავიყვანეთ ზუგდიდში და გოჩას დედამ საჭმელი გამოუტანა, ვინმეს ხელი თუ მიუწვდა რაღაცაზე, მაშინვე გმირად უნდათ რომ გამოაცხადონ. ამან გადამრია მთლად და მაშინ ვთქვი, ჟურნალისტებს ენა თუ გიჭრით და კალამი, თუ დათო ბოლქვაძე, ღმერთმა აცხონოს და, გმირი იყო, ლაჩრებთან რა უნდოდა, როგორ აღმოჩნდა მაგათთან-მეთქი, ასე ვთქვი.

საბუთიანად მოდიოდა, სამთავრობო ჯარში იყოო, რომ ამბობენ, სამთავრობო ჯარი შევარდნაძის გამოგზავნილი რომ იყო სამეგრელოში ხალხის დასახოცად და დასაჩოქებლად, ეს არ იცის ვინმემ დღეს?!

შევარდნაძე ვინმეს კარგ საქმეზე გაუშვებდა?

**– თქვენ რომ აიყვანეთ, ანუ გვარდიამ რომ დააკავა ის სამი ადამიანი – დათო ბოლქვაძე და კიდევ ორი მებრძოლი, მერე სად წაიყვანეთ ისინი, ხობში?**

– მე ხალხს რომ ველაპარაკებოდი – არ ჩაქოლოთ, ესენი ტრიბუნალს უნდა გადავცე-მეთქი, მოვიდნენ ბიჭები – ხობში, საავადმყოფოში არ არის არავითარი პირობები, 19 წლის ბიჭი გვიკვდება, ზუგდიდში თუ არ გადაიყვანეთ, უწამლოდ და უექიმოდ ამოხდება სულიო. ხიდთან სხვა გვარდიელები იდგნენ და მათ ჩავაბარე ეს სამი კაცი. ჩვენ ჩემი „ტოიოტას“ მიკროავტობუსით წავედით ზუგდიდის საავადმყოფოში, ის დაჭრილი ბიჭი –„მხედრიონელი“, თამარ ბოლქვაძემ იცის მისი გვარი, დათო ბოლქვაძის მეგობარი ყოფილა, მაგრამ ეს არაა ახლა მთავარი.

ხობის საავადმყოფოში წავედით, წამოვიყვანეთ ის ბიჭი. ხობის ცენტრი ხომ უნდა გაგვევლო ზუგდიდში რომ ჩავსულიყავით?! აი, მაშინ ვნახეთ ბოლქვაძე და ის ორი ბიჭი დახვრეტილი.

**– იყო იქ ვინმე? ხალხი, იარაღიანები, იყო საერთოდ იქ ვინმე?**

– კაცის ჭაჭანება არ იყო, ცენტრში ეყარა სამი მიცვალებული და სამარისებური სიჩუმე იყო ირგვლივ.

მერე რომ ვიკითხე, როგორ მოხდა-მეთქი, ვახტანგ ნოდიას წამების კადრები ჰქონდათო.

**– ვინ გითხრათ თქვენ ეს?**

– მეორე დღეს ქალაქში გავრცელდა ეს ამბავი. ვახო ნოდიას, ჩემი ძმაკაცის და უახლოესი ადამიანის ძმა რომ წერს, ხის ჯვარი ჰქონდა ბოლქვაძესო და ა.შ. ეს ამბავიც იმ დღეს გავრცელდა. ასეთი მითქმა-მოთქმა იყო მაშინ ხობში.

**– მართლა ჰქონდა, ნეტავი, ის ხის ჯვარი დათო ბოლქვაძეს?**

– ნუ, ახლა, ასე ლაპარაკობდნენ. დიდი უბედურება ტრიალებდა მაშინ და რა ვიცი, მართლა ჰქონდა თუ არა, ფაქტი ისაა, რომ მე დღესაც მიჭირს ჩემი ვახო ნოდიას დავიწყება, რომელსაც დაკრძალვის დღეს ეს ლექსი დავუწერე:



*„იხილეს დილას ჟამიანს,*
*მწოლი სისხლიან გუბეში,*
*გულ-მკერდზე ქრისტეს*
*ჯვარიანს,*
*ხატი გიპოვეს უბეში...*
*წუხელ სატანა ღრეობდა,*
*წმინდა ადგილებს არბევდა,*
*ვიღაც უმსგავსოდ მღეროდა,*
*ვიღაც უტიფრად გვასმენდა,*
*ღვარძლი შურს*
*გადახლართული,*
*ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდა*
*და ყოველივე ქართული,*
*უზიარებლად კვდებოდა...*
*ხარისთვალას და ხალიანს*
*კვლავ მზე ჩაგიწვა უპეში*
*მშვიდად იძინე, ძმაო,*
*მთიები გეტყვის ნუგეშინს.*

ასეა ჩემო კარგო და ჟურნალისტებმა უნდა იცოდეთ სიტყვის ფასი და მნიშვნელობა. ერთი გაზეთი რომ წერს, სენსაციური



ალიარებითი ჩვენებაო და ა.შ. რა სასენსაციოა ასეთ უბედურებაზე წერა. ასე არ შეიძლება, ჟურნალისტებო, თქვენ გენაცვალეთ, ასე არ შეიძლება. ყოველ სიტყვას უნდა მოვეფეროთ, იმიტომ, რომ ხალხის სიკვდილზეა აქ საუბარი. მეომრებმა, შეიძლება, ისეთი ლაპარაკი არ იცოდნენ, როგორც ჟურნალისტებმა და სხვანაირად რომ მოაბამთ კუდს, არაა ეს კაი საქმე.

**— ბატონო თენგიზ, რეალობის აღწერა ჟურნალისტის მოვალეობაა და კიდევ, დათო ბოლქვაძე თუ ყველაფერს იღებდა განურჩევლად, მაშინ ნამდვილი პროფესიონალი ყოფილა. აი, ამაზეა ლაპარაკი, მაგრამ რატომ აბრალებენ ზოგიერთები ამ მკვლელობას ლოთი ქობალიას?**

— ლოთი კანონიერი მთავრობის ჯარების სარდალი იყო და რაღაც ხომ უნდა დაებრალებინათ რომ დაეჭირათ.

**— თქვენი აზრით, ვახტანგ ნოდიას მკვლელები ვინც იყვნენ, არ ეცოდინება ლოთი ქობალიას?**

— *(პაუზა).* ირანდა, გენაცვალე, არ ვიცი, შეიძლება, იცოდეს, შეიძლება, არა, მაგრამ მე მაშინ ლოთიზე ნაკლები გავლენა არ მქონია სამეგრელოში. მართალია, იმხელა თანამდებობა არ მეჭირა, მაგრამ ყველაფერზე მიმიწვდებოდა ხელი, თუმცა, უნდა ვთქვა, მეც არ ვიცი, ვინ იყვნენ ისინი, ვინც ვახო ნოდია აწამა.

ის ადამიანები, ვინც ვახოსთან ერთად იყვნენ მაშინ, ერთი გაიქცა, მეორე დაიმალა, მგონი. აი, იმათ, შეიძლება, იცოდნენ რამე.

ვინც ვახოსთან ერთად დაიჭირეს, ორი კაცი, დღესაც ცოცხალია და მათ ეცოდინებათ რაღაცები.

**— დათო ბოლქვაძის გარდა თუ ხვდებოდით სხვა ჟურნალისტებს. ისინი როგორ მუშაობდნენ ფრონტის ხაზზე?**

— მე გეტყვით, პრეზიდენტის მომხრე ბევრი ჟურნალისტი იდგა მაშინ ჩვენს გვერდით, ზოგიერთი წინა ხაზზეც წამოსულა ჩემთან ერთად, რადგან, მაშინ ამბობდნენ: „ჩოქოსთან“ ტყვია არ მოგხვდებაო.

დღესაც სხვადასხვანაირად წერენ და აშუქებენ სიმართლეს, ჩემო კარგო და მაშინაც ასე იყო. იმ ჟურნალისტებიდან დღესაც ბევრია ცოცხალი და გაიხსენებენ, როგორ ვმუშაობდით იგივე ქართველები და უცხოელებიც. მე ვიცი, ვინ ვინ არის და ვინ ვინ იყო მაშინ, მე თვითონ ვიყავი იმ ყველაფრის მონაწილე.

სვანეთში რომ იყო ჯაბა იოსელიანი, უცხოელმა ჟურნალისტებმა იქ წასვლა მოინდომეს. ყველას ეშინოდა ამათი წაყვანა. მე გამოვედი და ვთქვი— წავიყვან-მეთქი, ოღონდ რაიმე ნიშანი მომეცით, გაეროს წარმომადგენელი რომ ვარ, ვითომ, იმის აღსანიშნავად-მეთქი. ადგნენ და გაეროს ნიშანი დამიწებეს მანქანის „ლაბავოიზე“. ხალხი სიცილით კვდებოდა: შევარდნაძემ გაერო-გაერო იძახა და „ჩოქო“ თავის მანქანიანად შევიდა გაეროშიო.



**— აი, ხომ ხედავთ, უცხოელი ჟურნალისტები, ვინ იცის, საიდან ჩამოსული, მიდიოდნენ სვანეთში ინტერვიუს ჩასაწერად და დათო ბოლქვაძის პირდაპირი მოვალეობა იყო, ფაქტების აღნუსხვა, ამაზეა ლაპარაკი, რომ ის პროფესიული საქმიანობის გამო მოკლესო.**

— იცით, რაშია საქმე? რაც არ უნდა ვინმემ დამავალოს წამება და უბედურება გადაიღეო, პატიოსანი ადამიანი არ გადაიღებ. ვიღაც თვალს თხრის, ვიღაც სიგარეტს აწვავს ტანზე, ერთი მკლავს უხერხავს და შენ იღებ ამას?

ჟურნალისტი, ცხადია, იღებს, მაგრამ ვინც ჩადის დანაშაულს, მან იცის, რომ დანაშაულს ჩადის და თუ მისიანი არ ხარ, კადრებს არ გადაგაღებინებს.

ვინც ვახო ნოდიას აწამებდა ან სხვა სასტიკი დანაშაულები ჰქონდა ჩადენილი, იმათ რომ მოეკლათ დათო ბოლქვაძე, მაშინ ცხონებული დათო გმირი იქნებოდა ნაღდად, მაგრამ...

**— მაგრამ არავინ იცის დღემდე, ვინ მოკლა იგი: იქნება სწორედ მათ მოკლეს, თუმცა, მოდი, თქვენ მიპასუხეთ: ვინ მოკლა დათო ბოლქვაძე — „მხედრიონმა“ თუ გვარდიამ?**

— პრეზიდენტის მომხრე ჯარისკაცებმა, სავარაუდოდ.

**— თუ გვარდიელებმა მოკლეს, ის კასეტა, რომელზეც ამდენი მითქმა-მოთქმაა ატეხილი, რატომ არ ჩანს, იმ კასეტით ხომ ნიღაბი ეხსნებოდა „მხედრიონელების“ სისასტიკის კიდევ ფაქტს? თუ „მხედრიონმა“ მოკლა, ანუ თავისიანებმა, მაშინ სხვანაირად უნდა ვიფიქროთ. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ცალმხრივად არ ღირს ამაზე ლაპარაკი. იქნება რომელიმე ყოფილ გვარდიელს აქვს კიდევაც ეს კასეტა შენახული.**

**თანაც კასეტა მკვლელებს ჰქონია, წაღებული, ვახტანგ ნოდიას ძმა აცხადებს, რამდენიმე ასლი არსებობს ამ კასეტისო.**

**ნინო ფანქველაშვილი ამბობს ჩემთან ინტერვიუში, ლოთიმ მითხრა: ერთი ბიჭი დაუჭერიათ, იმას აქვს კასეტა, სადაც არის ვახოს წამება გადაღებული და ხელიდან ვერ დაგვიძვრებიანო ე.ი. გვარდიას ჰქონდა ეს კასეტა ხელთ, ბატონო თენგო? ამაზე ვლაპარაკობ მე.**

— თქვენ რა გგონიათ, არის ახლა სიმართლის თქმის დრო? თუ გვინდა სიმართლე, ბოლომდე უნდა ვთქვათ, თორემ ნახევარი სიმართლე არ არსებობს.

შევარდნაძე ცოცხალია და ჩვენ რაზე ვლაპარაკობთ. იმას, იმ გველეშაპს, კრწანისში რომ ზის და იქიდან რომ იძლევა კიდევ ბრძანებებს, სანამ მაგას არ გამოვუტანთ საკადრის განაჩენს, სიმართლის თქმის დრო არ დადგება.

**მოვასვენოთ ის შეცდენილი ბიჭები იქ, სადაც არიან და ჩვენ გავაკეთოთ ჩვენი გასაკეთებელი საქმე. დავსაჯოთ ის, ვინც ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირა და დღემდე რომ აგრძელებს შავბნელ საქმეებს. რაღა გვაქვს ჩვენ ახლა სათქმელი, ღვთისგან გამოგზავნილი კაცი — ზვიადი გვყავდა და ის ვერ შევინარჩუნეთ...**

**— თქვენ ზემოთ თქვით, ჯერ კიდევ არ არის დამდგარი სიმართლის თქმის დროო, თუ ჯერ კიდევ არაა დრო, რატომ გახდა საჭირო იმ დაღუპული ბიჭების სულების შეწუხება?**

— ხშირად ხდება ხოლმე, ისეთ რაღაცაზე ატეხენ აურზაურს, სულ რომ არაა ყურადღებამისაქცევი. ახლა, მე არ ვამბობ, რომ ეს თემა, რაზეც ვლაპარაკობთ, ხელწამოსაკრავია, მაგრამ სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამბის უკანა პლანზე გადატანა შეიძლება უნდოდეს ვინმეს ამით. ვერაფერს გეტყვით.

**— კარგი კაცი ხართ თქვენ, ბატონო თენგიზ და ღმერთმა გაგახაროთ.**

**— კაი კაცი ვარ თუ ცუდი, საქართველოზე ვლოცულობ ყოველდღე. წავიდა ის დრო, ზვიადი რომ იყო ცოცხალი, ფრთები მქონდა მაშინ, თითქოს ფრენა შემეძლო.**

სხვა ჩოქო ვიყავი მაშინ და ახლა რაღაზეა ლაპარაკი...

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# carieli adgili da uyuro Cemodani

*სამწუხარო და დამამცირებელია, როცა შენი ქვეყნის პრეზიდენტს შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ამკობენ, მაგრამ ჩვენ რას ვიზამთ, როცა თვით პრეზიდენტის პასუხია არაადექვატური.*

*ერთმანეთს წაეწყო პოლიტოლოგ სერგეი მარკოვის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს: „ვაშინგტონის დახმარება ძალზე დიდი და ხანგრძლივია, თუმცა, აშშ თვითონაც ვერ ხვდება, რატომ აკეთებს ამას. ვაშინგტონში დარწმუნებულები არიან, რომ მიხეილ სააკაშვილი ჭკუანაკლულია, მაგრამ უყურო ჩემოდანივით, სატარებლად მძიმეა, გადასაგდებად — დასანანი“ და რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს: „სააკაშვილი ცარიელი ადგილია, ნული. ის ადრე თუ გვიან, პოლიტიკური ისტორიიდან წავა. საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ ნებისმიერ სხვა ლიდერთან ჩვენ ვაპირებთ ურთიერთობები დავალაგოთ და აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობები.“*

*დიმიტრი მედვედევის სიტყვებს პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსთავის ავტოდრომიდან, ავტომრბოლელის სამოსში გამოწყობილმა გასცა პასუხი, რომ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ, მზადაა დათმოს პრეზიდენტის პოსტი, გაიწვიოს მთავრობაც და დამატებით, სასქესო ორგანოც მოიჭრას რუსეთის ყოფილი და მომავალი პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის „საამებლად“.*

*ჩვეულებრივი ამბავია, რომ ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტის თითოეული სიტყვა ელვისებური სისწრაფით ვრცელდება მსოფლიოში და რას იტყვის მსოფლიო საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებზე, რომ პოსტის დატოვების გარდა სასქესო ორგანოსაც მოიჭრის, სრულებით არ ენაღვლება.*

*პრეზიდენტების სიტყვა-პასუხზე კომენტარი ვთხოვეთ ბატონებს, თემურ მირიანაშვილსა და გურამ ფირცხალავას.*

**თემურ მირიანაშვილი:** — „ქალბატონო მაია, დედამიწაზე ბევრი ქვეყანა არის ერთმანეთზე გადამტერებული, იმდენად, რომ ომებამდეც მიდის საქმე, მაგრამ თუ გსმენიათ, რომ როდესმე, რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტზე ასე შეურაცხმყოფლად ელაპარაკოთ. მხოლოდ გიჟი რომ იყოს, იმას არ აკადრებდნენ, რასაც კარგა ხანია დაუფარავად ამბობენ, საქმე იმაშია, რომ აბსოლუტურად



ზნედაცემული პიროვნებაა. მისმა მომხრეებმა, ის რომ ჰყავს, სულელი წიკლაური, „პადოშა“ თორთლაძე და მისთანები, დამისახელონ ერთი მაგალითი, რომ ერთი ქვეყნის პრეზიდენტს მეორე ქვეყნის პრეზიდენტისთვის ასეთი რამ ეკადრებინოს. ჰიტლერს სტალინი არ უყვარდა და პირიქით, მაგრამ ასეთ რამეებს ერთმანეთს აკადრებდნენ? — ასეთი რამ, შეიძლება აკადრო ისეთ აბსოლუტურ კრეტინს, როგორიც სააკაშვილია.

ვის და რა პირობას უყენებს — თუ წასვლა უნდა, წაეთრიოს, ნუ დატანჯა ქართველი ერი!

მისი დანაშაულია, რომ დღეს რუსეთი დგას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, მაგ მოღალატის, იძულებული გახადა რუსეთი, რომ ეღიარებინათ და ახლა კიდევ რაღაც სისულელეს ლაპარაკობს, მე წავალ და შენ ეგ ტერიტორიები დატოვეო. რუსეთს თავი დავანებოთ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ სააკაშვილი არ წავა... მე ვიმეორებ იმ აზრს, რაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გამოხატა სააკაშვილისადმი მიმართვაში „წადი, გაიქეცი, დაიმალე“ — თორემ ძალიან ძვირად დაუჯდება ქართველი ერის ღალატი.

არასდროს არ ჰყოლია საქართველოს ასეთი საზიზღარი მმართველი, ეზიზღება მთელ ერს და მან ეს ძალიან კარგად იცის...

ეს კრეტინი! ჩვენ ხომ არ მოგვისმენია, რა თქვა პუტინმა, თვითონ მოსდო მთელ ქვეყანას, უნდა ჩამომკიდოსო. იმდენად სულელია, ჯერ ხომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება აიძულა რუსეთს, ახლა პუტინს აიძულებს, მართლა ჩამოჰკიდოს. იმან თუ თქვა, შენ გაჩუმდი, ოდნავ მაინც ხომ უნდა გქონდეს თავმოყვარეობა. ასეთი რამ ყველაზე მოკრძალებული პროფესიის ადამიანს რომ უთხრას ვინმემ, გაჩუმდება და თავისთვის ჩაიდებს გულში, პრეზიდენტ კაცს რა გალაპარაკებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სააკაშვილი იდიოტია!

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, სააკაშვილმა ერთი რამ ნამდვილად გააკეთა, ქართველ ერს შეაზიზღა ამერიკის შეერთებული შტატები. ათი წლის წინ თითქმის კაცს ვერ ნახავდი საქართველოში, პროამერიკელი რომ არ ყოფილიყო, დღეს ძლივს იპოვი ასეთ კაცს... საქმეს ისეთი პირი უჩანს, აშშ-ს გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს მიშას გადაგდება, რადგან მეტისმეტად ძნელი სათრევი გახდა. ამ გიჟმა იმდენი გააკეთა, რომ მისი და აშშ-ის „ძალისხმევით“ საქართველო დაუბრუნდება რუსეთს...

ქართველი ხალხი იმედით შეჰყურებს ბიძინა ივანიშვილს...

**გურამ ფირცხალავა:** — „ჯერ ერთი, სააკაშვილი რომ გადამდგარიყო, არც აღიარებდა არავინ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, მეორე — რისი გადამდგომია... მთლად გაგიჟდა ეს კაცი! რაც დრო გადის, ელანდება, რომ მოაჭრიან. შველა უნდა მაგ კაცს, შველა! შიშები აქვს, მოჭრის შიშები!



პუტინის ნათქვამი, მაგას ნამდვილი ჰგონია და ეშინია. რუსებს აქვთ გამოთქმა „ზა იაიცა პოვეშუ“ და დაიჯერა. წაშველება უნდა, გადადგეს დროზე და თვითონაც დაისვენებს, აღარ ექნება შიშები და სხვაც დაისვენებს... მე მაინც მგონია, რომ მართლა ძალიან დიდი შიში აქვს, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც, პუტინი თუ არა, სხვა მაინც — ჩამოკიდებენ...

***ჰააგის სპეციალური სასამართლო დღე-დღეზე განაჩენს გამოუტანს ლიბერიის ყოფილ პრეზიდენტს ჩარლზ ტეილორს, რომელსაც დანაშაულთა ჩამონათვალში, სამხედრო დანაშაულთან ერთად, (90-იან წლებში მეზობელ სიერა-ლეონეში ომის წამოწყება) ბრალად წაყენებული აქვს მკვლელობები და სექსუალური ძალადობებიც. მისთვის ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, იგი იქნება პირველი ექს-ლიდერი მსოფლიოში, რომელიც ნიურნბერგის პროცესის შემდეგ საერთაშორისო სასამართლომ ბრალდებულად ცნო, ასე რომ, ბატონ სააკაშვილს, ბატონი გურამის თქმისა არ იყოს, შიშის საფუძველი, შესაძლოა, მართლაც უნდა ჰქონდეს...***

**მაია ჭელიძე**

# sikvdili narze

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის პირმშვენიერმა მინისტრმა, ქალბატონმა ხათუნა კალმახელიძემ საძულველ მინისტრთა რეიტინგში რომ ლამის სრულად გადაწონა სიძულვილში ყველა დანარჩენი მინისტრი ერთად აღებული, ათასობით პატიმრის ქვეყანაში გასაკვირი, ალბათ, არც უნდა იყოს. თუმცა, არის კიდევ რაღაც, რაც განსაკუთრებით ამძაფრებს ამ სიძულვილს, დაუნდობელი მიდგომა მომაკვდავი ადამიანებისადმი.

რამდენი მსჯავრდებული გარდაიცვალა საქართველოს ციხეებში (რომელსაც ე.წ „შავი სამყარო“ უახლოეს წარსულში „სანატორიუმს“ უწოდებდა) და რამდენი ელის სიკვდილს ნარზე, ამის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მაგრამ არ ესმის მიშა, ხათუნა, ზურა თუ ყველა ერთად ყრუს, უფრო სწორად,



ესმით, მაგრამ ერთი ყურიდან მეორეში ატარებენ. საბჭოთა კავშირს რომელი ჭკუათამყოფელი გაეტირებაო, მაგრამ თურმე ასეც შეიძლება მოხდეს. დიახ, პატიმარი, რომელიც სიკვდილს უყურებს თვალებში, იმ საბჭოთა კავშირს ნატრობს, რომელსაც ე.წ „აქტიროვკა“ ჰქონდა, მომაკვდავს სახლში შეეძლო სულის დალევა...

ბაკა კოპალიანი დამნაშავედ სცნეს 2009 წლის 19 ნოემბერს და სასჯელის სახით შეეფარდა 14 წელი და ერთი თვე. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განაჩენი ძალაში დატოვა, უზენაესმა სასამართლომ კი არ მიიღო განსახილველად.

მხოლოდ 2 წელი და რამდენიმე თვე გავიდა ჯანმრთელი და საღსალამათი 25 წლის ბაკა კოპალიანის დაკავებიდან, რომელსაც დღეს აღარაფერი აქვს დასაკარგი.

ამონარიდი №17 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულის ბაკა კოპალიანის შუამდგომლობიდან, რომლითაც მან არაერთხელ მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას.

*„გაცნობებთ, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შემდგომ, ბრალდებულთა №8 სასჯელარსრულების დაწესებულებაში მოთავსებისას, სასჯელაღსრულების თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, რომლის დროსაც მძიმე დაზიანებები მივიღე. აგრეთვე ფიზიკურად გამისწორდნენ 2010 წლის აგვისტოს თვეში №16 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადმოყვანისას. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, სადაც დაზარალებულად ვარ ცნობილი.*

*სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ცემის ფაქტმა გამოიწვია სათესლე ჯირკვლის კიბოს ჩამოყალიბება და განვითარება. ასევე დავვაადდი C ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტით და ქრონიკული გასტრიტით.*

*2010 წლის 25 აგვისტოს მძიმე მდგომარეობის გამო გადამიყვანეს ონკოლოგიურ საავადმყოფოში, სადაც ჩამიტარდა ოპერაცია, ამომაჭრეს სათესლე ჯირკვალი.*

*2010 წლის 2 სექტემბერს დამაბრუნეს რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორდა, რაზეც 2010 წლის 16 სექტემბერს გადამიყვანეს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. იქ ჩამიტარდა სამედიცინო გამოკვლევები. ფიბროგასტროდუოდენოსკოპიით დამიდგინდა ეროზიული გასტრო-ბულბიტი.*

*2010 წლის 24 სექტემბერს გაკეთდა კვლავ გეგმიური ოპერაცია, მარცხენამხრივი ფუნიკულექტომია. მასალები გაიგზავნა მორფოლოგიურ გამოკვლევაზე და ჩამიტარდა ქიმიოთერაპიის კურსი.*

*2011 წლის 9 ივნისის გამოკვლევების შედეგად დადგინდა შემდეგი დიაგნოზი: მარცხენა სათესლე ჯირკვლის კიბო T2N0M0 II (მეორე) სტადია, III (მესამე) სტადიის კლინიკური ჯგუფი; ქრონიკული C ვირუსული ჰეპატიტი; ქრონიკული გასტრიტი.*

*ამჯამად მდგომარეობა დამძიმდა, კიბო გადავიდა III სტადიაში და პროგრესირდება, ხოლო IV სტადიაში გადასვლით უკვე გამოიწვევს სიკვდილს, რაც დასტურდება 2012 წლის იანვარში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებით.*

*ვინაიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ დავავადდი მძიმე, განუკურნებელი დაავადებებით, როგორიც არის კიბო და ციროზი, ასევე სხვა დაავადებებიც გამაჩნია, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ვსაჭიროებ მძიმე და მტკივნეული პროცედურის ჩატარებას, მკურნალობის განხორციელებას კი არანაირი შედეგი აღარ მოაქვს. დღითიდღე უარესდება ჩემი მდგომარეობა, საშინლად დავსუსტდი, მიჭირს დამოუკიდებლად მოძრაობა, სახსრების საშინელი ტკივილი განმივითარდა, კიბოს დაავადება პროგრესირდება და უსწრაფესად გადადის მომდევნო სტადიებში, ყოველდღიურად ვლინდება სხვადასხვა პათოლოგიები, რაც აჩქარებს ჩემს სიკვდილს, არადა, ჯერ მხოლოდ 28 წლის ვარ, სიცოცხლე კი ადამიანის უზენაესი უფლებაა. სასჯელის მიზანი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ადამიანის ფიზიკური ტანჯვა, რასაც გამოიწვევს ჩემი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დატოვება“...*

ბაკა კოპალიანის შუამდგომლობას ერთვის თხოვნა, რომ შეისწავლონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გაათავისუფლონ დარჩენილი სასჯელის მოხდისგან, რათა მოსწრაფებული სიცოცხლის ბოლო პერიოდი ოჯახურ გარემოცვაში გაატაროს. შუამდგომლობაზე მსჯავრდებულის ხელმოწერაზე დასწრებას ადასტურებს სოციალური განყოფილების მუშაკი დ. კოჭლამაზაშვილი და ქ. რუსთავის №17 დაწესებულების დირექტორი ლ. ბრეგვაძე.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (2010 წლის 23 დეკემბერი) ერთობლივი ბრძანება №179-6427 თანახმად, შეიქმნა ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია. ამ ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიის ფუნქციას წარმოადგენს „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 2003 წლის 27 მარტის ბრძანება №72/ნ განსაზღვრავს იმ დაავადებებს, რომლებიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საფუძველს. აღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად ეს დაავადებებია:

1. ნაწლავებისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა ორგანოების დაავადებანი შეწოვის ფუნქციის გამოხატული მოშლით კახექსიის სტადიაში.

2. სხვადასხვა ეტიოლოგიის ღვიძლის ციროზები დეკომპენსაციის სტადიაში პორტული ჰიპერტენზიით, ჰიპერსპლენიზმით, ჰეპატო-უჯრედოვანი უკმარისობით, გამოხატული ენცეფალოპატიით, რეზისტენტული სრულფასოვანი მკურნალობის მიმართ.

ამავე ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს ავთვისებიანი სიმსივნეები.

1. ნებისმიერი ლოკაციის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულნი, რომელთა მდგომარეობა შეესაბამება IV კლინიკური ჯგუფით განსაზღვრულ კატეგორიას.

2. ლიმფური და სისხლმბადი ქსოვილების ავთვისებიანი დაავადებები. მიელოპროლიფერაციული სიმსივნეები. კლინიკური დიაგნოზი დადასტურებული უნდა იყოს მორფოლოგიური გამოკვლევებით.

ა) მწვავე ლეიკემია (ყველა ფორმის)

ბ) ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია – აქსელერაციის სტადია, ბლასტური კრიზი კახექსიით, ანემიით ან ჰემორაგიული სინდრომით;

გ) ქრონიკული ერითრომიელოზი – ტერმინალური სტადია;

დ) ერითრემია – გართულებული სისხლჩაქცევებით ან თავის ტვინის სისხლძარღვების თრომბოზებით;

ე) ქრონიკული ლიმფოიდური ლეიკემია – გართულებული ანემიით, თრომბოციტოპენიით ან მორეციდივე ინფექციებით;

ვ) ქრონიკული მონოციტური ლეიკემია – აქსელერაციის ტერმინალური სტადია ანემიით ან ჰემორაგიული სინდრომით;

ზ) მრავლობითი მიელომა (ყველა ფორმა);

თ) ლიმფოგრანულომატოზი (ყველა სტადია);

ი) არაჰოჯკინის ავთვისებიანი არადიფერენცირებულ უჯრედოვანი ლიმფომები (ყველა ფორმა).

**„დედათა კომიტეტის“ თავმჯდომარე ქეთევან ადამია:** – „მე ღია ეთერით გამოვედი „დედათა კომიტეტის“ სახელით 28 დეკემბერს „თავისუფალი ტრიბუნის“ ეთერში და პირდაპირ პრეზიდენტს ვთხოვე ამ პატიმრის, ბაკა კოპალიანის შეწყალება, ვინაიდან იგი მომაკვდავია. არ შეიწყალეს, მაგრამ ჩემი გამოსვლის შემდეგ, ალბათ, ეს მოხდა ქალბატონი ხათუნას მითითებით, იგი კვლავ გადაყვანილ იქნა ონკოლოგიის ეროვნულ ცენტრში. დღეისათვის მას ჩატარებული აქვს ქიმიოთერაპიის სამი კურსი. რაც ჩვენ ჩავერთეთ, ყურადღებას აქცევენ. თვითონ დამიკავშირდა საპყრობილედან და მითხრა, რომ კიდევ გადაჰყავთ გამოსაკვლევად, მაგრამ წარმოიდგინეთ, უკვე მე-3 სტადიაში გადაუვიდა კიბო, აღარაფერი ეშველება. 28 წლის ახალგაზრდა ბიჭია და მთლად დაბერებულია, ჯოხით ძლივს გადაადგილდება, საშინელი ტკივილები აქვს, ვერ უყურებენ. ყველას ვეკითხები: რატომ უნდა ჰყავდეთ ციხეში მომაკვდავი პატიმარი სატანჯველად, მითუმეტეს, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელი დააკავეს და ჯანმრთელი შეიყვანეს საპყრობილეში. მე ჩავრთე „საია“ და მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ირაკლი გიორგობიანი და კანონით ევალება უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პატიმრების გათავისუფლება, 1 მარტიდან დღემდე არ იღებს გადაწყვეტილებას. ონკოლოგიური ცენტრი რომ მე-3 სტადიას დაწერს პატიმარზე, ხომ წარმოგიდგენიათ რა მდგომარეობაა – ხელს აწერს ქირურგი-ონკოლოგი ლომიძე.

**– კარგია, რომ უპრობლემოდ გაგატარეს იუსტიციის სააგენტოს საჯარო რეესტრში, როგორც „პატიმართა და პრობაციონერთა დახმარების ფონდი“, მაგრამ ვისი დახმარების იმედი გაქვთ.**

– საზოგადოების. ეს ფონდი უნიკალურია იმით, რომ თითოეული შემოწირული თეთრი განაწილდება უშუალოდ პატიმართა ოჯახების მიერ. საოცარი ამბავია, რომ ავილო ნომერი, რომელზეც ერთი ზარის ღირებულება 1 ლარი იქნება და შემოწირულობის გაკეთება ტელეფონით



იქნება შესაძლებელი, კომპანიას მიაქვს 40 თეთრი. მე ვეკითხები მობილური კავშირების მილიონერ ამერიკელ, თურქ თუ რუს მფლობელებს, რა სინდისით იღებენ მომაკვდავი პატიმრების დასახმარებლად შემოწირული 1 ლარიდან 40 თეთრს.

მე მომმართავენ პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირებიც, რომლებთაც უკიდურესად უჭირთ. ყველანაირად ვცდილობთ რამენაირად დავეხმაროთ, რადგან ხედავთ, თვითმკვლელობამდე მიდიან გაჭირვებისა და უსასოობისგან, აბსოლუტურად დაუცველია ეს ფენა... „დედათა კომიტეტში“ მყავს დედა, რომელიც თვეში ერთხელ აბარებს სისხლს და იმ 20 ლარით ინახავს პატიმარ შვილს. ნახეთ „ჩემი დედები“, უკიდურესად გაჭირვებული მასაა, ციხის კართან მრავალწლიანმა სიარულმა გააღატაკა ოჯახები...

**– 23 000 ხელმოწერა გაქვთ შეგროვებული და კვლავ აგრძელებთ 30 000-მდე, მაგრამ პატიმრებთან დაკავშირებით გამოსავალს რამეში თუ ხედავთ.**

– უნდა გაერთიანდეს საზოგადოება და შევძახოთ ხელისუფლებას, რომ სასწრაფოდ გამოცხადდეს ფართომასშტაბიანი ამნისტია. ჩვენ ხომ მძიმე დანაშაულში მხილებული პირების გათავისუფლებას არ ვითხოვთ, მხოლოდ მსუბუქ დანაშაულში მხილებული პირების უპირობო გათავისუფლებას, გარკვეულ მუხლებზე სასჯელის განახევრებას, ანუ ხუთ წლამდე მუხლებზე გათავისუფლებას. უპირობოდ უნდა გათავისუფლდნენ 260-ე მუხლის სამივე ნაწილით გასამართლებულები – ეს არის ნარკოტიკების შეძენა, შენახვა, მოხმარება, სხვა არის, თუ ბრალი ედებათ რეალიზაციაში. გვინდა, დღესვე თუ არა, თუნდაც შემოდგომაზე, ახალ პარლამენტში მაინც გაიზიარონ ჩვენი რევოლუციური ამნისტიციის კანონპროექტი, რომ ერის გენოფონდი არ განადგურდეს. ძალიან მიშლიან ხელს, რასაც ვაკეთებთ, ისიც მიკვირს, როგორ ვაკეთებთ... სოციალურ ქსელში მომწერეს, რა საჭიროა შუამავლებიო. რა საჭიროა ჩემო ბატონო და, რაც მეტი უკიდურესად გაჭირვებული პატიმარი გამოვლინდება და დავეხმარებით, მით უკეთესი იქნება. მაგალითად, „შუამავალი“ რომ არ ვყოფილიყავი, ვინმემ იცოდა, რა უმძიმეს მდგომარეობაში იყო მანანა ქსოვრელი (2 პატიმრის შვილმკვდარი დედა, თვით კიბოთი და შაქრიანი დიაბეტით დაავადებული. ერთი შვილი მოუკლეს ციხის ბუნტის დროს ციხეში) ან თუნდაც იგივე ბაკა კოპალიანი? ჭლექით დაავადებული, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პატიმრები მყავს და მათი არსებობის შესახებ იცის საზოგადოებამ? – გასული წლის ოქტომბერში შევიტყვე კოპალიანის მდგომარეობის შესახებ და იმ დღიდან ვიბრძვი მისი გათავისუფლებისთვის. კიდევ ერთხელ ვთხოვ გიორგობიანს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს კოპალიანი. კი, ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ დანაშაულზე დიდი დანაშაულია სიკვდილის პირას მყოფი ადამიანი საშინელ ტანჯვაში გყავდეს, ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად ჯანმრთელი მათ დაწესებულებაში ჯალათებმა ცემით დააავადეს.

**– სიმართლე გითხრათ, არ მესმის ხელისუფლების პრინციპი, რატომ უნდა უნდოდეს გარდაცვლილი პატიმარი...**

– აბა, რა გითხრათ... სასჯელის გადავადება გადაეცა სასამართლოებს, მაგრამ არც ერთი მოსამართლე ამ ნორმას არ ითვალისწინებს, მაქსიმალურად აჭიანურებენ სამედიცინო ისტორიის გამოთხოვას (იგივე, ექსპერტიზის ბიურო) და წელავენ დროს. რამდენიმე დრის წინ მქონდა შეხვედრა შეწყალების კომისიის თავმჯდომარესთან და პატიმარი რომ გარდაიცვალა, მერე მიუვიდათ მასალები შეწყალებაზე...

**მაია ჭელიძე**

**ანგარიში ლარში**

**ს.ს. „თიბისი ბანკი“; საბანკო კოდი – TBCBGE22**

**მიმღების დასახელება – პატიმართა და პრობაციონერთა დახმარების ფონდი**

**ანგარიშსწორების ანგარიში – GE37 TB73 5133 6080 1000 02**

**ანგარიში ლარში**

**მიმღები ბანკი: სს „ბანკი ქართუ“; ბანკის კოდი: CRTUGE22**

**ბენეფიციარი: ა(ა)იპ - პატიმართა და პრობაციონერთა დახმარების ფონდი**

**ბენეფიციარის ანგარიშის ნომერი: № GE03 CR00 0000 0004 9236 08**

# ramdenad xar saWiro, rom Cven yvelam vicocxloT?



ამერიკელი კულტუროფილოსოფოსმა ფეიბლმანმა ზოგადად კულტურა რამდენიმე ტიპად დაყო, სადაც ადამიანს თითოეული ეს კულტურა მიმართავს კითხვით. პირველყოფილამდელ კულტურაში მის მატარებელ ადამიანს უწევს პასუხის გაცემა კითხვაზე — რამდენად ხარ საჭირო, რათა ჩვენ, ყველამ ვიცოცხლოთ? პირველყოფილი კულტურის მატარებელი ადამიანი კი ცდილობს ადეკვატური პასუხი მოუძებნოს კითხვას — რამდენად შეგიძლია გამოადგე საზოგადოებას? სამხედრო კულტურა მოკლე კითხვაზე ითხოვს მოკლე პასუხს - კარგად ექვემდებარები თუ არა? დღემდე უპასუხოდ რჩება რელიგიური კულტურის მიერ დასმული შეკითხვა — რამდენად უცოდველი ხარ? მაშინ, როდესაც ურბანიზაციული კულტურა საგონებელში აგდებს ადამიანს კითხვით — რამდენად ინდივიდუალურია შენი განცდები? ასევე არის მეცნიერული კულტურის და რაციონალური კულტურის რთული შეკითხვები — რამდენად ცნობისმოყვარე და რამდენად სრულყოფილი ხარ?

მიუხედავად ყველაფრისა, ქართულ საზოგადოებას უკვე უწევს საკუთარი კულტურის განსაზღვრა და დაცვა, შესაბამისად, კითხვაზე პასუხის გაცემაც. დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით - პასუხი შემოდგომამდე დაყოვნდება.

მიმდინარე წლის ბოლო გარდამტეხი ეტაპია ქართული დემოკრატიისათვის - გამოცდა საკუთარ მომავალს მთელმა ქვეყანამ უნდა ჩააბაროს. საერთაშორისო თანამეგობრობაც სწორედ ამას ელოდება საქართველოსაგან. ამდენად, გამოცდის წარმატებით ჩაბარება 3 სუბიექტზე პასუხისმგებლობის გადანაწილებით განისაზღვრება: ხელისუფლება, არჩევნებში მონაწილეები და ამომრჩეველი.

მიხეილ სააკაშვილის სამუდამო ლიდერობის საფრთხის შესახებ განსხვავებული პოლიტიკური გემოვნების მქონე საზოგადოება ასევე განსხვავებული პოლიტიკური ძალებისაგან ინფორმირებულია.თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი ხვდება იმასაც, რომ მას პოლიტიკურ საქმიანობას ვერავინ აუკრძალავს. რამდენად შეძლებს სააკაშვილი ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემის გარანტად ქცევას, თუკი ის არ იქნება მომავალში აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში? ამ ურთულეს შეკითხვაზე საექსპერტო წრეებს, პოლიტიკურ ჯგუფებს და დანარჩენ საზოგადოებას რასაკვირველია, განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებად და შესაბამისად, მიღებულ შედეგზე პასუხისმგებლად, მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტი - მიხეილ სააკაშვილი მოიაზრება.

მაგრამ. არის ერთი დიდი მაგრამ. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ განწყობებში. ივანიშვილი გამოჩნდა მაშინ, როდესაც საზოგადოება დარწმუნდა, რომ პროცესების რადიკალიზებამ ოპოზიციისათვის და თავად საზოგადოებისათვისაც, რომლის დაკვეთა მყისიერი შედეგის მიღწევა იყო, შედეგი არ მოიტანა.

მოსახლეობის დიდი ნაწილი ივანიშვილში საკუთარი გადარჩენის, ხვალის იმედს ხედავს. დღეისათვის მას საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს, თუმცა პასპორტი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ფორმალური დოკუმენტია. უკანასკნელ პერიოდში საუბრობენ სწორედ შემოდგომისათვის ივანიშვილის სავარაუდო დეპორტაციის შესახებ, ისევე , როგორც მისი ფიზიკური ლიკვიდაციის საშიშროების შესახებ. თუკი პირველი საფრთხისშემცველი ინფორმაცია ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტის დათქმულ დრომდე 2 დღით ადრე გავრცელდა, მეორე საგანგაშო სიგნალი საზოგადოებამ ივანიშვილის პარტიის დაფუძნებისთანავე მიიღო. საზოგადოებამ ერთ თვეში ორჯერ მიიღო მესიჯი - საფრთხე, სიკვდილი!!!

როგორ აღიქვა საზოგადოებამ ეს შემაშფოთებელი ინფორმაცია?

ექსპერტ **გია ხუხაშვილის** შეფასებით, „საზოგადოება ბიძინა ივანიშვილთან მიმართებით ზურაბ ჟვანიას პრეცედენტის გამეორებას არასოდეს შეეგუება. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ივანიშვილის ლიკვიდაციით არაფერი შეიცვლება. ამის მსურველებმა უკვე დაიგვიანეს, რადგან ჩვენ კოლექტიური ივანიშვილი მივიღეთ მისი ოჯახისა და პოლიტიკური კოალიციის სახით''.



ასევე საყურადღეობა ექსპერტის გაფრთხილება, როდესაც ის ივანიშვილის ესკორტის პატრულის მიერ გაჩერების ფაქტის ანალიზისას გვთავაზობს: ''არ გამოვრიცხავ, რომ ეს ჩვეულებრივი ტესტირება იყო. ეტყობა, ვიღაცას ბიძინა ივანიშვილის მოქმედებების გვერდიდან ყურება სურდა. პირადად მე, ბიძინა ივანიშვილს ვურჩევ, მსგავს ვითარებაში მანქანიდან არასოდეს გადმოვიდეს, რადგან მისი სტანდარტული დაცვის ზონიდან გამოსვლა, ბუნებრივი საფრთხის შემცველი'' - განაცხადა ბატონმა ხუხაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა ხელისუფლებიდან მოდიოდა, - ამის შესახებ კოალიცია ''ქართული ოცნების'' წევრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომელიც შვეიცარიაში ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძეს შეხვდა. სოზარ სუბარის თქმით, კომახიძის ინფორმაციით, შუამავალი, რომელიც ჟურნალისტს შეხვდა და ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა გააცნო, ხელისუფლების წარმომადგენელმა გააგზავნა. სუბარის თქმით, კომახიძე შუამავალსაც და მის გამგზავნსაც კარგად იცნობს, რადგან რამდენიმე წლის წინ კომახიძე შსს-ს ორგანოებში მუშაობდა, შემდეგ კი ჟურნალისტი იყო. საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ რამდენიმე კვირის წინ ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ, რომელმაც შვეიცარიაში 2010 წელს პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, ''ფეისბუქში'' წერილი გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, ხელისუფლების მხრიდან ივანიშვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.''ქართულმა ოცნებამ'' შვეიცარიაში კომახიძესთან შესახვედრად სოზარ სუბარი და ადვოკატი არჩილ კბილაშვილი გააგზავნა. სუბარის ცნობით, კბილაშვილი კომახიძესთან შეხვედრას არ დასწრებია.

საზოგადოების დიდი ნაწილი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ივანიშვილის მოსალოდნელი ლიკვიდაციის სურვილის პირდაპირ პრეზიდენტთან დაკავშირებას, იმდენად, რამდენადაც პასუხისმგებელი ყველაფერზე, მხოლოდ სააკაშვილია. მას საკმაოდ ჭკვიანი და გამოცდილი მრჩეველების გუნდი ჰყავს, რომელნიც ნამდვილად გათვლიდნენ და ნამდვილად შეშფოთდებოდნენ, გასული წლის 26 მაისის აქციის სასტიკი დარბევის შედეგად პრეზიდენტის დემოკრატიული იმიჯის მსხვრევით. ალბათ, ისევე, როგორც - თავად პრეზიდენტი...

საზოგადოების განსჯის საგნად დღემდე რჩება მახათას მთაზე გადაღებული და შემდეგ გავრცელებული კადრები, ისევე, როგორც ივანიშვილის პერსონალურ კომპიუტერზე განხორციელებული კიბერ-თაღლითობის შედეგად გავრცელებეული სრულიად უწყინარი ვიდეო-მასალა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, **„ქართული ოცნების" პრეს-მდივნამა მაია ფანიჯიკიძემ „საერთო გაზეთს" განუცხადა,** რომ ''თვითონ ის ფაქტი, რომ პირადი სფერო იმიტომ არის პირადი, მასში ჩაძრომის უფლება ნამდვილად არავის აქვს. ეს უფრო ეთიკის და მორალის საკითხია. თანამედროვე ტექნიკის განვითარების პარალელურად ვითარდება ის საშუალებებიც, რომელთაც თან ახლავს უარყოფითი მომენტები.''



ქალბატონი მაია გამოთქვამს საფუძვლიან ეჭვს, რომ ეს თავდასხმა ხელისუფლების მხრიდან და მისი დაკვეთით განხორციელდა. ''ჩვენ მოგვეპოვება ინფორმაცია, რომელსაც გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, საჯაროს გავხდით, ჩვენ გვაიძულეს, გაგვემჟღავნებინა ის. ეს დიდი სკანდალის საფუძველი გახდება'' - აღნიშნავს მაია ფანჯიკიძე.

რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის სასურველ ფორმებს, ხელისუფლებაც და მისი საპირწონე ძალაც, აქ ნოვაციით ვერ მოიწონებს თავს. ბატონი გია ხუხაშვილის შეფასებით, ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილს ფიარ-სამსახური საერთოდ არ სჭირდება, რადგან ამ საქმით მთლიანად მიხეილ სააკაშვილია დაკავებული.

ვიდრე ხელისუფლება საკუთარი იმიჯის რეკონსტრუქციას ახორციელებს, კოალიციის მხრიდან დემონსტრაციებისა და მიტინგების აუცილებლობის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია. საპროტესტო ქუჩის აქციების საკითხთან მიმართებაში, დღევანდელი მოცემულობით, კოალიციური და არაკოალიციური პოლიტიკური ძალები განსხვავებული დროის - (არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ) და თემატიკისადმი განსხვავებული მიდგომების შესახებ დიდი ხანია საუბრობენ.



თუმცა არ შეიძლება, რომ მხოლოდ ცალმხრივი პასუხისმგებლობა არსებობდეს, როცა საზოგადოების მხრიდან ხშირად ისმის საყვედური ხელისუფლების მისამართით, რომ მას ჩვენ ვქირაობთ. შესაბამისად, საზოგადოებასაც აქვს საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა. და არა მარტო ხელისუფლების წინაშე! მოქალაქე, ადამიანები, ხალხი, მასები და ელიტები (პოლიტ და კულტურული, სამხედროც), საზოგადოება, — მიუხედავად განსხვავებული ოცნებებისა და მოთხოვნებისა, პოტენციური ელექტორატია, რომელსაც ევროპასთან ინტეგრაციის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი სურვილი, ა-ვალ-დე-ბუ-ლებს, იქცეს სამოქალაქოდ!

აქციებს რაც შეეხება, აქაც ევროპული მაგალითი უნდა გავიხსენოთ — საფრანგეთში გასული წლის მასობრივი გამოსვლები, საერთო-სახალხო გაფიცვები, საპენსიო ასაკის გაზრდის კანონზე სენატის მიერ ვეტოს დადებამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ პროტესტი პირველად სახელმწიფო სტრუქტურების - მერიების, ფოსტის, რკინიგზის, ტელე-რადიოს წარმომადგენლებმა გამოხატეს. ფრანგები საკუთარ უფლებებს იცავდნენ. საქართველოში დარჩენილი მოსახლეობა დღემდე, როგორც ყველაზე კანონმორჩილი ხალხი, იცავს ყველა კანონს, რასაც მას სახელმწიფო სთავაზობს. მაგალითები ბევრია, მაგრამ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის უმრავლესობის ფონზე, თითქმის აუხსნელია სინათლისა და ნაგვის გადასახადით მხოლოდ ზურა აბაშიძის პროტესტი! არის განსხვავება ''გადადექის'' უშედეგო მოთხოვნით რამდენჯერმე ქუჩაში სკანდირებასა და საკუთარი ჯიბის, მაცივრის და ჯანმრთელობის დასაცავად გამართულ თემატურ აქციას შორის?! პოლიტ-კულტურაზე საუბარი აბსტრაქტულია, მაშინ როდესაც ყოფიერება ძლიერად უტევს ექს-ჰომო სოვიეტიკუსის ნაციონალურ ცნობიერებას.

თვითორგანიზებული, უხმო პროტესტი ქართულმა საზოგადოებამ მხოლოდ ერთხელ გამოხატა, ტელევიზიით ნანახი 26 მაისის აქციის მონაწილეთა დარბევის გამო. რამდენად, როდის და როგორ შეძლებს საკუთარი არჩევანის განხორციელებას და დაცვას ქართული ელექტორატი, ალბათ, მიმდინარე წლის 26 მაისი გვაჩვენებს, თუკი ხელისუფლებას შეკრებილი ხალხის დანახვაზე სპეც-რაზმი არ გაახსენდება და ის არ გამეორდება, რაც რამდენჯერმა უკვე მოხდა.

**ნინო ფირცხალავა**

**P.S. მე-19 საუკუნის ბოლოს, როცა მკვიდრი ამერიკელების უმეტესობა რეზერვაციებში ცხოვრობდა, ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ლიდერს თითქოს შემოქმედი მოევლინა და თეთრკანიანთა დამარცხებისათვის საგანგებო რიტუალის - ''სულების ცეკვის'' ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითა. ასე დაიწყო ინდიელთა წინააღმდეგობის მოძრაობა - ''სულების ცეკვა''. ხელისუფლებამ ბელადები დახოცა. უკანასკნელი მეამბოხე - ჯერონიმო, 1900 წ.ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იქცა, ყველა მსურველს შეეძლო მასთან ფოტოს გადაღება...**

**P.P.S. სამართლის და მორალის თანაფარდობის რამდენიმე შეხედულება - ერთ-ერთის თანახმად, სამართალი იურიდიულად გაფორმებული მორალია, ზნეობის მინიმუმი...მაგრამ არსებობს მორალური ნორმების სიმრავლე, რომელიც არა მარტო წარმოადგენენ ზნეობის მინიმუმს, არამედ - უკიდურესად უზნეობას.**

# daviT lorTqifaniZe: ivaniSvils gunds xelisuflebis Sesacvlelad yvela resursi gaaCnia

„ქართული ოცნება“ თანდათანობით უფრო და უფრო ფართოვდება, თუმცა მეორე საკითხია, რა კატეგორიის ადამიანები ეფარებიან ივანიშვილის „ფულიან კალთას“. ამჯერად „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის საპარლამენტო ფრაქციის აპარატის ყოფილი უფროსი დავით ლორთქიფანიძე შეუერთდა, რომელმაც მოძრაობა 15 მარტს დატოვა. სხვათა შორის, ბატონი დავითი იმ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდა, რომელსაც თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი ფსევდოოპოზიციურ პარტიად მოიხსენიებდა. თუმცა 27 აპრილიდან ყოფილი „ფსევდოოპოზიციური პარტიის“ წარმომადგენელი უკვე ივანიშვილის გუნდში ირიცხება.

რატომ დატოვა დავით ლორთქიფანიძემ „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობა და რატომ შეაჩერა არჩევანი მაინცდამაინც ბიძინა ივანიშვილის პარტიაზე? საკითხის ირგვლივ „საერთო გაზეთს“ დავით ლორთქიფანიძე ესაუბრა.

**— ბატონო დავით, რატომ დატოვეთ „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობა. რა გახდა თქვენი პარტიიდან წამოსვლის მიზეზი?**

— ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური მოსაზრების გამო მივიღე. ის პოლიტიკა, რომელსაც „ქრისტიან-დემოკრატები“ ბოლო პერიოდის განმავლობაში ატარებენ, ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით ჩემთვის მიუღებელია. ვგულისხმობ, ხელისუფლების ეტაპობრივ ცვლილებასა და სხვა ხელისუფლებით ჩანაცვლების პროცესს. დღეს ქართული სახელმწიფო ასეთი ფუფუნების საშუალებას არ იძლევა, რადგან ახლა დღის წესრიგში დგას ხელისუფლების არჩევნების, კონსტიტუციური გზით ცვლილების რადიკალური აუცილებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ქვეყანას, ფაქტობრივად, მომავალი აღარ ექნება. ჩემი გადაწყვეტილება კიდევ უფრო გამიმყარდა, როდესაც ცოტა ხნის წინ „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის ლიდერები გიორგი ახვლედიანი და გიორგი თარგამაძე ჩავიდნენ ჩემს მშობლიურ რაიონში ვანში და მოსახლეობას შეხვდნენ. სხვათა შორის, ეეს ის მოსახლეობაა, რომელთან ერთადაც უკვე დიდი ხანია ვმუშაობ მათი უფლებების დასაცავად. ხელისუფლებამ ვანელებს გაუყიდა საძოვრები და 2500 მოსახლე საძოვრის გარეშე დარჩა. ცხადია, ამომრჩეველთან შეხვედრას არავის არ დავუშლი და არც მაქვს ამის უფლება, მაგრამ ეს ხალხი შეკრიბა ადგილობრივი გამგეობისა და „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებმა და „ქდმ“-ს შეხვედრა მოსახლეობასთან სწორედ მათი ორგანიზებით მოხდა. მოსახლეობასთან შეხვედრაზე სწორედ „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის წარმომადგენლები დაჰპირდნენ ადგილობრივებს, რომ ამ საკითხს ხელისუფლებასთან დაარეგულირებენ, გვერდში დაუდგებიან და დაუბრუნებენ საძოვრებს და ა.შ.



**— ბატონო დავით, თქვენ იზიარებთ მოსაზრებას, რომელიც საზოგადოებაში დიდი ხანია მუსირებს, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ ხელისუფლების თამაშს თამაშობენ?**

— ამ მოსაზრებას რომ არ ვიზიარებდე და ვეთანხმებოდე, მაშინ ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი. რამდენიმე დღის წინ, რაც ჩემს მშობლიურ რაიონში მოხდა ამ მოსაზრებას ის საფუძველს კიდევ უფრო მიმყარებს. ყველაფრის საზომი არის არჩევნები და არჩევნები გამოაჩენს, ვისი პოზიციაა მართალი. დღეს სერიოზულ გზის გასაყარზე ვდგავართ და ამომრჩეველი, რომელიც არჩევნებზე მივა, გარკვეული უნდა იყოს ვის უნდა დაუჭიროს მხარი.

**— „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობა 15 მარტს დატოვეთ და ფაქტობრივად, ერთი თვის შემდეგ დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოში“ გაწევრიანების შესახებ. ამ პერიოდის განმავლობაში რას ელოდებოდით, რით იყო გამოწვეული თქვენი ერთგვარი ტაიმაუტი?**

— ამ დროის განმავლობაში მიდიოდა მსჯელობა, ფიქრი, განსჯა და როცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან საბოლოო კონსულტაციის რეჟიმში გადავედით, მივიღე გადაწყვეტილება და გავხდი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.

**— რატომ გააკეთეთ არჩევანი მაინცდამაინც ბიძინა ივანიშვილის პარტიაზე?**

— იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც აქამდე წარმოვადგენდი ქვეყნის მომავალს სხვაგვარად ხედავდა. დღეს კი აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღება მოხდეს დროულად, ადეკვატურად და ხელისუფლება შეცვალოს არჩევნების გზით. ამისათვის კი ივანიშვილსა და მის გუნდს აბსოლუტურად ყველა რესურსი გააჩნია. ამ შემთხვევაში მოსახლეობას სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ სწორად ინფორმირებულობა.

**— ხომ არ განსაზღვრა თქვენი არჩევანი ივანიშვილის ფინანსურმა კაპიტალმა?**

— შეიძლება, მოქალაქეებს გაუჩნდეთ კითხვა, ჩემი გადაწყვეტილება ხომ არ უკავშირდება ფინანსურ ინტერესებს და მინდა დავაფიქსირო, რომ ეს ასე არ არის. მე, პირადად, გადავდგი აბსოლუტურად გააზრებული ნაბიჯი და ვფიქრობ, ეს ნაბიჯი უფრო დაკავშირებულია რისკებთან, მდგომარეობის გართულებასთან, ვიდრე ფუფუნებასთან და განცხრომასთან.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# cotne mWedliSvili: yvelam unda gaigos, ra ukuRmarT saxelmwifoSi vcxovrobT

**ქალაქ რუსთავში მცხოვრები ცოტნე მჭედლიშვილი უკვე ორ წელზე მეტია ცდილობს თავისი საკუთრება 900 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთი დაიბრუნოს, რომელიც შ.პ.ს. „კავკასუს ავტოჰაუსის“ დირექტორმა ალეკო ბახტაძემ, როგორც თავად ამბობს, წაგლიჯა.**

**დაზარალებული „საერთო გაზეთს“ თავადვე დაუკავშირდა იმ მიზნით, რომ ყველას გააგებინოს, თუ რა უსამართლო სახელმწიფოში გვიწევს ცხოვრება, სადაც განმსაზღვრელია არა კანონი, არამედ ფული.**



— 84 წლის ადამიანი ვარ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები. მეუღლე ორი წლის წინ გარდამეცვალა და ახლა რუსთავში მარტო ვცხოვრობ. ორ წელზე მეტია, რაც საკუთარ მიწას ვერაფერში ვიყენებ, ვერც კი ვყიდი. მიწა რუსთავის შესასვლელთან ავტოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზეა. შ.პ.ს. „ავტოჰაუსის“ წარმომადგენლება თავიანთ ტერიტორიაზე მოჭრილი მიწა, ჩემს საკუთრებაში დაყარეს, თანაც ისე, რომ შესასვლელ-გამოსასვლელი მთლიანად ჩამიკეტეს.

**— თქვენ თუ შეხვდით ალეკო ბახტაძეს და რა პასუხი მიიღეთ?**

— ნორმალურად არაფერს პასუხობს. მეუბნება, უბრალოდ, მიწა დავყარე და შეგიძლია მიწა გაიტანო, ან გადაასწორო. რას ნიშნავს, მე გავასწორო? ჩემს საკუთრებაში უნებართვოდ დაყარეს და აქეთ მე მეუბნებიან, შენ მიალამაზეო.

**— სასამართლოს თუ მიმართეთ?**

— მივმართე შვილო, მაგრამ რა, ეგ ვითომ სასამართლოა. მაგათთვის კანონი და სამართალი უცხოა. სასამართლოში მითხრეს, ეგ პრობლემა თვითონვე მოაგვარეთო. ხოდა, შვილო, ჩვენ თვითონ რომ ვერ მოვაგვარეთ, იმიტომ მივმართე სასამართლოს, მაგრამ რა, ვერაფერი გავარკვიე.

ეკა ბესელიას საადვოკატო ბიუროშიც მქონდა ჩემი საქმე მიტანილი და ქალბატონმა ეკამ რუსთავის მერის სახელზეც გადააგზავნა განცხადება, მაგრამ აქაც უშედეგოდ, არაფერი შეცვლილა. თავადაც ვიყავი ქ. რუსთავის მერთან ზაქარია დარჩიაშვილთან, თუმცა შეაყარე კედელს ცერცვი. საჯარო რეესტრიდანაც მაქვს ამონაწერი, რომ ეს მიწა, ნამდვილად ჩემი საკუთრებაა, თუმცა არავინ ამას არ ითვალიწინებს.

**— მაშინ ვინ მისცა ნება „კავკასუს ავტოჰაუსის“ დირექტორს ასე მოგექცეთ?**

— ალბათ, რუსთავის მერიისგან მიიღეს ნებართვა. ისე, ფულიანსა და მდიდარს რა ნებართვა სჭირდება, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ... ჩემმა შვილიშვილმა, რომელმაც გიული ალასანიას უნივერსიტეტი დაამთავრა, ახლა თურქეთშია და რამდენიმე უცხო ენა იცის, ვაპირებ საგაზეთო მასალები, რომელშიც ჩემს გაჭირვებაზე ეწერ, ვათარგმნინო, რათა ყველამ გაიგოს, რა უბედურ, უკუღმართ სახელმწიფოში ვცხოვრობთ.

**მირანდა ნაბახტეველი**

კავკასუს ავტოჰაუსი
CAUCASUS AUTOHOUSE

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# soxumi evropas utevs



ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ინციდენტების პრევენციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელიც გალში უნდა გამართულიყო, არ შედგა. საფრთხე შეექმნა აგრეთვე ჟენევის მოლაპარაკებებს, რომელიც იმავე პრობლემატიკას განიხილავს. ვითარების გართულების მიზეზი გახდა აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის ანჯეი ტიშკევიჩის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება.

სოხუმი დიდი ხანია არ მალავს გაღიზიანებას იმის გამო, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებით დაკავებული სხვადასხვა მისიის დასახელებებში ფიგურირებს გეოგრაფიული დაზუსტება „...საქართველოში“. ამის დაუშვებლობის შესახებ ჯერ კიდევ როდის ლაპარაკობდა აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში: „აფხაზეთი რუსეთმა დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარა. რატომ უნდა მოიხსენიებდნენ ჩვენთან ჩამოსულ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, როგორც საქართველოში მყოფებს? ეს არ არის სწორი. ასე მაინც თქვან ხოლმე — ესა თუ ის მისია საქართველოსა და აფხაზეთში“.

მხოლოდ დასახელება როდია საკამათო. აფხაზეთის ხელისუფლებისთვის მიუღებელია ევროპელ სახელმწიფო მოხელეთა და დიპლომატთა უაპელაციო დამოკიდებულება, როცა იოტისოდენადაც არ უშვებენ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. რადგან ასეა, ფიქრობენ სოხუმში, დამკვირვებლებმა თვალი მიადევნონ თავიანთ ქართველ მეგობრებს ენგურს იქით; მით უმეტეს, რომ აფხაზეთის მხარეს მათ არაფერი ესაქმებათ — აფხაზეთი არავის ემუქრება და დაძაბულობის ესკალაციითაც არ არის დაინტერესებული.

სოხუმსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შორის დაძაბულობის მორიგი გამწვავება მოჰყვა ანჯეი ტიშკევიჩის უარს, ოფიციალურად დააფიქსიროს კონფლიქტის ზონაში მომხდარი დანაშაულობანი, მათ შორის — აფხაზი მილიციელის მკვლელობა; რაც მთავარია, გაღიზიანების საფუძველი გახდა აგრეთვე მისი პასიურობა „იმ უკანონო გასამხედროებული ფორმირებების მიმართ, რომელთა ჩამოყალიბების შესახებ ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები დაუფარავად აცხადებენ. ტიშკევიჩმა თავისი უარი იმით ახსნა. რომ მის თანამშრომლებს აფხაზეთში მონიტორინგის განსახორციელებლად არ უშვებენ. სწორედ ამის შემდეგ გამოაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იგი არასასურველ პერსონად.

„უახლოეს ხანში ევროკავშირი, მისი წარმომადგენლის მიმართ აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფალთა გადაწყვეტილების გამო, საგანგებო განცხადებას გამოაქვეყნებს. ევროკავშირი ასეთი განცხადებით ვითარების შემდგომი გართულების თავიდან აცილებას შეეცდება... ევროკავშირის წევრიქვეყნები დაუფარავად და მკაფიოდ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას. აუცილებელია, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყველა მექანიზმი მუშაობდეს — ეს უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს მომავლისთვის“, — განუცხადა ჟურნალისტებს ამ მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა.

საქართველოს საგარეო უწყება მომხდარში მოსკოვს ადანაშაულებს — ტიშკევიჩი სწორედ მისი წაქეზებით გამოაცხადა სოხუმმა პერსონა ნონ გრატად. თუკი ჟენევის მოლაპარაკებებსაც საფრთხე შეექმნება, პასუხისმგებლობა მოსკოვს დაეკისრება.

სოხუმს დიდად არც ევროკავშირის მუშაობის შეფერხება ანაღვლებს და არც ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების შეწყვეტა. ახლახან აფხაზეთს ეწვია საქართველოში გერმანიის ელჩი ორტვინ ჰენინგი. პრეზიდენტმა ალექსანდრ ანქვაბმა სტუმარს დაათვალიერებინა აფხაზეთის მარგალიტად წოდებული ულამაზესი ტბა რიწა. ადგილობრივთა ცნობით, დიპლომატმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ცოტა რამ იცის რესპუბლიკის შესახებ. „აფხაზეთი იმსახურებს იმას, რომ მასზე უფრო მეტი იცოდნენ მსოფლიოში“, — განაცხადა ჰენინგმა.

საპასუხოდ ანქვაბმა გერმანელ დიპლომატს ურთიერთობის სხვა ფორმატი შესთავაზა — საქართველოს გვერდის ავლით. „ჩვენს ხალხს მკაფიო პოზიცია გააჩნია და იგი სრულად შეესაბამება რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კურსს. ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოერივი განვითარება ვარჩიეთ... პოლიტიკური ვაჭრობა უადგილოა — ნურავინ დაკარგავს დროს აფხაზეთის სხვადასხვა პროგრამაში ჩასართავად, რომ საბოლოოდ საქართველოს იურისდიქციაში მოაქციონ“, — განაცხადა ანქვაბმა და დასძინა: უახლოეს ხანში რესპუბლიკამ შესაძლოა, ურთიერთობა გაწვიტოს იმ დიპლომატებთან, რომლებიც საქართველოში არიან აკრედიტებულნი. „ჩვენ არავის დაყოლიებას არ ვაპირებთ, აღიარონ ჩვენი დამოუკიდებლობა, მაგრამ თბილისის მეშვეობით თქვენთან ურთიერთობა არ გვსურს“, — კიდევ ერთხელ აღნიშნა ანქვაბმა.

**ng.ru**

# moskovi kavkasias dadebiT signals ugzavnis

რუსეთი კავკასიის რეგიონს პოზიტიურ სიგნალს უგზავნის — აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ერიკ რუბინი. ამ თემაზე მან კოლუმბიის უნივერსიტეტში გამოსვლისას ილაპარაკა, როცა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის კავკასიურ პოლიტიკას მიმოიხილავდა.

მისი აზრით, მოსკოვს აუცილებლად მიაჩნია თბილისთან ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესება. დიპლომატმა ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივ კვლევაზე, რომელიც წელს გაიმართა — როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ურთიერთობის გაჯანსაღების მომხრეა. საინტერსოა, რომ საქართველოში მცხოვრებთა 60 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებით არის დაინტერესებული.



„ვფიქრობ, მოსახლეობას არ სურს, რომ ეს ურთიერთობა ნებისმიერ ფასად გაუმჯობესდეს. რუსეთშიც იგივე განწყობაა, თუმცა პუტინი ამ თემაზე საუბრისას ყოველთვის სააკაშვილის რიტუალურ განსჯას იწყებს.

პოზიტიური სიგნალების განმარტებისას, რუბინმა გაიხსენა რუსეთსა და საქართველოს შორის შვეიცარიის შუამდგომლობით მიღწეული შეთანხმება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ.

„ამ შეთანხმებას ორივე მხარის კომპრომისული ნაბიჯები დასჭირდა. ასეთი პრაგმატული გადაწყვეტილების უნარი პოზიტიური ნაბიჯია. რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანების შედეგად მოწესრიგდება ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები. მოსკოვში ახლა აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა ქართული საქონლის რუსულ ბაზარზე ხელახლა შეტანის შესახებ... გაიზარდა რუსეთის მოქალაქეთა საქართველოში სტუმრობის მსურველთა რიცხვი. რასაკვირველია, ორ ქვეყანას შორის სერიოზული პოლიტიკური უთანხმოება არსებობს. რუსეთის პრეზიდენტიცა და პრემიერ-მინისტრიც კრიტიკულად აფასებენ საქართველოს და პირადად სააკაშვილის პოლიტიკას. არ მაქვს იმის ილუზია, რომ მსგავსი განცხადებები შეწყდება. ვერც საქართველო და ვერც რუსეთი, უახლოეს მომავალში, ვერ შეძლებს დაივიწყოს 2008 წლის ომი. მიუხედავად ამისა, რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში სუსტი, მაგრამ მაინც პოზიტიური სიგნალები უკვე შესამჩნევია“, — ანიშნავს ამერიკელი მაღალჩინოსანი.

მისივე თქმით, ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არასოდეს აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას; ამერიკა სხვა სახელმწიფოებსაც მოუწოდებს, არ აღიარონ მათი დამოუკიდებლობა. თუმცა ეს როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა ლეგიტიმურ უფლებას, უკეთესი ცხოვრება სურდეთ“.

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოწესრიგება შესაძლებელია თანდათანობითი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური რეინტეგრაციით. ეს საუკეთესო გზაა“, აღნიშნავს რუბინი.

**voanews.com**

# evropuli qveynebis liderebma zurgi Seaqcies ukrainis prezidents

იულია ტიმოშენკოს „დალილავების საქმე“ სულ უფრო და უფრო ვნებს უკრაინის ევროპასთან ურთიერთობას. ჩეხეთის, გერმანიის, ავსტრიის, იტალიის, სლოვენიის, აგრეთვე ევროკომისიის მეთაური ჟოზე მანუელ ბაროზუ არ აპირებენ, მონაწილეობა მიიღონ ცენტრალური ევროპის ქვეყნების იალტის სამიტის მუშაობაში, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება. იმ ევროპელ ლიდერთა სია, რომლებმაც ზურგი შეაქციეს უკრაინას, შესაძლოა, გაიზარდოს.

უკრაინის საგარეო უწყებამ ევროპელ ლიდერთა დემარშის შესახებ განცხადება სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა — საჭიროდ მივიჩნიეთ შექმნილი ვითარების შესახებ განცხადებები, რადგან არ გვსურს, ვინმემ ისარგებლოს მომენტით და კოლიზიები და სენსაციები შექმნას. ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების საქციელში ნურავინ შეეცდება დემარშის ძებნას.

როგორც ირკვევა, მიწვევაზე უარი განაცხადა აგრეთვე ევროკომისიის ხელმძღვანელმა ბაროზუმ, რომელიც უკრაინაში გამართულ არც ერთ ღონისძიებაში (მათ შორის ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატიც იგულისხმება) არ მიიღებს მონაწილეობას.

იტალიის პარლამენტის წარმომადგენლის პიერ ფერდინანდო კაზინის განცხადებით, ევროკავშირმა, უკრაინის ხელისუფლების მიერ დემოკრატიული ნორმების დარღვევის გამო, უნდა განიხილოს ევრო-2012-ის იმ საფინალო მატჩების „ბოიკოტის გარკვეული ფორმა“, რომლებიც უკრაინაში გაიმართება.

უკრაინის საგარეო უწყება უკიდურესად შეწუხებულია იმით, რომ შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადოს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა — ამის საფუძველს იძლევა გერმანულ მედიაში გაჩენილი ვარაუდი, თითქოს მერკელი ევრო-2012-ის „პოლიტიკურ ბოიკოტს“ აპირებს იმ შემთხვევაში, თუკი ჩემპიონატის დაწყებამდე იულია ტიმოშენკოს არ მისცემენ კვალიფიციური მკურნალობის საშუალებას, მაგალითად — გერმანულ კლინიკაში.

„უკრაინა ევროკავშირის წევრობის კანდიდატია. ამიტომაც გერმანიის ხელისუფლება სწორად იქცევა, როცა დაუფარავად გამოხატავს თავის პოზიციას ამ პრობლემასთან დაკავშირებით. იმედს გამოვთქვამთ, რომ ფედერალური მთავრობა ასეთსავე მკაცრ პოზიციას დაიკავებს არა მარტო უკრაინის, არამედ სხვა ავტოკრატიული რეჟიმების მიმართაც“, — ვკითხულობთ გერმანულ გამოცემაში **Financial Times Deutschland.**



მერკელი მინისტრებსაც უკრძალავს ჩემპიონატის მატჩებზე დასწრებას, გამონაკლისია ხარკოვში გასამართი გერმანია-ნიდერლანდების მატჩი და ისიც იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრ ჰანს-პეტერ ფრიდრიხს ტიმოშენკოს მონახულება შეეძლება. ანგელა მერკელის პრინციპულ პოზიციას მხარს უჭერს გერმანიის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

შეგახსენებთ: გასულ კვირას გამოქვეყნებულ ფოტოებზე აშკარად ჩანს, რომ იულია ტიმოშენკოს სხეულზე სისხლჩაქცევები აქვს. როგორც ექს-პრემიერი აცხადებს, ჰემატომა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც კოლონიის თანამშრომლებმა საავადმყოფოში მისი იძულებით გადაყვანა სცადეს — მას ხელ-ფეხს უგრეხდნენ, ხოლო ერთმა მუცელშიც კი ჩაარტყა ფეხი.

**vz.ru**

**Financial Times Deutschland**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

# აპრილთან ერთად მოსული...

## სიყვარული, როგორც დაავადება და მისი ფიზიოლოგია

„ეს გრძნობა მშვენიერი, სუფთა და ნაზია იმისთვის, რომ ოდესმე მისი დაკარგვა მოინდომო. ის, რაც შენში ვპოვე, სავსებით საკმარისია, არ მსურდეს, სხვა ვეძებო. შენი ხატება ჩემი გულის საიდუმლო კუნჭულში შევინახე, იქ სევდის წუთებში



ვიხედები, რათაანუგეშში და გამხნევება ვპოვო.

სიყვარული ღვთიური უნარია, დაკარგული და კვლავ მოპოვებული, რომელიც უნდა დარგო და ახარო, ან სასტიკი ტკივილისა და საშინელი გამოცდის ფასად იყიდო. დამალე შენი სული ჩემგან, რათა ის ყოველთვის მშვენიერებად წარმოვიდგინო; სიყვარული იმედია, რომელსაც ერთმანეთს ჩუქნიან“.

## სიყვარულის ფიზიოლოგია

ანტიკური და აღორძინების ხანის ფილოსოფოსებს, მწერლებსა თუ პოეტებს, სიყვარულის შესახებ იმდენი უფიქრიათ და უწერიათ, ეგონათ, მასზე ახალს ველარავინ იტყვისო, არადა, ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და იდუმალი გრძნობის შესახებ დღესაც ცხარედ კამათობენ – ამჯერად მისი კვლევით ფიზიოლოგებიც დაინტერესდნენ.

უკანასკნელ ექსპერიმენტთა შედეგებით, სიყვარული ადამიანის ტვინში მიმდინარე საკმაოდ რთული ბიოქიმიურ რეაქციათა კომპლექსია, რომელსაც გენეტიკური ფაქტორები, ჰორმონთა მოქმედება და ცხოვრების მანძილზე შეძენილი ფსიქოლოგიური გამოცდილება განაპირობებს.

სიყვარულის, როგორც ტვინის ერთ-ერთ მორიგ ფუნქციად აღიარების მოსურნე მეცნიერთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა „უმაღლეს მაკონტროლებელ ინსტანციაში“ – თავის ტვინში ამ გრძნობის განვითარებაზე პასუხისმგებელი უბანი აღმოაჩინეს. ეს არის უჯრედთა ჯგუფი, რომელსაც „სიყვარულის ცენტრი“ უწოდეს. ენდოკრინული სისტემის მიერ გამომუშავებულ „სიყვარულის ჰორმონთა“ გავლენით სწორედ სიყვარულის ცენტრი აქცევს ადამიანს შეყვარებულად.

სიყვარულის მთავარი ჰორმონი ადრენალინია, გაზაფხულზე, კერძოდ კი აპრილში ადამიანის სისხლში 22-ჯერ იზრდება მისი კონცენტრაცია, რის გამოც აპრილი სიყვარულის ერთპიროვნულ ხანად არის მიჩნეული. ადრენალინთან ერთად უმშვენიერესი გრძნობის განვითარებაში უდიდესი როლი ეკუთვნის ფერომონებსა და ენდორფინებს.

## „სიყვარულის რეფლექსი“

დღემდე ბოლომდე დაუდგენელი მექანიზმებით, რომელთა შორისაც წამყვანი როლი მხედველობის ანალიზატორის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას ეკუთვნის, ღიზიანდება სიყვარულის ცენტრის უჯრედები, რაც ორგანიზმში სიყვარულისა და მასთან დაკავშირებულ რომანტიკულ ურთიერთობათა დაუოკებელ სურვილს ბადებს.

ამის შემდგომ ჩნდება ფერომონებად (ნივთიერებები, რომელთა სუნიც განაპირობებს ერთი ადამიანის მეორის მიმართ ლტოლვას) მონათლული რთული ნაერთები – მათი გაძლიერებული პროდუქცია კიდევ უფრო ზრდის საპირისპირო სქესისადმი ლტოლვას. რთული ფიზიო-ქიმიური რეაქციების შედეგად, მამაკაცის თვალში ქალი გაცილებით მიმზიდველი და სასურველი ხდება, თუმცა ჭეშმარიტი სიყვარულისთვის ესეც არ ყოფილა საკმარისი; ნამდვილი და ყოვლისმომცველი გრძნობის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა თავის ტვინის მიერ გამომუშავებული ჰორმონები, რომლებიც ბიოლოგიური ტრანკვილიზატორებია და ტკივილგამაყუჩებელი თვისებებითაც ხასიათდება.

შედეგად, სხეულში უსაფრთხოების, სიმშვიდის, ნეტარებისა და სულიერი კათარზისის ხანა ისადგურებს – განცდა, რომელსაც „სასიყვარულო ეიფორია“ ჰქვია. შეყვარებულებმა მშვენივრად იციან სასიყვარულო ეიფორიის გემო – სწორედ ამის შემდეგ ყალიბდება ეგრეთ წოდებული „სიყვარულისადმი დამოკიდებულება“ – სასურველ ადამიანთან ურთიერთობის განმეორებითი სურვილი, რაც წარმოადგენს კიდეც სიყვარულის პირველ და უტყუარ ნიშანს.

## სიყვარულის ექსპერტიზა

უწინ ამ საქმეს გვირილას აკისრებდნენ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ... დაუნანებლად იმეტებდნენ მის ყვითელ გულს მარტოობისთვის... ეს ისე – ხუმრობით...

განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე სიყვარულის ექსპერტიზა: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული ოფიციალურად უკვე აღიარა დაავადებად – ფ63.9. ასეთია ამ დაავადების საიდენტიფიკაციო ნომერი. დაავადება მიეკუთვნება ფსიქოემოციური წრის აშლილობებს და მას ადგილი კლეპტომანიის, თამაშმანიისა და ტოქსიკომანიის გვერდით მიუჩინეს. დაავადების მაქსიმალური ხანგრძლივობა, ადამიანის ფიზიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით, 4 წელიწადია.

# ვირჩევთ ტრენაჟორს

მთელ მსოფლიოში ჯანმრთელობის, კარგი გუნება – განწყობისა და ზოგადად, სხეულის ფორმის შესანარჩუნებლად უკვე კარგა ხანია, რაც სხვადასხვა სახის კონსტრუქციები და სავარჯიშო ტრენაჟორების გამოყენება დაიწყეს.

ტრენაჟორთა უმრავლესობა საგრძნობლად ცვლის ადამიანის ძირითად სასიცოცხლო ორი: სასუნთქი ორგანოების და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას და მათი ფუნქციების გაუმჯობესება დადებითად ისახება მთელი ორგანიზმის ცხოველქმედებაზე.

დღეს ყველაზე პოპულარული ტრენაჟორებია: ველოტრენაჟორები, ველოერგომეტრები, სარბენი ბილიკები, სტეპერები, რაიდერები, ელიფსური ტრენაჟორები და სხვა.

## როგორი გვჭირდება

ნებისმიერი ტრენაჟორის შეძენისას აუცილებელია ფლობდეთ იმ ძირითად ინფორმაციას, რომელიც საშუალებას მოგცემთ ზუსტად ის კონსტრუქცია შეიძინოთ, რომელიც თქვენთვის სასურველ ამოცანის ყველაზე ოპტიმალურ გადაჭრაში დაგეხმარებათ.

საშინაო პირობებში სავარჯიშო ტრენაჟორთა სამი ძირითადი ჯგუფი არსებობს:

კარდიოტრენაჟორები;

ძალოსნური ტრენაჟორები;

ტრენაჟორები, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ, როგორც კარდიო ისე ძალოსნურ ტრენაჟორთა თვისებებსა და ფუნქციებს.

## კარდიოტრენაჟორები

მათ რიცხვს მიეკუთვნება: სტეპერები; სარბენი ბილიკები, ველო, ელიფსური ტრენაჟორები და რაიდერები.

ამ ჯგუფის ტრენაჟორები ყველაზე ხშირად სხეულის მასის დასაქვეითებლად და ტონუსის გასაძლიერებლად გამოიყენება.

**ველოტრენაჟორი** – სერიოზულად ტვირთავს მუცლისა და ქვედა კიდურთა კუნთებს. არსებობს მისი ორი სახე: მექანიკური და მაგნიტური. მექანიკურ ველოტრენაჟორებში მოქმედებს დატვირთვის ქამრისმიერი სისტემა: დატვირთვის სიდიდე ისაზღვრება ქამრის დაჭიმვასა და ამის ბორბალზე ტრიალის სიჩქარით, მაგნიტურ ველოტრენაჟორებში კი – მაგნიტური დატვირთვის სისტემა მუშაობს – აქ დატვირთვა ვარირებს მაგნიტებსა და ბორბლებს შორის დაცილების მანძილით, ეს უკანასკნელი უხმაურონი არიან, ერთნაირი ინტენსივობის ვარჯიშისას უფრო დიდ დატვირთვას ქმნიან და შესაბამისად მაგნიტური ველოტრენაჟორით მიღწეული შედეგიც გაცილებით ეფექტიანია.

**სტეპერი** – ის კიბეზე სიარულის იმიტაციას იძლევა, მოქმედებს ფეხების კუნთებზე და უზრუნველყოფს ისეთივე დატვირთვას, როგორსაც ველოტრენაჟორი.

**სარბენი ბილიკი** – ასევე ძლიერ ტვირთავს არა მხოლოდ ქვედა, არამედ ზურგის და გულმკერდის სარტყლის კუნთებსაც. თანამედროვე სარბენი ბილიკები ელექტორონნულია და იმ შემთხვევაში, თუ შემთხვევით ფეხი დაგიცდათ და წაიქეცით, მყისიერად ირთვება ავარიული გამორთვის სისტემა, ანუ მასზე ტრავმის მიღების რისკი ნულის ტოლია.

**ელიფსური ტრენაჟორები** – ეს სარბენი ბილიკის, სტეპერისა და ველოტრენაჟორის ერთგვარი ჰიბრიდია – ელიფსურ ტრაექტორიაზე მოძრაობა ბუნებრივი



სირულისა ან სირბილის იმიტაციას ქმნის და ამასთან გამორიცხავს დატვირთვას მუხლზე, ტერფზე და სახსარზე (რის საშუალებასაც არ იძლევა სარბენი ბილიკი და ველოტრენაჟორი) და უზრუნველყოფს ზურგის კუნთების, ზედა და ქვედა კიდურების კუნთთა დატვირთვას.

მას ერთი ღირსებაც აქვს – გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების გავარჯიშების საშუალებას იძლევა, ამასთან არ ტვირთავს სხეულის ქვედა ნაწილს – მენჯსა და ბარძაყს.

**რაიდერი** – კომპლექსურად ავარჯიშებს ძირითადი ჯგუფის კუნთებს, რაც ხელს უწყობს სახსრების ელასტიურობის გაზრდას და კანქვეშა ცხიმის აქტიურ წვას. ტრენაჟორი უზრუნველყოფს უხმაუროდ და ჰაეროვნად შესრულდეს მოძრაობები, სახსრებისა და იოგების ზედმეტი დატვირთვის გარეშე.

რაიდერი მაკრატლის მსგავსი კონსტრუქციაა, რომელზე ვარჯიშისასაც დატვირთვა თანაბრად ნაწილდება სხეულის სხვადასხვა მონაკვეთებზე.

დატვირთვის გასაზრდელად გამოიყენება სხვადასხვა სახის წინააღმდეგობები და ბარიერები, რომელთა დაძლევისასაც ვარჯიშდება მთელი სხეულის კუნთები, ფორმირდება და იკვეთება ფიგურის კონტურები, აქტიურად იწვება ცხიმები და საგრძნობლად უმჯობესდება გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემის ორგანოთა მუშაობის ხარისხი.

კარდიოტრენაჟორების გამოყენებისას აუცილებელია შემდეგი რამის გათვალისწინება:

ველოტრენაჟორებისას განსაკუთრებით იტვირთება წელის მიდამო, ამიტომ მათზე ვარჯიშს უნდა მოერიდონ ხერხემლის დაავადებების მქონენი, ისინი, ვისაც სხვადასხვა ეტიოლოგიის წელის ტკივილი აწუხებთ;

სტეპერები უზრუნველყოფენ დიდ დატვირთვას მენჯ-ბარძაყის სახსარზე, სარბენ ბილიკზე ძლიერ იტვირთება მუხლი და ტერფი, ამ მხრივ ნეიტრალური მხოლოდ რაიდერებია.

## ძალოსნური ტრენაჟორები

ამ ჯგუფის სავარჯიშო კონსტრუქციათა მთავარი დანიშნულება სხეულის, როგორც მთლიანად, ისე მისი ცალკეული ნაწილების კორექციაა, რაც ძირითადად მიიღწევა მძიმეწონიანი ჰანტელებითა და სიმძიმეებით აღჭურვილი სავარჯიშო მოწყობილობებით.

მიხვდით, ალბათ რომ მისი შეძენა მაშინ გჭირდებათ, თუ თქვენი მიზანი ფიგურის კორექციაა, რადგან მხოლოდ მასზე ვარჯიშისაა შესაძლებელი სხეულის ზუსტად იმ ნაწილის იზოლრება და გავარჯიშება, რომლის კორექციაც გსურთ.

თუმცა, ძალოსნურ კონსტრუქციებთან მიმართებაშიც აუცილებელია გახსოვდეთ, რომ სახლის პირობებში შესაძლებელია კუნთების, მხოლოდ და მხოლოდ მცირე მასშტაბით გადიდება–გამსხვილება, სერიოზული შედეგის მისაღწევად პროფესიონალური კონსტრუქციებია საჭირო.

**მოამზადა**

**ზვიად ლონლაძემ**



# ratom unda vecadoT glandebis SenarCunebas?

*გვესაუბრება ჰომეოპათიის აკადემიის რექტორი*
*თინათინ თოფურია*

**— ქალბატონო თინა, მოსახლეობაში დიდ ინტერესს იწვევს, თუ რატომ ჩნდება ცხვირის პოლიპი, რამდენად საშიშია იგი ბავშვის ჯანმრთელობისთვის და როდისაა რეკომენდებული მისი ამოჭრა?**

— ადენოიდები და პოლიპები, ბავშვებში მართლაც ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ბევრს ეს ერთი და იგივე ჰგონია, სინამდვილეში სრულიად განსხვავებული წარმონაქმნებია. ადენოიდი ჯირკვალია, რომელიც ყველა ბავშვს აქვს — იგი ადგილობრივი იმუნური დაცვის როლს ასრულებს. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 7 წლამდეა, მერე ადენოიდის აქტიურობა ქვეითდება და 12 წლის ასაკისთვის თანდათანობით ქრება. ამ დროისთვის მოზარდის იმუნური სისტემა საკმაოდ მოძლიერებულია და ადენოიდი თავის ფუნქციას კარგავს. ნორმალური ადენოიდი ძალიან პატარა ზომისაა, დისკომფორტს არ იწვევს. პრობლემა ჩნდება, როდესაც საგრძნობლად დიდდება და სუნთქვას უშლის ხელს. მშობლები ხშირად ვერ ხვდებიან რა სჭირს მათ პატარას და სპეციალისტს მაშინ აკითხავენ, როცა პროცესს პათოლოგიური სახე აქვს მიღებული.

**— რას წარმოადგენს ეს პათოლოგია?**

— ამ პათოლოგიას ადენოპატია ეწოდება და სუნთქვის გადაკეტვის ხარისხის მიხედვით სამი სტადია აქვს — 1. როცა სასუნთქი გზების ერთი მესამედია გადაკეტილი; 2. გადაკეტილია ორი მესამედი და 3. გადაკეტილია 99 პროცენტი. ადრე ასეთი ადენოიდების მოცილება მხოლოდ ქირურგიული გზით ხდებოდა, მაგრამ როგორც გაირკვა სწორედ ეს იყო პრობლემის არა დასასრული, არამედ დასაწყისი. ცხვირი რთული სისტემაა, რომელშიც ჰაერის გათბობა და გაფილტვრა ხდება. ადენოიდების გარეშე დარჩენილი ცხვირ-ხახის დამცავი სისტემა ველარ ერევა ვირუსებსა და კოკებს, ვერ ახერხებს მათ შეჩერებას. ისინი იოლად აღწევენ სასუნთქ ორგანოებში და მათ დაბინძურებას იწვევენ, რის შედეგადაც ვითარდება ანთებითი პროცესები, ასევე ალერგიული რეაქციები. ადენოიდები ძალიან საჭირო ჯირკვლებია, რომელთა ამოკვეთის შემდეგ ბავშვი შეიძლება გამოჯანმრთელების ნაცვლად, უფრო ხშირად გახდეს ავად. ამიტომ თანამედროვე მედიცინა უარს ამბობს ამ პრობლემის ქირურგიულ გადაჭრაზე.

**— ანუ ადენოიდების ამოჭრა არასწორია?**

— ორგანიზმში ზედმეტი არაფერია. ყველა, უმცირეს წარმონაქმნსაც კი თავისი დანიშნულება აქვს. განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე არაფრის ამოჭრა არ შეიძლება. თუ ადენოიდები იმდენადაა გადიდებული, რომ ბავშვს სუნთქვას სრულიად უკეტავს ან ქრონიკული ანთებების შედეგად ისეა გადაგვარებული, რომ დამცავი ფუნქცია დაკარგული აქვს, ასეთ შემთხვევაში მისი მოშორება სჯობს.

**— რამდენად რეალურია ადენოიდების მკურნალობა და რაზეა შედეგი დამოკიდებული?**

— შემთხვევათა 90 პროცენტი მკურნალობას ექვემდებარება. შედეგი, პირველ რიგში დამოკიდებულია ბავშვის ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე, ადენოიდის ზომაზე, თუ რა სტადიაზე მოგვმართავს პაციენტი, აქვს თუ არა მას ანტიბიოტიკები ან ჰორმონალური პრეპარატები მიღებული, ამ შემთხვევაში მკურნალობა გაცილებით ხანგრძლივია. ალერგიულ ბავშვებს უჭირთ ამ პრობლემის დაძლევა. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, განკურნება ბიჭებში უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე გოგონებში. აქტიური, მოძრავი ბავშვები გაცილებით სწრაფად იკურნებიან, ვიდრე სიმსუქნისკენ მიდრეკილნი.

**— ბევრს ადენოიდი პოლიპში ერევა.**

— ადენოიდი ჯირკვალია, პოლიპი კი ლორწოვანის ჰიპერტროფიის შედეგად წარმოიქმნება. სამწუხაროდ, პოლიპი მოკვეთის შემდეგ ხშირად ისევ ჩნდება. ამიტომ მის გაქრობას მკურნალობით უნდა ვეცადოთ. თუმცა, იგი, ფაქტობრივად ხორცმეტია, რომელიც წესით არ უნდა არსებობდეს.

**— ანუ ადენოიდისგან განსხვავებით პოლიპის ამოჭრით ორგანიზმს არ ვავნებთ?**

— არა. იგი ორგანიზმს არაფერში სჭირდება.

**— როგორ უნდა განვასხვავოთ პოლიპი ადენოიდისგან?**

— ვერაფრით ვერ განასხვავებთ. ეს მხოლოდ ყელ-ყურის ექიმს შეუძლია სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით. ორივეს ერთიდაიგივე კლინიკური სურათი აქვს — ბავშვს აწუხებს ცხვირის გაჭედილობა, გაძნელებული სუნთქვა, ხშირია ხმის შეცვლა, ხვრინვა, სმენის დაქვეითება, ყურის ტკივილი.

**— რა გართულებებს იწვევს პოლპი და ადენოიდი?**

— გააჩნია ზომას. იგი ხელს უშლის სრულფასოვან სუნქთვას. განსაკუთრებით, ძილის დროს და ბავშვი იძულებულია პირით ისუნთქოს, რის შედეგად ვითარდება პირისა და ყელის ანთებითი პროცესები: ჰაიმორიტი, სინუსიტი, ყურის ანთება, ქრონიკული ტონზილიტი. სუნთქვის სირთულე გულის გართულებების მიზეზიც შეიძლება გახდეს. ბავშვი მალე იღლება, უჭირს ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა. თავის ტვინის ჟანგბადით არასრულფასოვანი მომარაგების გამო, შეიძლება განვითარდეს მეხსიერების დაქვეითება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირით სუნთქვა შეიძლება სხვა მიზეზითაც იქნეს გამოწვეული: სასუნთქი გზების ალერგიული შეშუპებით, ნიჟარების პათოლოგიით ან ცხვირის ძგიდის გამრუდებით. ადენოიდები და პოლიპები ბოლო წლებში ძალიან გახშირდა, მათ შორის ჩვილებშიც. მათ პირით სუნთქვის გამო წოვა უჭირთ.

**— რითია განპირობებული ამ პათოლოგიების ასეთი გახშირება?**

— ამის მიზეზი ბევრია: ქრონიკული რინიტი და ცხვირ-ხახის ხშირი ინფექციური ანთებითი პროცესები, ალერგია, სუსტი იმუნიტეტი და გააქტიურებული პათოგენური ფლორა; ბაქტერიები, კოკები, ვირუსები და სოკო; დაბადებიდანვე მიღებული მედიკამენტები, განსაკუთრებით ანტიბიოტიკები და ჰორმონალური პრეპარატები. მნიშვნელოვანია დედის მიერ ფეხმძიმობისას გადატანილი ინფექციები და მიღებული წამლები. ამას ემატება დაბინძურებული გარემო, არაჯანსაღი საკვები, მაღალი რადიაცია.

**— ხშირად მსმენია, ბავშვს პოლიპი ამოვაჭერით და ბარემ გლანდებიც მივაყოლეთო. რამდენად სწორია ასეთი ტაქტიკა?**

— დიახ, ადრე იყო ასეთი ტენდენცია — სჯობს ბავშვს გლანდები ბავშვობაშივე ამოვაჭრათ, მერე მაინც ამოსაჭრელი ექნებაო. ამ პრინციპით ყველას სჭრიდნენ გლანდებს. თანამედროვე მედიცინამ ეს აზრი უარყო. დღეს ყველა კარგად აცნობიერებს, თუ რამდენად საჭიროა ორგანიზმისთვის გლანდი. იგი ლიმფური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრება სჭირდება, რადგან ადგილობრივი დაცვის ფუნქციას ასრულებს. გლანდი ორგანიზმის კარიბჭეა, რომელიც გამუდმებით იგერიებს ვირუსების და მიკრობების შემოტევას. გლანდი ბრძოლის ველია, რომელზეც ყოველ წამს მომხვდურთან ერთად მილიარდობით ჯარისკაცი იღუპება. სწორედ ამ ბრძოლის შედეგია ის ჩირქგროვები, რომელსაც გლანდებზე ვხედავთ. მისი ამოჭრის შემდეგ „მტერი“ გაცილებით მარტივად აღწევს ორგანიზმში. მართალია ვინც „დროზე იშორებს“ გლანდებს ანგინა აღარ ემართებათ, სამაგიეროდ, ხშირად გრიპი და გაციება ბრონქების ან ფილტვების ანთებით ურთულდებათ. გარდა ამისა, უვითარდებათ ქრონიკული კატარი და ყელის სიმშრალე მუდმივად აწუხებთ.



**— ე.ი. არც გლანდები არ უნდა ამოვიჭრათ?**

— მის შენარჩუნებას მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ. თუ ბავშვი ხშირად ავადმყოფობს, ადვილად ცივდება, ეს ნიშნავს, რომ იგი ზოგადად სუსტია, სჭირდება გაკაჟება და იმუნიტეტის გაძლიერება და არა გლანდების მოცილება. გლანდი უნდა შენარჩუნდეს და უფრო ძლიერად შეასრულოს თავის ფუნქცია.

**— რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს ანგინამ?**

— პირველ რიგში, ხდება ლიმფური ჯირკვლების გადიდება, შესიება, ტკივილი. ხშირია ოფლიანობა და სისუსტე. ბავშვებს ეცვლებათ ხასიათი, ადვილად ღიზიანდებიან, ერღვევათ ძილი, მადა ეკარგებათ. უფრო სერიოზული გართულებები ძვალ-სახსროვან სისტემას უკავშირდება, რაც ვლინდება ძვლების ტკივილით, სახსრებში მტვრევის შეგრძნებით და რევმატიული პროცესები. შეიძლება რევმოკარდიტიც განვითარდეს. ქრონიკული ტონზილიტი შეიძლება თირკმლების ანთებით გართულდეს. ამიტომ ანგინის დროს შარდის ანალიზს უნდა მიექცეს ყურადღება. მშობლები, როგორც წესი მხოლოდ სისხლის ანალიზის შედეგით კმყოფილდებიან, რაც არასწორია.

**— როგორ უყურებს თქვენი მეთოდებით მკურნალობას ოფიციალური მედიცინა?**

— მე ოფიციალური მედიცინის წარმომადგენელი ვარ. ჩემი აზრით, სამკურნალოდ, როგორც უახლესი მეთოდები, ისე კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნაც უნდა გამოიყენო. თანაც, როგორც უახლესმა კვლევებმა აჩვენა, ხშირად წამლის მიკროდოზებით მკურნალობა გაცილებით ეფექტურია ვიდრე ცხენის დოზებით. ამიტომაც ვანიჭებ ჰომოეოპათიურ წამლებს უპირატესობას. ჩემი სამკურნალო ცენტრის დევიზია — „მინიმალური წამლით მაქსიმალური ეფექტი“.

**— ბევრს არ სჯერა ჰომეოპათიის...**

— მაგრამ ვერ უარყოფენ რეალურ შედეგებს, უფრო კონკურენციის ეშინიათ. თუ ზოგი მართლაც სკეპტიკურად უყურებს პომეოპათიას, ამის მიზეზი ისაა, რომ ამ დარგის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ. საქმეს ისიც აფუჭებს, რომ ამ დარგის სპეციალისტები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია. ბოლო დროს კი ძალიან ბევრი ჰომეოპათიური კაბინეტი გაჩნდა, რომელთა საეჭვო საქმიანობაც ექიმთა საზოგადოების უნდობლობას იწვევს, რაც სრულიად სამართლიანია.

**თამარ შველიძე**




## ჰომეოპათიის აკადემიის სამკურნალო ცენტრი გთავაზობთ:

ჭიების, გლანდების, ადენოიდების, ჰაიმორიტის, ალერგიის, ქრონიკული სურდოს, ნაღვლის ბუშტის, კუჭ-ნაწლავის და სხვა მწვავე და ქრონიკული დაავადებების მკურნალობას ბუნებრივი საშუალებებით.

ჰომეოპათიური აკადემიის პრეზიდენტი
თინათინ თოფურია.

misamarTi: Tbilisi, faliaSvilis q. #43/3,
tel.: 29 43 65; 890 29 43 65.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

### ჩვენი დამოუკიდებელი როკის გვირაბი

აქ, კიდევ ერთი ამბავიც უნდა შევახსენო მკითხველს! ავადსახსენებელი როკის გვირაბი, როგორც ცნობილია – შევარდნაძის პირადი ინიციატივით გაითხარა, თუმც ამ გვირაბის ისტორია, 1847 წლიდან იწყება.

რადგან როკის გვირაბის შესახებ ვსაუბრობთ და რადგან ეს ძალიან აინტერესებს ქართველობას, მოვუსმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ კობა ხარაძეს (რომლის წერილი „რისთვის ან ვისთვის აშენდა ცხინვალი-ალაგირის საუღელტეხილო მაგისტრალი?!“ – გამოქვეყნდა 1996 წელს, თბილისში გამოცემულ წიგნში – „ოსთა საკითხი“):

„1975 წლის 31 დეკემბერს, საახალწლოდ, საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის სამინისტრომ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. კოსიგინის რეზოლუციით, დაამტკიცა კავკასიონის მთავარ ქედზე როკის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი 6,1 მილიონი მანეთის ღირებულებით.

... როკის საავტომობილო მაგისტრალის შექმნას დაახლოებით საუკუნე-ნახევრის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე მას მიეძღვნა 500-ზე მეტი წიგნი, ბროშურა, საჟურნალო და საგაზეთო წერილები.

როკის უღელტეხილი ზღვის დონიდან 2995 მეტრზეა. 1838 წელს „მთიელი ოსები“ კავკასიის მეფისნაცვალ, გენერალ გოლოვინს სთხოვდნენ, გაეყვანათ გზა კავკასიონის ქედზე, ჩრდილოეთით. მართლაც, რუსეთის მთავრობის დავალებით, 1845 წელს, დაწყებულ იქნა ამ ხაზის გამოკვლევა ინჟინერ-კაპიტნის ტერ-ტუკასოვის (სომხებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ასცდები, როცა საქართველოს ტერიტორიების მითვისება-ათვისებაზეა ლაპარაკი! – ჯ.დ.), ხოლო სულ მალე, 1847 წელს დაიწყო გზის მშენებლობაც. გზა იწყებოდა არდონიდან ალაგირამდე და შემდეგ როკის უღელტეხილამდე, საიდანაც ლიახვის ხეობაში დაეშვებოდა, მაგრამ იმ დროს გზების მშენებლობა რთული რელიეფის პირობებში, ვერ შეძლეს და 1854 წელს, ოსეთის სამხედრო გზა, როკის უღელტეხილიდან გადატანილ იქნა მამისონზე.

1873 წლიდან იწყება მთელი რიგი პროექტების განხილვა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანის შესახებ. ერთ-ერთ ვარიანტად, რა თქმა უნდა, წარმოდგენილ იქნა როკის საუღელტეხილო სარკინიგზო გვირაბის გაყვანა. მას უპირისპირდებოდა ჯვრის, არხოტის, სოხუმის და სხვა პროექტები.

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის, არსებულ პროექტებს დაემატა ქლუხორის, გურძიევცეკის, მამისონის, ქვენამთის, საჭანისღელის პროექტები. კიდევ საუკუნე გავიდა, მაგრამ არც ერთ პროექტს განხორციელება არ ეწერა.

არც XX საუკუნეში შეწყვეტილა ყურადღება კავკასიონზე საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანის მიმართ. განსაკუთრებით აქტიურობდა სააქციონერო საზოგადოება „ალაგირი“, რომელიც ფლობდა ვერცხლისა და ტყვიის მადნებს და ქარხნებს სადონში ალაგირის ხეობაში და, ცხადია, ამ ხეობაში რკინიგზის გაყვანა რუს, ოს და უცხოელ კომერსანტებს დიდ მოგებას მოუტანდა (საყურადღებოა, რომ რუს და ოს კომერსანტთა უკან მუდამ დგას ვიღაც უცხოელი, რომელიც უთუოდ ევროპელი ან ამერიკელია და ხშირად უკანა პლანზე მდგომი, მთავარი დამკვეთი და მოკარნახეა! – ჯ.დ.).

1906 წლის 3 ივლისს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში ვრცელი მოხსენებით გამოდის დ. გიოევი. მის შესახებ ლ. ქორთიევი (საინტერესოა, რა ეროვნებისაა ქორთიევი? – ჯ.დ.) წერს: „საუღელტეხილო გზის პრობლემას მან შესწირა მთელი თავისი ძალა და გამოცდილება. იგი ამ ამოცანის გადაწყვეტას ჭეშმარიტად თავისი ხალხის კეთილდღეობას უკავშირებდა“.

XX საუკუნის ოციან წლებში საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო იკიდებს ფეხს არა სარკინიგზო, არამედ საავტომობილო გზის მშენებლობის საკითხი და პროექტებს შორის, დღის წესრიგში იდგა როკის ვარიანტიც. 1917 წლის ივნისში, ოსთა ეროვნული საბჭოს პირველ ყრილობაზე, აირჩიეს საგზაო კომისია გაგლოევის, სანაკოევის, ჯიოევის და კოჩიევის შემადგენლობით... დაიწყო შეწირულობების შეგროვება. აქციაში მონაწილეობდნენ საქართველოში მცხოვრები ე.წ. სამხრეთელი ოსებიც. მარტო ერთ დღეში ვლადიკავკაზში 17 000 მანეთი შეგროვდა.

იდეის განხორციელებისათვის, 1918-21 წლებში, ბევრი იზრუნა ჯავაში რამდენჯერმე შეკრებილმა ოსთა ეროვნულმა ყრილობამ, ხოლო თერგის რესპუბლიკამ 750 000 მანეთიც გამოყო. შემდეგ, საბჭოთა წლებში (1922), მოსკოვმა გზის მშენებლობისათვის 100 000 ოქროს მანეთი გაიღო. 1925 წელს შეუდგნენ კიდეც მშენებლობას. 1927 წელს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, ა. ჯაგიევმა ისევ მიაღწია, მოსკოვიდან დაეშვათ 100 000 მანეთი.

1925-1928 წლებში გზის მშენებლობა როკის უღელტეხილზე ორივე მხრიდან მიმდინარეობდა. შედგენილ იქნა გზისა და გვირაბის საბოლოო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით განისაზღვრა თანხა, 25 მილიონი მანეთი (აქედან გვირაბის გაყვანაზე 17 მილიონი). 1930 წელს, საშვიდნოემბროდ, საზეიმო ვითარებაში ჩატარდა პირველი აფეთქება, რაც მიანიშნებდა გვირაბის გაყვანის დაწყებას, მაგრამ ამ დროისათვის, ასეთი დიდი თანხის დაბანდება შეუძლებელი გახდა და მშენებლობა შეწყდა.

30-იან წლებში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ხელმძღვანელები და სეპარატისტულად განწყობილი ძალები ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მოსკოვი, გაგრძელებულიყო გვირაბის მშენებლობა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ყველა პროექტი დროებით დააკონსერვა.

მოგვიანებით, ლენინგრადის საპროექტო ორგანიზაციებში, კვლავ დამუშავდა კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პროექტი. ცხრა ვარიანტიდან უპირატესობა მიეცა სოხუმის, გორის, ქვენამთის და არხოტის ვარიანტებს.

1959 წელს კი იმავე „ლენგიპროექტრანს“-ში დამუშავდა კავკასიონის საუღელტეხილო ავტოსტრადის როკის ვარიანტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (აქ საყურადღებოა, რომ ომის შემდგომ, თითქმის 15 წელიწადი გავიდა. სტალინი 1953 წელს გარდაიცვალა და სანამ ის ცოცხალი იყო, მანამ კავკასიონზე, კერძოდ, როკის უღელტეხილზე, გზის გაყვანა ვერასგზით ვერ შეძლეს! – ჯ.დ.).

1961 წელს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა წინადადებით შევიდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე კავკასიონის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობის შესახებ. მიღებულ იქნა დადგენილება საავტომობილო გვირაბის მშენებლობაზე 1962-1967 წწ.



მიუხედავად ამისა, კვლავ დადგა საკითხი, მამისონისა და საქართველოს სამხედრო გზის (ვლადიკავკაზი-ყაზბეგი-მლეთა – ჯ.დ.) მიმართულებით წარმართულიყო დამატებითი საძიებო-საპროექტო სამუშაოები. განისაზღვრა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მამისონის უღელტეხილისა და საქართველოს სამხედრო გზის სარეკონსტრუქციო დაპროექტების პარალელურად. 1966 წელს, სსრკ მშენებლობის სამინისტრომ კვლავ განიხილა ეს საკითხი და უპირატესობა მისცა როკის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობას. 1968-1969 წლებში, საკითხი განხილულ იქნა სსრკ სახელმწიფო მთავარგზის მშენებლობის საგეგმო კომიტეტსა და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში.

1969 წლის დეკემბერში სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბასიევმა აღნიშნა, რომ დაპროექტება და სამუშაოს დაწყება გათვალისწინებული იყო წინა ხუთწლიანი გეგმით, მაგრამ მშენებლობა ჯერ არ დაწყებულაო. ამიტომ იგი მოითხოვდა, რომ საავტომობილო გზის მშენებლობა კავკასიონის ქედზე შეეტანათ სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმაში.

ამ გამოძახილზე, 1971 წლის 17 მარტს, გაზეთი „პრავდა“ აქვეყნებს ჩ. ბაგაევის წერილს, რომელშიც აღნიშნულია, რომ სულ რამდენიმე კილომეტრი აშორებდა ორ ოსურ ქალაქს – ცხინვალსა და ალაგირს (?!).

1971 წლის 16 ნოემბერს, სსრკ მინისტრთა საბჭო იღებს დადგენილებას, 1973-1975 წლებში შედგომოდნენ ავტოგზის მშენებლობას როკის უღელტეხილზე.

1972 წლის მარტში საბჭოთა კავშირის მშენებლობის საპროექტო ხელმძღვანელები ჩადიან ჩრდილო ოსეთში საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად. აქედან კი ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირების თანხლებით, ვერტმფრენით ჩაფრინდნენ ჯერ ჯავაში, შემდეგ როკაში...

და ბოლოს, 1975-1981 წლებში მიმდინარეობდა როკის საავტომობილო გვირაბის მშენებლობა...

ძალზე ზოგადად და სქემატურად შევეხეთ როკის გვირაბის შექმნის ისტორიას, მის ზოგიერთ პერიპეტიას. ყველა იმ პროექტისა და დადგენილების ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, რაც საუკუნე-ნახევრის მანძილზე შეიქმნა. ერთი რამ ცხადია, არსად ჩანს ქართველი ხალხის დაინტერესება და ენთუზიაზმი ამ ისტორიაში. უფრო მეტიც, - საქართველოს ტერიტორიაზე გადის გზა ქართველი ხალხის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად.

როგორც დავინახეთ, როკის გვირაბის მშენებლობა დაპროექტებული და დაფინანსებული იქნა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ცხადია, ასეთი გზისა და გვირაბის მშენებლობა ვერც ეკონომიკურ და ვერც პოლიტიკურ სიკეთეს ქართველ ხალხს ვერ მოუტანდა, არადა გზის მშენებლობის პერიოდში გვპირდებოდნენ, რომ: „ტრასა გახდება ჭეშმარიტად ინტერნაციონალური. მასზე გაივლიან მგზავრები და ტვირთი აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, აფხაზეთიდან, ოსეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან... გაივლის ტვირთი აზიიდან ევროპისკენ და პირიქით – ამ ორი კონტინენტის ხალხი ისარგებლებს მთიანი ტრასის მომსახურებით. ის გადაკვეთს ბუნებრივ მთიან საზღვარს ამ კონტინენტებს შორის და სამართლიანად გადაიქცევა ევროაზიურ საკონტინენტთაშორისო მთიან ტრასად“. (სამწუხაროა, რომ ავტორი, ბატონი კობა ხარაძე არ მიანიშნებს ვის მიერაა წარმოთქმული ეს სიტყვები და სად არის დაბეჭდილი, მაგრამ აგერ არ არის ედუარდ შევარდნაძე? განა ამგვარი ბრტყელ-ბრტყელი აზრები მას ცოტა წამოუსროლია? განა არ ჩანს, რომ როკის გვირაბის გათხრა ვერ შეძლეს, ვერც სტალინის ეპოქაში, ვერც ვასილ მჟავანაძის ცეკას მდივნობისას, არამედ 1972 წლიდან პროექტს გზა გაეხსნა მაშინ, როცა შევარდნაძე მეფობდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიაში! – ჯ.დ.).

თურმე, ნუ იტყვით და, როკის გვირაბით ისარგებლებდნენ აფხაზეთიდან და იმიერ და ამიერკავკასიაში მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვისას, ხოლო მთელი ევროპა და აზია მოაწყდებოდა ამ გვირაბს!..

...და მაინც, ეს ავტომაგისტრალი მზაკვრული პოლიტიკური მიზნებისათვის იყო გათვლილი. ამ ტრასას კატალიზატორის როლი უნდა შეესრულებინა ჩრდილო და სამხრეთელი ოსების დაახლოებასა და გაერთიანებაში. გათვლა სწორი აღმოჩნდა... როკის საავტომობილო მაგისტრალმა შეასრულა საბედისწერო მისია. კონფლიქტი, რომელიც მოხდა და ჯერაც არავინ იცის, როდის ჩაცხრება, სწორედ ამ გზამაც მოიტანა...

ამრიგად, როკის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის აგება, საქართველოს თავს მოახვიეს მტრულმა პოლიტიკურმა ძალებმა.

საქართველოს კარჩაკეტილობას არავინ მოითხოვს, გზაც უნდა აშენდეს, გვირაბიც, მაგრამ, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის ყოველმხრივი ინტერესი. არ შეიძლება ევროპისა და ამერიკის ქვეყნებს შევუდაროთ ჩვენი ქვეყნის მდებარეობა და მდგომარეობა. საქართველოს წინაშე ყოველთვის იდგა და დგას მისი პოლიტიკური ინტერესები და არაფერს, თუნდაც ეკონომიკას, არ უნდა შეეწიროს ქვეყნის არსებობის მთავარი საფუძველი.

მართალია, ცხინვალისა და ჯავის რაიონები ტრანსპორტის თვალსაზრისით ერთგვარ ჩიხურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ამის გამოსწორებას ქართველი მეცნიერები და ეკონომისტები ყოველთვის ცდი-

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–19

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლობდნენ. არსებობდა პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა გასულიყო სარკინიგზო ხაზი — ცხინვალი-ჯავა-ონი-ქუთაისი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ხაზი 65 კილომეტრს გაივლიდა და მოემსახურებოდა კვაისას ტყვია-თუთიის, ირისა და ჩორდის ბარიტის და სხვა წიაღისეულ საბადოებს.

და ერთიც, - არავითარი გამართლება არა აქვს, სავალალო მდგომარეობაში გქონდეს მთავარი მაგისტრალი (ვლადიკავკაზი-ყაზბეგი-კობი-მლეთა-ფასანაური! — ჯ.დ.) და იწყებდე გვერდითი ტრასის მშენებლობას... ამ ერთადერთი ცენტრალური საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ათეული წელია მიმდინარეობს და მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. ამ სასიცოცხლო არტერიით კი ჩვენი ქვეყნისა და ერის სახე ჩანს.

აშენდა როკის საუღელტეხილო საავტომობილო გზა. მან თავისი საქმე გააკეთა. ახლა რაღა ვქნათ?!“

შეწუხებულია ამ წერილის ავტორი, ბატონი კობა ხარაძე და „რაღა ვქნათო?“ — კითხულობს! რაღა უნდა ვქნათ, როდესაც გამყიდველი და მოღალატე ხელისუფლება გვყავდა? განა პირადად შევარდნაძემ არ განახორციელა როკის გვირაბის გაჭრა? მხოლოდ იმის გამო კი არა, რომ პოლიტბიუროში გადაეყვანათ. მას უფრო შორს მიმავალი გეგმების განხორციელება ევალებოდა. საიდან? რა თქმა უნდა, ზემოდან.

### შევარდნაძეს ჰყავდა სულიერი წინაპრები — ბიბლიური მხეცები

ოსები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, თავიანთი ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას ესწრაფვოდნენ, რაც მათი მხრივ, ბუნებრივ სურვილადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ, ქართველები რას ვაკეთებდით? ვისი იმედი გაგვაჩნია? ვითომ, ოდესმე, მსოფლიო პოლიტიკოსთა საძმო შევარდნაძეს დასჯის ამისათვის? ვითომ შევარდნაძე როცა წავა პოლიტიკიდან, გლობალიზაციის მესვეურნი, გაკიცხავენ ამ მარადიულ ჭლექსა და კიბოს?

არა! მსოფლიო დემონთა საბჭო, ბნელეთის პოლიტიკოსები შევარდნაძეს არ გაიმეტებენ! სანამ ცოცხალია, არაფერსაც არ უზამენ. აგერ, სააკაშვილი, დღე და ღამ შევარდნაძის მიერ ჩაბნელებულ საქართველოზე საუბრობს, მაგრამ... მხოლოდ ლაქლაქით იფარგლება! აბა, თუ ბიჭია, ბუზი აუფრინოს მასწავლებელს, მასაც იმ გზას გაუყენებენ, საითაც გია ჭანტურია და ზურაბ ჟვანია წაიყვანეს!

ტრაგედია სწორედაც ეს გახლავთ. შევარდნაძეს ჰყავს წინაპრები, მეგობრები, წინამორბედნი, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კაცობრიობის საზიანოდ მოქმედებენ.

შევარდნაძის წინაპრებით და თანამზრახველებით მოთესილია მთელი მსოფლიო. ისინი ყველა ქვეყანაში არიან. მათ აერთიანებთ ერთი, საერთო, საიდუმლო იდეა-ჩანაფიქრი. ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა, ფინანსები, ბანკები, მმართველობა...

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ შავბნელი ძალის წარმომადგენლებს ეროვნება აღარ გააჩნიათ. თვითონვე არიან ეროვნება და მათი სახელია პოლიტიკური მხეცი!

და ჩვენ, თუ კიდევ შეგვრჩენია ადამიანურობა, თუნდაც ეროვნულობა (არა მარტო ქართველებზეა საუბარი!), თუ მეტს ვეღარაფერს შევძლებთ, მომავალ თაობას სიმართლე არ უნდა ვუთხრათ და ამ სიმართლის თქმისას პირმართალნი არ უნდა ვიყოთ?

დღეს დემონები დედამიწის თითოეულ ქვეყანას უბედურებისკენ მიერეკებიან! ისინი იწყებენ ომებს, აწყობენ შიმშილობას, აღატაკებენ სხვებს, თვითონ მდიდრდებიან, სურთ მოსპონ სხვადასხვა ეროვნებები, ებრძვიან მსოფლიოში დღემდე დაფუძნებულ სარწმუნოებებს, ქმნიან ახალ სექტებს, ებრძვიან ოჯახის სიწმინდეს, სამშობლოს სიყვარულს, ავრცელებენ ნარკოტიკებს, პორნოგრაფიას, ქადაგებენ ჰომოსექსუალიზმს, ერთმანეთს სამტროდ ჰკიდებენ სხვადასხვა ხალხებს...

ყოველივე ამის ჩამოთვლაც კი საზარელია და იგი ემუქრება ყველას: ქართველს, ამერიკელს, კანადელს, ბრაზილიელს, რუსს, ფრანგს, გერმანელს, ჩინელს, ინდოელს, ავღანელს, ერაყელს, თურქებს, ირანელებს, იაპონელებს, მექსიკელებს, აფრიკელებს, ეგვიპტელებს, არაბებს, ებრაელებს, ავსტრალიელებს, ჩეხებს, გერმანელებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, ფინელებს, შვედებს, ნორვეგიელებს, ჩუვაშს, თათარს, მთელ შუა აზიას... რომელი ერთი ჩამოვთვალო?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# saqarTvelos xelisuflebis axali qurdoba _ kiberqurdoba

ტელეკომპანია „იმედმა“ გაიღვიძა, ანონსის სახით „ივანიშვილი და ბუშტებიო“, გამოაცხადა და გაიმეორა კადრები, რომელიც სააღდგომოდ ინტერნეტ-სივრცეში დატრიალდა, როგორც ბიძინა ივანიშვილის ოჯახის დისკრედიტაციის ერთ-ერთი ახალი „მიგნება“, სამწუთიანი ვიდეო, სადაც მინიშნებაა, რომ ოჯახის წევრები და მათი ახლობლები ბავშვების თანდასწრებით „უხამსი თამაშით“ ერთობიან. პატარა ბიჭუნა, თავდაპირველად, ყველამ ცოტნე ივანიშვილად აღიქვა, „სკანდალური ინფორმაცია“ კი ცხელ-ცხელად.

„იმედს“ რომ რაიმე ახალი ეთქვა, გასაგები იქნებოდა თემის ამოწევა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი მიზნისკენ მიმართული, მათ, ვისაც ხელი არ მიუწვდებათ ინტერნეტზე, მათაც ენახათ, რა „უხამსია“ ივანიშვილი.

უკვე ცნობილია, რომ სააღდგომო დღესასწაულების პერიოდში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი სოფელ ჭორვილაში იმყოფებოდა, განხორციელა კიბერშეტევა და მათი კუთვნილი კომპიუტერიდან მოიპარეს საოჯახო ვიდეო-არქივი. როგორც გამოირკვა, ეს არის 1998 წლის 14 სექტემბერს გადაღებული ვიდეო-ჩანაწერის მცირე ნაწილი დამონტაჟებული სახით, ბიჭუნა კი პატარა ბერაა. „ქართულმა ოცნებამ“ ინტერნეტში დადო ამ ვიდეო-ჩანაწერის 49 წუთიანი სრული ვერსია მონტაჟის გარეშე და მისი ნახვა ყველას შეუძლია.

მილიარდერს რატომ გაუჭირდა შესაბამისი კომუნიკაციური დაცვის უზრუნველყოფა, ძლიერი დაცვის შემთხვევაში კიბერშეტევის განხორციელება გაჭირდებოდაო, — ამბობენ.

ცხადია, საქმე მხოლოდ ივანიშვილზე არ არის, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა კრიმინალური ჯაჭვია შექმნილი ინტერნეტ-პროვაიდერების მონაწილეობით ლოკალური და გლობალური ქსელებიდან პირადი და საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების მიზნით და არის თუ არა ამ ყველაფრის ორგანიზატორი საქართველოს ხელისუფლება.




**სურათზე:** ბოტი აღმოაჩინა უფასო ანტივირუსმა Aვირა. საიტი განთავსებულია „კავკასუს ონლაინის“ უფასო კოლოკაციის სერვერზე.

ითქვა, რომ „ქართული ოცნების“ ტექნიკური სამსახური მუშაობს იმის დადგენაზე, საიდან მოდის კიბერშეტევის წყარო და გარკვეული ფაქტები ზუსტდება.

სანამ „ქართული ოცნება“ დაწყებულ გამოძიებას დაასრულებს, მკითხველს შევახსნებ, რომ მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონპროექტი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და მარტში განხილვასაც შეუდგნენ შესაბამისი კომიტეტები. კანონპროექტი რომ საქართველოს სახელგატეხილი სახელმწიფო მოხელეებისა და მთავრობის ხელში ინტერნეტ-სივრცეზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების მცდელობის ეჭვს არ ბადებდეს, ცხადია, სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა. ამდენად, ის, რომ აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემდეგ საჯარო და კერძო დაწესებულებები კიბერშეტევებისგან დაცულები იქნებოდნენ, ჰაერში გაფანტულ სიტყვებად მოისმა.

რატომ? იმიტომ, რომ ასე უცნაურად მიება ყველაფერი ერთმანეთს.

23 მარტს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა კიბერ-უსაფრთხოების სფეროში საქართველოში პირველი სახელმძღვანელოს „კიბერ-სივრცის სამართალი“ პრეზენტაცია. სახელმძღვანელო ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის კიბერ-სამართლისა და უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფარგლებში მომზადდა.

საქართველოს ინტერნეტ-სივრცის რეალობაში, კიბერ უსაფრთხოების მნიშვნელობა თვალშისაცემი გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც ნათლად გამოჩნდა კიბერ-უსაფრთხოებისა და კიბერრეგულაციების მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, — ჩათვალეს „საქართველოს თავებმა“. პრეზენტაცია ფურშეტით დამთავრდა და ყველა დარჩა კმაყოფილი. საქმე გააკეთეს.

ნამდვილად!

მთავარია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კიბერდანაშაულიც არის გათვალისწინებული — „კომპიუტერში ან კომპიუტერულ ქსელში არამართლზომიერი შეღწევა, რამაც ინფორმაციის განადგურება, მოდიფიცირება ან მოპოვება შეიძლება გამოიწვიოს, ისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეტიტ იმავე ვადით. თუკი ამგვარმა ქმედებამ მძიმე შედეგი გამოიწვია, იგი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე ვადით“.

კომპანია **EშEთ**–ის ინფორმაციით, აღმოჩენილია დაინფიცირებული კომპიუტერების ქსელი, რომელიც საქართველოს მთავრობის ოფიციალური საიტიდან იმართება. კომპიუტრული ქსელით გავრცელებული მავნე პროგრამა, ანუ აღნიშნული ბოტნეტის შექმნის მიზანია დოკუმენტებისა და ციფრული ფორმატის ვიდეო და აუდიო მასალების მოტაცება. ზიანის მომტანი ამ პროგრამის მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომ შემდგომში დატაცებისა და არასანქცირებული წვდომის მიზნით, ეძებს დაინფიცირებულ **ღDP(ღემოტე Dესკტოპ ჩონნეცტიონ)** ფორმატის ფაილებს. გარდა ამისა, ბოტს (მავნე პროგრამას) შეუძლია შექმნას აუდიო და ვიდეოჩანაწერები და შეაგროვოს ინფორმაცია ლოკალური ქსელის შესახებ. ბოტ-ქსელი დღეისათვის აქტიურ მდგომარეობაშია.

კომპანია **ESET**–ის ტექნო-ბლოგების ინფორმაციით **Win32/Georbort**-ი ბოლოს 20 მარტს ამოქმედდა და ყველა შემთხვევაში, მისი არსებობა სამთავრობო საიტებზე ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხია. კომპანიის ინფორმაციით, **ჳინ32/Gეორბოტ**–ი უპირველესად ქართველ მომხმარებელზეა ორიენტირებული — ინფიცირებული კომპიუტერების 70% რომელთა აღმოჩენაც სპეციალისტებმა მოახერხეს, საქართველოშია განთავსებული. მას აქვს განახლების მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს შეუმჩნეველი დარჩეს ანტივირუსული პროგრამებისთვის. ბრძანების მთავარ ცენტრთან მიუწვდომლობის შემთხვევაში, ბოტნეტს აქვს სარეზერვო მექანიზმიც, სპეციალურ ვებ-გვერდზე მიერთების საშუალება, რომელიც საქართველოს მთავრობის ოფიციალური საიტის ერთ-ერთ ვებ-გვერდზეა განთავსებული.

კომპანიის ანალიტიკოსებმა მოახერხეს ბოტნეტის მართვის ცენტრში შეღწევა, დასნებოვნებული კომპიუტერების რაოდენობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, მათი მდებარეობისა და გაცემული ბრძანებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ანალიტიკოსთა ინტერესი გამოიწვია საძიებო სიტყვებმა, რომელსაც ბოროტმოქმედები საძიებლად იყენებდნენ. (თუ კომპანია ხელს ადებს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ საიტს, გამოდის, ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება ყოფილა ბოროტმოქმედი) საძიებო სიტყვები აღმოჩნდა: სამინისტრო, სამსახური, საიდუმლო, აგენტი, ამერიკა, რუსეთი, „ცრუ“, „ფსბ“, „კგბ“ ტელეფონი, ნომერი და ა.შ

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ რომ ბოტნეტის ისეთი შესაძლებლობა, როგორიცაა ვებ-კამერით „სამუშაო მაგიდის“ გადაღება, არაერთხელ იქნა გამოყენებული...

ის ფაქტი, რომ ბოტნეტი საქართველოს საიტს განახლებისა და ბრძანების მიღებისთვის, ან ზიანის მქონე კომპიუტერული ვირუსის გასავრცელებლად იყენებდა, მიუთითებს იმაზე, რომ ბოროტმოქმედთა მთავარი სამიზნე საქართველოს მოქალაქეები არიან.

ვინაიდან ამ საფრთხის ტექნიკური რეალიზაცია საკმაოდ დაბალი ხარისხისაა, გამოითქვა სპეციალისტთა ვარაუდი, სახელმწიფოს მიერ რომ ფინანსდებოდეს, ტექნიკურად უფრო დახვეწილი და დაფარული იქნებოდაო.

„ნიშანდობლივია, რომ ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის ავტორიტეტულმა კომპანია **EშEთ**-მა **ჳინ32/Gეორბოტ**-ის შესახებ იმ პერიოდში გვამცნო, როდესაც საქართველოს ხელისუფლება კიბერ უსაფრთხოების შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღებას აპირებს“, — განაცხადა ინტერნეტ-ტექნოლოგიების სპეციალისტმა კონსტანტინ სტალინსკიმ.

რა იგულისხმა სტალინსკიმ, „ნიშანდობლივობაში“ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან საქართველოს მოქალაქეებისთვის სწორედ „ნიშანდობლივია“ ის, რომ ამგვარი „თამაშობანი“ საქართველოს მთავრობის ხელწერაა, სიტყვა ერთია, საქმე — მეორე...

ბოტნეტის მეშვეობით შესაძლებელია ინტერნეტისა და სერვერის გათიშვა, ქსელის ბარათის გადაწვა და ა.შ

როგორ გავიგოთ, არის თუ არა კომპიუტერი „ზომბირებული“.

თუ ბოტი იმართება **Iღჩ**-დან, შედიხართ **შტარტ>ღუნ>ჩMD** შეგყავთ **ნეტსტატ** და ჩამოწერილ ცხრილ **Fორეგინ Aდდრესს**-ში თუ არის მითითებული რომელიმე **IP (Iნტერნეტ Pროტოცოლ)**–ის გვერდზე პორტი 6667 მაშინ თქვენი კომპიუტერი „ზომბირებულია“.

როგორ მოვიშოროთ

შეხვალთ **თასკ Mანაგერ**-ში და გადახვალთ ტაბლ **Pროცესსეს**-ში, იპოვით უცნობ ფაილს და გამორთავთ. შემდეგ შეხვალთ **შტარტ>ღუმ>მსცონფიგ** გადახვალთ ტაბლ **შტარტუპ**-ში და იპოვით იგივე ფაილს, ამოშლით და გადატვირთეთ

## მოგზაურობა სამშობლოში

***წინა მოგზაურობისას ზღუდერში შეჩერებულებმა იმერხევში მოკლეზე, ხევდახევ ასვლა ვერ შევძელით. ოდესღაც ტრაქტორით გაკვალული სატყეო გზა აღარ არსებობს და ბედი ელბაქიანიდან უნდა სცადოთო, გვითხრეს ზღუდრელებმა. სოფელი ელბაქიანი, რომელშიც ძირითადად ელბაქიძეები ცხოვრობენ, ზღუდერიდან 5 კილომეტრშია, მაგრამ მანამდე ორთუბანი და ხეობის ძველთაძველი ცენტრი ზოვრეთია.***



# ძამელები

## ძამის ხეობა

ორთუბანში ბევრი რამაა სანახავი. ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, რომ იმერხევში **„არს მონასტერი ძამისა** (დღევანდელი ძაძვის მონასტერი – გ.ქ.) **და აწ ხუცის სამარს. იმერხევის დასავლით, ძამაზედ, არს მძორეთი** (ახლანდელი ნაქალარი ზოვრეთი– გ.ქ.) **მცირე ქალაქი. მოსახლენი სომეხნი, ურიანი. ციხე არს მაღალ კლდესა ზედა ნაშენი. ესე არს ძამის-ციხე** (ახლანდელი ზოვრეთის ციხე – გ.ქ.) **ამ ციხის ქვეშ სასახლე ციციანთა“...**

ამ უკანასკნელით დავიწყოთ.

როგორც ჩანს, ფანასკერტელ-ციციშვილებმა (შემდგომში ციციშვილებმა) მთავარი რეზიდენცია სამწევრისიდან მძორეთში გადმოიტანეს და მცირე ქალაქიც აქ გააშენეს. ეს ფაქტი იმას უნდა ადასტურებდეს, რომ მძორეთის ციხე-სიმაგრე ძველთაგან სავაჭრო-საქარავნო გზას აკონტროლებდა და საბაჟო დანიშნულება ჰქონდა. სწორედ ამიტომ დაუსახლებიათ აქ სომეხ და ებრაელ ვაჭართა რამდენიმე ოჯახი ციციშვილებს. თუ გავიხსენებთ, რომ ადრე ბაჟს ზვერი ერქვა, მებაჟეს– მეზვერე, ხოლო საბაჟოს – საზვერე (სიტყვა დაზვერვაც აქედან მიმდინარეობს), მაშინ, ალბათ, ამ ადგილების ახლანდელი სახელწოდება ზოვრეთი ვახუშტისეულ მძორეთზე ძველი და მართებული აღმოჩნდება. ეს საკითხი თავის დროზე ივანე ჯავახიშვილმა წამოსწია.







ოთუბანი. ციციშვილთა ციხე-დარბაზი (კოშკი, ეკლესია) და აბანო ინტერიერში

**ციციშვილების ციხე-დარბაზის კომპლექსი (75X100 მ) გზიდან ხელმარცხნივ (აღმოსავლეთით) დგას. იგი შედგება გალავნისგან, დარბაზული ეკლესიისგან, მასზე დასავლეთიდან მიდგმული ორსართულიანი სამრეკლოსგან და 7-სართულიანი საბრძოლო-თავდაცვითი კოშკისგან (სიმაღლე-22,3 მ), რომელსაც კონტრფორსები ამაგრებს და ჩრდილოეთიდან საცხოვრებელი მინაშენი აკრავს. სასახლე გალავნის იმ მონაკვეთზე უნდა ყოფილიყო მიდგმული, რომელიც ახლა გამონგრეულია. ყველა ეს შენობა XVII-XVIII საუკუნეებით არის დათარიღებული და ახლა იქ დედათა მონასტერია.** ასე იყო ჩვენი იქ მოსვლის დროსაც. 10 წლის წინათ ნანახი სურათი ახლაც თვალწინ მიდგას: დიდი კოშკის ზღურბლთან მჯდარი მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია მარიამი კრუხ-წიწილას საკენკს უყრიდა, მოშორებით ხეზე გრძელი თოკით მიბმული ნეზვი თხა გაკვირვებით შემოგვცქეროდა, კოშკის აივანზე გადმოკიდებულ ჭრელ ფარდაგს ნიავი ეთამაშებოდა. მალე კოშკიდან სხვა დედებიც გამოვიდნენ, დაეწყვნენ და ეკლესიისკენ გაეშურნენ, სადაც მამა დოროთეს წირვა უნდა ჩაეტარებინა.

წირვის დასრულების შემდეგ ჩვენი მეგზურობა სწორედ მამა დოროთემ იკისრა. ძალიან ახალგაზრდა, ხმელ-ხმელი მოძღვარი ახლაც თვალნათლივ წარმომიდგება ხოლმე გახუნებული ანაფორით, გრძელი, დაუღალავი ნაბიჯებით და გამორჩეული ზრდილობით ასაკით უფროსი ადამიანების მიმართ. მას შემდეგ, ერთადერთხელ შევხვდი და მაშინაც, მოწიწებით მკითხა – მიცანით თუ არაო. როგორ არა-მეთქი. ახლა ჩვენს ხეობასა და მონასტრებს ვეღარ იცნობთ, ყველა ციხე-ტაძრამდე გზა მიგიყვანეთო – მითხრა დოროთემ.

მაშინ, 10 წლის წინათ, მიტროპოლიტი იობი ის-ის იყო იწყებდა უდიდეს სამონასტრო მშენებლობებს (ეს ცალკე საუბრის თემაა), გზა არ იყო და ზოვრეთის ციხესიმაგრემდე ფეხით მოგვიწია ასვლა. მამა დოროთემ არც კამერა დაგვანება და არც შტატივი, ორთავეს ხელი დაავლო და წინ გაიჭრა. სულ მაღლა და მაღლა მოვიწევდით. ერთგან მამა დოროთემ, როგორც იქნა, შესვენება გადაწყვიტა და ისიც ჩვენი ხათრით. სწორედ მაშინ. იყო, რომ კანიონის თავზე გადაკიდებული კლდის ბაქანი შევნიშნე. ვიცი რა ჭეშმარიტი ბერების ფრთხილი დამოკიდებულება ტელეეკრანისადმი, დოროთეს დიდი გაჭრვებით შევბედე – იქნებ, დაგვეხმარო მამაო, იმ კლდეზე დადგე, რომ გადაგიღოთ-თქო. გაიკვირა, მაგრამ დამთანხმდა, დამთანხმდა იმიტომ, რომ ჩემი გულწრფელი მიზანი გაიგო: მე არ მაინტერესებდა კონკრეტიკა, მსურდა სილუეტით მეჩვენებინა როგორ დაჰყურებდა ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი თავის სამშობლოს, სამწყსოს თვისას, როგორც უწეწავდა ქარი თმაწვერს, როგორ უფრიალებდა გახუნებულ კაბის კალთას, რომელსაც მან ყველა მიწიერი ცთუნება ანაცვალა.

... ავედით.

**ციხე-დარბაზში შემორჩენილია ერთი მთავარი კოშკი (დონჟონი) და სამი შედარებით მცირე კოშკი. ყოველი მათგანი ამჟამად 3 სართულის დონეზელაა. ჩრდ-დასავლეთის ნახევარწრიულ კოშკს სამხრეთიდან ეკვრის 3-სართულიანი სასახლის ნაშთები, ხოლო სამხრეთ-აღმ. ნაწილში გალავანზე შიგნიდან მიკრულია ორსართულიანი, ეკვდერიანი ეკლესია, ჩანს სხვა ნაგებობების და წყალგაყვანილობის ფრაგმენტები. სავარაუდოა, რომ XV საუკუნის II ნახევარში დიდმა ზაზა ფანასკერტელმა ანუ იგივე ზაზა მკურნალმა სამწევრისის პარალელურად აქ დაიდო საზაფხულო რეზიდენცია და აქვე დაწერა თავის ცნობილი „კარაბადინი“.**

მაგრამ ყველაფერი ეს შედარებით ახალი ამბებია. რა და როგორ იყო უფრო ადრე?

**პლატონ იოსელიანის თქმით ზოვრეთის ქალაქიცა და ციხეც იბერიის მეფე მირდატმა ააშენა 113 წელს და მურვან ყრუმ დაანგრია.** როგორც ჩანს, იგი ამის შემდეგ ხელახლა ააშენეს, თუმცა მას მერეც ხშირად განუახლებიათ.

**„ქართლის ცხოვრებაში“ ძამელი ფეოდალი პირველად X საუკუნის ბოლო მეოთხედშია მოხსენიებული (ამავე პერიოდისა უნდა იყოს ატენის სიონის აღმ. ფასადის პილიგრიმული წარწერაც, რომელშიც ნახსენებია ვინმე „ძამელი“). „მატიანე ქართლისაის“ ავტორი გვეუბნება, რომ აფხაზთა მეფე დემეტრესა და მის ძმა თეოდოსს შორის მიმდინარე ბრძოლაში თეოდოსმა დახმარება სწორედ ძამის ხეობის გამგებელს ადარნასეს სთხოვა. ადარნასე ძამელმა თეოდისი ძამის ციხეში შეიფარა, მაგრამ „დემეტრე მეფემან მოგზავნა ლაშქარი თვისი, მოადგეს ციხესა ძამისასა და ჰბრძოდეს სამ თუე ოდენ“. ბოლოს ადარნასე და თეოდოსი დანებდნენ.**

თუ ს.ჯანაშიას, ნ.ბერძენიშვილისა და დ.გვრიტიშვილის გამოკვლევებს დავეყრდნობით და ძამელ ფეოდალებს „საზუერელ აზნაურებთან“ გავაიგივებთ, მაშინ ისინი იმავე „მატიანე ქართლისაიში“ ნახევარი საუკუნით ადრეც ჩანან. საზუერელმა აზნაურებმა (ძამელებმა) უფლისციხიდან მოტყუებით გამოიყვანეს გიორგი აფხაზთა მეფის განდგომილი ძე კონსტანტინე, რომელიც სასტიკად დასაჯა მამამისმა.

**გაურკვევლობას იწვევს იმ გიორგი თუალოისძის ვინაობა, რომელიც სამწევრისის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის X საუკუნის წარწერაშია ნახსენები** (იხ. გაზ. „საერთო გაზეთი, 2012,№19. „სამწევრისი“). წარწერა გვეუბნება, რომ დღემდე შემორჩენილი არხი მისი ძალისხმევითაა გაყვანილი და ამიტომ ყოფილა, რომ სარწყავ წყალს, მონასტერთან ერთად, ისიც განკარგავდა. დიდი არხის გაყვანა და მასზე კონტროლის დაწესება მხოლოდ ამ მხარის დიდ ფეოდალს შეეძლო, ასეთი პიროვნება კი აქ ძამელი იყო. ს.ჯანაშიას ვარაუდით, რაკი ძამელ-საზვერელი ფეოდალები შემდგომში ჩიჯავაძეების გვარით არიან ცნობილი, ისინი, თითქოს, აფხაზეთიდან მოსული ჩიჩუები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სამწვრისის წარწერას თუ მივიღებთ მხედველობაში, ტიტულარული გვარების ძამელისა და საზვერელის მიღმა, შეიძლება თუალოისძენი იგულისხმებოდნენ.

როგორც ირკვევა, ძამელ-საზვერელი ფეოდალები შემდგომ პერიოდში ცენტრალური სამეფო ხელისუფლების ნდობით ვეღარ სარგებლობდნენ, რადგან ძამის ციხე სამართავად ჯერ ქართლის ერისთავთ-ერისთავს გადეცა, XII საუკუნის მიწურულიდან კი დიდ გამრეკელ თორელს. სად უნდა წასულიყვნენ ამ დროს ძამელები? არის ეჭვი, რომ მათ თავიანთი რეზიდენცია ძამის ციხიდან აღმოსავლეთით, იმერხევში, კონკრეტულად კი ორბოძალში უნდა გადაეტანათ, რადგან ამის შემდეგ სავარუდოთ ამ გვარით ჩანან ასპარეზზე. XIV საუკუნიდან მოკიდებული ორბოძლელები ჯერ თორელ-ჯავახიშვილებს ებრძვიან ამ ციხისთვის, შემდეგ კი ფანასკერტელ-ციციშვილებს.

XV საუკუნის 40-50 წლებში ეს საზვერელ-ძამელები ჩიჯავაძეთა გვარით ისევ ჩანან „გაღმა მხარს“ (მტკვრის მარჯვენა სანაპირო), სადაც, ჯერ კიდევ შემორჩენილი ძამის ხეობის ერთ ნაწილთან ერთად, ამირეჯიბობა და ატენის მოურავობა აქვთ. ახალი გვარის მამამთავარი, შეიძლება, ის როსტომ ჩიჯავაძეა, რომელიც ალექსანდრე დიდის (1412-1442 წ.წ.) კარის ვაზირთა შორის მოწმედაა დასახელებული „თოფურიძეთა სასისხლო სიგელში“. ტაოდან მოსული ფანასკერტელ-ციციშვილების მზარდი ექსპანსიის შედეგად, საზვერელი ჩიჯავაძეები, სავარაუდოდ, ამ დროს გადადიან იმერეთში, სადაც უმკვიდროდ დარჩენილი ქვაბულისძეების მამულებს იკავებენ საჩინოში. ამ აზრს ადასტურებს ბაღდადის რაიონის სოფელ დიხაშხოში მცხოვრები საჩინოელ თავადთა ჩამომავალი სიმონ (ბუჭუნა) ჩიჯავაძეც. მან ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ მისი წინაპრები საჩინოში ალექსანდრე მეფემ დაამკვიდრა.

ასეთი ისტორიული ექსკურსის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია დავტოვოთ ძამის ციხე და ორთუბანში ჩამოვიდეთ, სადაც ძველი ნაქალაქარის ადგილზე XVII საუკუნის აბანოს ნახვა შეგვიძლია. არ ვიცი, შემთხვევითობას მივაწერო თუ კანონზომიერებას, რომ ჩვენში ანტიკური და ადრე შუასაუკუნეების აბანოები უფროა შემონახული ვიდრე განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეებისა, ხოლო ამ უკანასკნელთაგან სწორედ ზაზა მკურნალის შთამომავლების მიერ აგებული ჰიგიენური დაწესებულებებია ყველაზე უკეთ შენარჩუნებული ძამისა და ნიჩბისის ხეობებში.

ამ თემაზე საუბარი მომავალი მოგზაურობისთვის შევინახოთ.

**გელა ქოქიაშვილი**



ძამის (მზოვრეთის) ციხესიმაგრე გარედან და შიგნიდან









## თავსატეხი

ტუსკია; ოკეანე; კეცია; ლაზიბა; ოპინია; ფიშა (თ-გრიდში შევსებული სიტყვები: ტუსკია, ოკეანე, კეცია, ლ-ვ-ი-ნ-ი-ა, ა-ყ-ი-რ-ო, ა-ფ-ი-შ-ა)

შვეულად: ესაუ, გალიო, ქიშა, ალყილი, გაუშრა, ღუქანი, კურაცა ნასტია, ორფილი, პორტე, რატილი, ყაურმა, ნალაბე, ცინამა, ჯაგარი, კონტუშია, ნატანები.

თარაზულად: ალაპი, ნიდიო, ანეამი, ბიორკი, ყასაბე, თამასა, ლიგუ ნა, მარანი, სტიალა, ფაუსტი, ქარტია, შამილი, ძამიკო, ჭილილი, ზაზამი, დინასტია, ლიაზარეთი.

## სამიდან ერთი

შვეულად: 1. კურარე, პუდელი, სალპორო. 2. ბოშები, ბიცოლა, ბობინა. 3. ცეზარი, სომეხი, გულაბი. 4. მღელო, რკალი, სტელა. 5. იმამი, გრიგას, შეიდი. 6. ამერი, ოჩეკა, ქმილი. 11. კანტონი, ბატონეული, სტოიკა. 12. სადგისი, რიკელმე, კორკოტი. 13. სუმუკა, გოდორი, მამუკა. 14. ჩეხეთი, კარიბი, მამული. 15. კოკური, ლადარი, ლითონი. 17. ბრილი, ლრამა, ურიკა.

თარაზულად: 3. ფილაქანი, ცირკაიძე, მონოლითი. 7. კოდაკი, პელუჩი, სანირე. 8. ზეპირია, კოლორიტი, კანიკარი. 9. ლუდუკა, მუხუელი, კაროსი. 10. კენტრილა, რეისპირი, სამოვარი. 11. თულაჯი, ხარაზი, სომალი. 16. სტამულო, კურტაკა, კრისანი. 18. ყამირი, ძამითი, ჯაჯილი. 19. შალანდა, პორტერი, რიტუალი. 20. ტორილა, კოლონა, გოგონა. 21. მანიშე, გუგუში, ლულაჩი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 23 | ■ | 28 | ■ | 19 | 9 | 3 | 19 | 9 | 3 | 9 |
| 21 | 4 | 12 | 4 | 1 | 9 | ■ | 7 | ■ | 8 | ■ | 26 |
| ■ | 13 | ■ | 10 | ■ | 17 | 9 | 4 | 12 | 4 | 1 | 9 |
| 29 | 9 | 7 | 33 | 6 | 9 | ■ | 2 | ■ | 10 | ■ | 21 |
| ■ | 18 | ■ | 14 | ■ | 7 | 11 | 9 | 25 | 20 | 1 | 9 |
| 15 | 4 | 5 | 4 | 24 | 9 | ■ | ■ | 20 | ■ | 11 | ■ |
| 4 | ■ | 33 | ■ | 20 | ■ | 6 | 4 | 16 | 11 | 1 | 33 |
| 28 | 4 | 8 | 4 | 7 | 9 | ■ | ■ | 7 | ■ | 24 | ■ |
| 2 | ■ | 26 | ■ | 14 | ■ | 32 | 2 | 4 | 7 | 9 | ■ |
| 9 | 14 | 9 | 22 | 4 | ■ | 4 | ■ | 26 | ■ | ■ | 27 |
| ■ | 9 | ■ | 1 | ■ | 30 | 11 | 7 | 9 | 33 | 5 | 4 |
| 8 | 22 | 23 | 33 | 17 | 4 | ■ | ■ | 4 | ■ | ■ | 8 |
| ■ | 20 | ■ | 8 | ■ | 31 | ■ | 14 | ■ | 5 | 16 | 33 |
| ■ | 7 | ■ | 7 | ■ | 2 | 20 | 7 | 2 | 20 | ■ | 1 |
| 30 | 4 | 23 | 9 | 1 | 9 | ■ | 11 | ■ | 9 | ■ | 9 |

| | |
|---|---|
| ა-4 | ს- |
| ბ | ტ |
| გ | უ 11 |
| დ | ფ |
| ე-33 | ქ |
| ვ | ღ |
| ზ | ყ |
| თ | შ-21 |
| ი 9 | ჩ |
| კ 21 | ც |
| ლ | ძ |
| მ | წ |
| ნ | ჭ-31 |
| ო-20 | ხ |
| პ | ჯ |
| ჟ | ჰ |
| რ 1 | |

# ბიბლიური ადამი შავკანიანი იყო?



ყველასთვის ცნობილია, ისტორია ადამისა და ევას შესახებ, რომლებიც სამოთხედან გამოაძევეს. მაგრამ სად იმყოფებოდა ეს ადგილი, ისტორიისთვის ჯერ ცნობილი არ არის.

33 წლის გენეტიკოსი სპენსერ უელსი ირწმუნება, რომ პირველი ადამიანები დედამიწაზე ბუშმენების წინაპრები იყვნენ. წიგნში „ადამიანის მოგზაურობა" იგი წერს, პირველი ადამიანი ცხოვრობდა აფრიკაში 60 000 წლის წინათ და ის ადგილი, რომელსაც სამოთხეს უწოდებენ, არის აფრიკის დასავლეთი სანაპირო.

დაახლოებით 40 000 წლის წინათ აქ ბუნება შეიცვალა, შემცირდა ცხოველთა რაოდენობა, რომლებზეც ნადირობდნენ ბუშმენები და მათ იწყეს გადაადგილება პლანეტის სხვადასხვა მხარეს. სწორედ ამის გამო ლაპარაკობს ბიბლია აბრაამის 12 შთამომავალზე. მაგრამ ადამის ყველაზე ახლო ნათესავები აფრიკელი ბუშმენები არიან, რომლებიც დღეს ნამიბიაში ცხოვრობენ, ასევე ბოტსვანაში და იუარის ჩრდილოეთ ნაწილში, — მიიჩნევს სპენსერ უელსი.

მაგრამ რას ეყრდნობა უელსი? დნმ-ის ანალიზს. საქმე ისაა, რომ აფრიკელთა გენები გაცილებით სხვანაირია, ვიდრე სხვა ადამიანებისა.

იტალიელი მკვლევარები კი ამტკიცებენ, რომ ევას სამოთხეში არ შეეძლო ეჭამა ვაშლი, რადგან ასეთი ხე ედემში საერთოდ არ იყო. ბიბლიის ტექსტის უცნობი მკვლევარი ლათინურ სახელწოდებას იყენებს და ამბობს, რომ „მალუს-მალუმ", ეს არ ნიშნავს ვაშლს, ეს ნიშნავს „ბოროტებას", და „ხილს", როგორც „ვაშლს". ორიგინალში ვაშლზე ლაპარაკი საერთოდ არაა. იუდეველები მიიჩნევენ, რომ ეს იყო კენკრა, ზოგიერთის აზრით, ეს იყო ფორთოხალი, ზოგი რელიგიური მიმდინარეობა თაფლს ასახელებს, მუსულმანები მიიჩნევენ, რომ ადამმა და ევამ დანაშაული ჩაიდინეს...

ქრისტიანები მისდევენ 10 მცნებას, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იაჰვეს მიერ გადმოცემული მცნებები 10 კი არა 11 იყო.

ინგლისელი მეცნიერი რიჩარდ პანხურსტი მიიჩნევს, რომ ალთქმის კიდობანი და 10 მცნება არა მხოლოდ არსებობს, დღესაც ინახება ეთიოპიაში. პატარა ქალაქ აქსემში.

არქეოლოგი გარი უეის აზრით, კიდობანი იემენში უნდა ვეძებოთ. მაგრამ ეს ყოველივე მაინც მეცნიერთა ჩხირკედელაობაა, ხოლო ბიბლია ადამიანის ისტორიის უტყუარი და ჭეშმარიტი წიგნი.

# ყველაზე დაუკმაყოფილებელი ქალები რუსები და იაპონელები ყოფილან

მსოფლიოში ნახევარზე მეტი ქალი უკმაყოფილოა თავისი ინტიმური ცხოვრებით, მაგრამ, როგორც ამერიკელი სექსოლოგები ამტკიცებენ, ეს ქალებს სულაც არ ანაღვლებთ. მამაკაცებთან სექსს ურჩევნიათ შოპინგებზე იარონ ან მეგობრებს შეხვდნენ. მკვლევარები ამბობენ, რომ ყველაზე დაუკმაყოფილებელი ქალები იაპონიასა და რუსეთში ცხოვრობენ.

ამერიკაში ამ მხრივ საქმე ყველაზე უკეთაა. ლაპარაკი ფრანგების გადაჭარბებულ სექსუალურობაზე ზღაპარია და მეტი არაფერი. მათი 90 პროცენტი ცხოვრების მანძილზე ვერ ახორციელებს თავის სექსუალურ ფანტაზიებს.

გერმანელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ნორმალური სქესობრივი ცხოვრების გარეშე მყოფ ადამიანს ადვილად უვითარდება



გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები, სუქდებიან, ემართებათ გასტრიტი, წყლულოვანი დაავადებები, ნევროზები და უძილობა. ჯანსაღი სექსი უკუაქცევს ბევრ სერიოზულ დაავადებას.

ამასთანავე, სექსი უმჯობესია საათობით ფიტნეს-კლუბში ვარჯიშზე, სექსის დროს მოქმედებაში მოდის ათობით კუნთი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში სხვანაირად არ ამუშავდებოდა და დროის განმავლობაში შეიძლება ატროფირდეს კიდეც.

ნახევარსაათიანი სექსი ორმოცი წუთით სირბილს სჯობს ან მთელი საათის განმავლობაში ტენისის თამაშს. სექსი იმუნიტეტს აძლიერებს.

# ქმრის მიერ დამახინჯებულ ქალს მეუღლე ისევ უყვარს

2008 წლის დეკემბერში ამერიკელ კონი კულპს ოჰაიოს შტატის ქალაქ ჰოუპდეილიდან, პირველად გადაუნერგეს სახე. 48 წლის ქალბატონს დღეს სიმპათიური ნამდვილად არ ეთქმის.

7 წლის წინ ნაჯახით ქმარმა კონის თვალი ამოუგდო, მოაჭრა ცხვირი, მოატეხა ზედა ყბა.

— აწი ვეღარ მიღალატებ, — წამოიძახა ტომ კულპმა და ნაჯახი დაუშვა, ქალი სრულიად დამახინჯდა, დაკარგა ყურთასმენა. მას შემდეგ 30



პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ კვლავ საშინლად გამოიყურება. თუმცა ზოგი ჭირი მარგებელიაო და კონი გახდა სახის გადანერგვის პიონერი აშშ-ში. აქამდე მსგავსი ტიპის ოპერაციები საფრანგეთსა და ჩინეთში იყო გაკეთებული.

კონის ოპერაციას 22 საათის განმავლობაში უკეთებდნენ. საფრანგეთში ასეთი ოპერაციის ხანგრძლივობა 30 საათი იყო. კონი კულპს მიცვალებულის სახე გადაუნერგეს. ჯერჯერობით სახეს თავისი ფორმა არ აქვს მიღებული და კანი გაბერილი, შეშუპებული გამოიყურება, ლაპარაკი უკვე შეუძლია, იღიმება, გრძნობს სუნს და დამოუკიდებლად ჭამს. მთლიან ფუნქციონირებას ყველა ორგანო ერთი წლის შემდეგ შეძლებს.

— მე მიყვარს ჩემი მეუღლე, — აცხადებს დღეს კონი კულპი.

# მამა გახდა 94 წლის ასაკში



ყველაზე ხანდაზმულ მამად მსოფლიოში ინდუსი რამაჯიდ რაღავი ითვლება.

ბედნიერი მამა ფერმაში მოჯამაგირედ მუშაობს. მან 2007 წელს რეკორდი დაამყარა. მისმა მეუღლემ 90 წლის რამაჯიდ რაღავს ოცდამეორე შვილი აჩუქა.

რამაჯიდის მეუღლე რაგავა შაკუნტალე 55 წლისაა. საავადმყოფოს ექიმმა, სადაც ეს საოცარი მშობიარობა მოხდა, განაცხადა, რომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. ახალშობილი და დედა თავს კარგად გრძნობენ. ექიმები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ ასაკში მამად გახდომის შანსი ძალიან მცირეა, თითქმის გამორიცხულია, მაგრამ ამ შემთხვევამ საპირისპირო დაამტკიცა.

ბედნიერი მშობლები ვაჟის დაბადებას „ღვთის საჩუქარს" უწოდებენ და შესაფერისი სახელიც დაარქვეს — კარამჟიტი.

რამაჯიდ რაღავი ამბობს, რომ ახალგაზრდობაში სპორტს მისდევდა. ახლა კი სპეციალურ დიეტას იცავს, რომელიც გამორიცხავს ყოველდღიურ რაციონში მინდალს, რძეს და ცხიმებს.

# როგორ განკვეთა მოსემ ზღვა?



ამოიხსნა ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ამბავი, რომელიც ბიბლიაშია მოთხრობილი.

ლენტა რუ-ს ინფორმაციით, ამერიკის ნაციონალური ატმოსფერული მოვლენების კვლევის ცენრის მეცნიერები და კოლორადოს უნივერსიტეტის მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბიბლიასა და ყურანში მოთხრობილი ამბავი მოსეს მიერ წითელი ზღვის გაპობის და იქ გავლისა, სინამდვილეს შეესაბამება.

პროექტის ხელმძღვანელი კარლ დრიუსი ამბობს, რომ ძლიერ ქარს, რომელიც ერთი მიმართულებით ქრის, შეუძლია წყალი კედელივით აღმართოს, რაც შესაძლებელია 4 საათის განმავლობაში შენარჩუნდეს. მეცნიერებმა შექმნეს კომპიუტერული მოდელი, რომელიც ხსნის ამ თეორიას.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ჩემი შვილი პატიმარია. გთხოვთ, მიპასუხოთ, ვინ აცხადებს ამნისტიას და იგეგმება თუ არა ამნისტიის გამოცემა?**

— ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

სამწუხაროდ, მე ვერ მოგახსენებთ ამნისტიის გამოცემის შესახებ ვერაფერს.

* * *

**— ჩემს შვილს ერთ-ერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის შეფარდებული ჰქონდა პირობითი სასჯელი, გამოსაცდელი ვადა 5 წლით. ამ პერიოდში ჩემმა შვილმა ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რის გამოც დაჯარიმებული იქნა. იმოქმედებს თუ არა ეს პირობით მსჯავრზე რაიმე სახით?**

— ვერ დაგამშვიდებთ, შესაძლებელია, იმოქმედოს. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, თუ პირობით მსჯავრდებულმა თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ან დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რის გამოც მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, სასამართლოს შეუძლია პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს ერთი წლით.

* * *

**— გთხოვთ გაგვაცნოთ სასჯელთა სახეები.**

— სასჯელის სახეებია:

ა) ჯარიმა;

ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

დ) გამასწორებელი სამუშაო;

ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;

ვ) თავისუფლების შეზღუდვა;

ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;

თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ი) ქონების ჩამორთმევა.

დასახელებული სასჯელის სახეებიდან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით.

ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის სახე.

* * *

**— რამდენ ხანს ითვლება პირი ნასამართლევად?**

— მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე.

* * *

**— რა სახის დანაშაული ითვლება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად?**

— განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია



სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

* * *

**— ჩემმა შვილმა საბერძნეთში ჩაიდინა დანაშაული. შეიძლება თუ არა ის საქართველოში გასამართლდეს?**

— თქვენ დეტალების დაკონკრეტებაზე თავი შეიკავეთ. არ ვიცი, რა სტადიაშია ამჟამად სისხლის სამართლის საქმე.

ზოგადად კი მოგახსენებთ შემდეგს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის I ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდნეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.

სს კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისთმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

* * *

**— შეიძლება თუ არა, ბებიამ იშვილოს შვილიშვილი?**

— შეიძლება, ოღონდ გაშვილება იურიდიულად უნდა იქნას გაფორმებული, „შვილად აყვანის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

* * *

**— შეიძლება თუ არა შვილად აყვანა სასამართლოს გარეშე, მაგალითად, ნოტარიუსის მეშვეობით?**

— არა.

შვილად აყვანის პროცედურა იწყება სააგენტოდან, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების გამომტანი არის მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო. ეს გახლავთ სამოქალაქო კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნა.

* * *

**— მყავს ორი მოზარდი ქალიშვილი. სიამოვნებით გავზრდიდი ვაჟს, როგორც შვილობილს. მინდობით აღზრდა მაქვს მხედველობაში. რა ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო და რა შეღავათები მექნება?**

— ასეთი შეკითხვა პირველად შემოვიდა „საერთო გაზეთის“ რედაქციაში.

მოგახსენებთ:

მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვის ხარჯები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება. დედობილი (მამობილი) ბავშვის მინდობით აღზრდისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იღებს სოციალურ დახმარებას. კერძოდ, ჯანმრთელი ბავშვისთვის — 200 ლარს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის — 300 ლარს. აღზრდის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმღები მშობლები (დედობილი, მამობილი) თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან იმ შემთხვევაში, თუ მისი შემოსავალი, ერთი წლის განმავლობაში 6000 ლარს არ გადააჭარბებს.

დედობილს (მამობილს) ბავშვის მინდობით აღზრდა შრომით სტაჟში ეთვლება.

# facebook

# xalxis azriT

ბიძინა ივანიშვილი-ადამიანი, რომელსაც აქვს იდეალური ქართული ოჯახი, წარმატებული ბიზნესი, გავლენები მსოფლიო მასშტაბით და გეუბნება შენ(მე) რიგით ქართველს —"მე მინდა შენც იყო წარმატებული შენს სფეროში, გქონდეს ლაღი ახალგაზრდობა და მშვიდი სიბერე, არ გეშინოდეს ხვალინდელი დღის და არ ფიქრობდე მგლის დონეზე" — რა ვჭამო" ცხოვრება ბევრად მშვენიერია. ვიდრე ჩვენ გვგონია.... ადამიანი, რომელიც უპრეცედენტო ქველმოქმედებას ეწეოდა და აგრძელებს ხალხის დახმარებას, ჩვენი ისტორიული ძეგლების გადარჩენას, ქვეყნის აღმშენებლობაში შეაქვს ლომის წვლილი.... და პასუხად... მე პატივს ვცემ ამ ადამიანს და მადლობელი ვარ იმ სიკეთისთვის, რაც მან "ჩემ წილ ქვეყანას" ჩემს მაგივრად გაუკეთა...

ტერაქტზე მთავარი პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება ორგანიზატორს, რომელიც ტერორისტს ტანზე ბომბის დამაგრებას და თავის აფეთქებას აიძულებს. "მაჩვენე ჯვარი",— იმის ნიშანია, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიური შუღლის და ქსენოფობიის გაღვიძება ოფიციალურად წახალისებული და დაფინანსებულია. ეს ფაქტი ძირისძირობამდე უნდა იქნას შესწავლილი და პასუხი მოეთხოვოს იმ ჯგუფს, რომელმაც ეს შეკითხვა ჩაუდო თავში ჟურნალისტს და საჯაროდ თავის აფეთქება აიძულა. "მაჩვენე ჯვარი",— დარჩება ამ ხელისუფლების წიაღში შექმნილ ისეთივე საფირმო შეკითხვად, როგორიცაა — "ბენზინი ხომ იშოვა?!"

მოდი და ნუ შეიგინებ — მე ამის დედას შევეცი, ესაა სამართალი???!!!!

კაცს, რომელმაც უამრავი თანხა გაიღო საქართველოში ქველმოქმედების მიზნით, რომელმაც 400-მდე ისტორიული ძეგლი და ეკლესია აღადგინა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებაში, რომელმაც ასევე მონაწილეობა მიიღო პოლიციის მოდერნიზაციაში. მოქალაქეობა ჩამოართვეს და კაცი, რომელმაც მსოფლიოში სახელი გაითქვა შარლატანობით და აფერისტობით, რომლის მთავარი ბიზნესი კაზინოებია, რომელმაც მხოლოდ საკუთარი (შარლატანის) სახელის გამოყენებისთვის სახელმწიფოს 300 0000 0000 აახია, დღეს ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვეს!!!!!!!!!!!

დაზღვევას და თეთრ კბილებს მიშაც კი გვპირდება, საჭმელიც შეგვიქმნა, საპირფარეშოც და კიდომ ლაზიკაც :) მაგრამ ტერიტორიები? ავღანეთში გაგზავნილი ჩვენი ბიჭები? სამუშაო ადგილები? და რაც მთავარია, ეს ყბადაღებული გლობალიზაცია და ლიბერალიზმის საქმე როგორ იქნება, ის გვითხრას იქნება ვინმემ?

ყველაზე ცუდი იცით რა არის? ის არის, რომ ივანიშვილის გარემოცვა ძალიან ბევრს აღიზიანებს, ბევრმა, ყველამ თუ არა, იცის სიმართლე, ვინ არის ეს ხალხი, საიდან მოვიდა და სად აპირებენ წასვლას, მაგრამ შინაგნად, გულის სიღრმეში ბევრი გაურბის სიმართლის თქმას ვაი თუ ბიძინამ გაიგოს, ვაითუ მეც შემამჩნიოს, ვაი თუ, რაიმე გამოვიდეს! ისე, აბა, დამისახელეთ, რის საფუძველზე ენდობით ხიდაშელს? უსუფაშვილს, ბერძენიშვილებს? დამიდეთ მაგალითები და მეც გავჩერდები, 20 წელია არ ვყოფილვარ მანდ და იქნებ გამომრჩა რაიმე!!! დამისახელეთ, რატომ უნდა ვენდო ამ ხალხს?!!!!

პოლიტიკურ სამარეში ჩასვენება ეს უნდა იყოს ვადამდელი, ნამდვილად დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები, რომლის მიღწევა ქუჩის აქციების, მოლაპარაკების პროცესის, ჩვენი მეგობრებისა და უცხოეთში მოქმედი ნამდვილად ქართული განწყობის ორგანიზაციების ერთიანი მოქმედების გარეშე შეუძლებელია.

არჩევნები აუცილებლად მოსაგებია არჩევნებამდე! და ამისთვის საჭიროა ერთობა, რადგან სწორედ ერთობით მიიღწევა დასახული მიზანი. დღეს სწორედ ერთობაა საჭირო ამ რეჟიმის დასამარცხებლად და არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად. რადგან თუ ესენი იქნებიან ისევ, საქართველოში დემოკრატიული არჩევნები მათ პირობებში არასდროს არ ჩატარდება.



# წითელი ფერი მთავარი ფერია ადამიანისთვის



კითხვა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არ ასვენებს მეცნიერებს, მკვლევარებსა და ფილოსოფოსებს ასე ჟღერს: ნამდვილად სხვანაირად ხედავს ყველა სამყაროს?

ჩაატარეს ცდა და აღმოჩნდა, რომ წითელ ფერს ყველა ერთნაირად აღიქვამს, მაგრამ ცისფერი სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვანაირია.

მკვლევართა ჯგუფმა შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებში ფერების აღქმა. როგორც აღმოჩნდა, ყველა ქვეყნის ადამიანი ერთი და იგივე ფერს ერთნაირად ხედავს.

ექსპერიმენტი ჩაატარეს იტალიელმა და ინდოელმა მეცნიერებმა. ცდისთვის ორი მოხალისე გამოიყენეს. ერთ მათგანს აჩვენეს რამდენიმე საგანი ერთნაირი შეფერილობის და მას უნდა აეხსნა მეორესთვის, როგორი ფერის იყო ეს საგნები, ოღონდ, თვით ფერი არ უნდა დაესახელებინა. ფერის აღწერისთვის ცდისპირს შეეძლო სიტყვები გამოეყენებინა. ცდის მეორე მონაწილე, ხშირ შემთხვევაში, სწრაფად გამოიცნობდა ხოლმე რომელ ფერს გულისხმობდა პირველი.

მაგრამ რომელი ფერის გამოცნობა იყო ყველაზე იოლი? პირველი ადგილი წითელმა ფერმა დაიკავა. მას მოსდევს ალისფერი, იისფერი, მწვანე-ყვითელი, ცისფერი, ჭრელი, ნაცრისფერი.

ყველაზე „უძველესი“ ფერები, რომლებიც ადამიანის ცნობიერებაში პირველად ჩაისახა თეთრი, შავი და წითელი იყო.

ბავშვთა ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ფერი არის პირველი ნიშანი იმისა, თუ როგორ იმახსოვრებს ბავშვი ამა თუ იმ საგანს.

პატარა ბავშვებს, როგორც წესი, ბრჭყვიალა საგნები იზიდავთ. ასაკის მატებასთან ერთად ფერებისადმი დამოკიდებულება იცვლება.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჩვენი რეცეპტორები ყველაზე კარგად ხედავენ წითელ ფერს, ვიდრე ცისფერს. წითელი ფერის არის ადამიანისთვის სისხლიც და ცეცხლიც.

სხვადასხვა ხალხის კულტურებში ფერი სხვადასხვანაირად აღიქმება. ევროპაში შავი ფერი ცხოვრების ნეგატიურ მხარეზე მიუთითებს — ეს არის გლოვის, ბნელი ძალების, შავი მაგიის ფერი. შავი კატა (ან ძაღლი) შუა საუკუნეებში ეშმაკის ატრიბუტად მიიჩნეოდა.

აღმოსავლეთის კულტურაში შავი ფერი სულ სხვა მნიშვნელობას იძენს. იაპონიაში ეს არის დიდებულების სიმბოლო, უმაღლესი ოსტატობის ნიშანი. გაგიგიათ, ალბათ, შავი ქამარი.

თურქულ კულტურაში შავი ნიშნავს დიდებულს, პატივსაცემს. შავი (ყარა), ამ ფერის აღსანიშნავად დაერქვა „დიდებულ ხანებს“ ყარახანიდები, ანდა ყარა-ყუმი, რაც „დიდებულ ქვიშას“, ანუ „დიდებულ უდაბნოს“ ნიშნავს.

თეთრი ფერი ევროპაში დღესასწაულის ფერია. ამავე დროს უმწიკვლოების, სიწმინდის, სისუფთავის გამოხატულება. დედოფალ ვიქტორიას დროს თეთრი ფერი ქორწილის მთავარ ფერად იქნა აღიარებული. ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ინდუიზმი და ბუდიზმი მთავარი რელიგიაა, თეთრი ფერი გლოვის ფერად არის გამოცხადებული. ამიტომ სიკვდილი იქ ისეთი ტრაგიკულობით არ გამოირჩევა, როგორ ევროპაში.

# მამაკაცმა შვილი გააჩინა

მამაკაცი, რომელიც ადრე ქალი იყო, ბავშვი გააჩინა. ამისთვის მას რამდენიმე ქირურგიული ოპერაციის გადატანა მოუხდა.

დეტალური ცნობები ამ მამაკაცის შესახებ გავრცელებული არაა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მამაკაცი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. 30 წლისაა, ცნობილი არაა მისი დამოკიდებულების შესახებ პარტნიორისადმი. არც პარტნიორის სქესია ცნობილი. ექიმები ამ შემთხვევას სრულიად გამონაკლის, განსაკუთრებულ მოვლენას უწოდებენ. მაგრამ იგივენაირი შემთხვევა მოხდა ოთხი წლის წინ ამერიკაშიც. სქესის შეცვლის შემდეგ ამერიკელმა ტომას ბიტიმ ბავშვი გააჩინა. ახლა მას სამი ბავშვი ჰყავს, უმცროსი ვაჟი 2010 წელს გააჩინა.



სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ კლინიკაში არის ცალკე განყოფილება ტრანსგენდერული მამრობითი სქესის პაციენტებისთვის, რომლებსაც დედობა სურთ. როგორც წესი, ქალები, რომლებიც სქესს იცვლიან, ულებენ საშვილოსნოს და საკვერცხეებს, მაგრამ ჰორმონალური ცვლილებების დროს ყოველივე ეს სიმსივნური დაავადებების გაჩენის რისკს ზრდის.

# 111 მეტრის სიმაღლიდან გადახტა და გადარჩა



ავსტრიელი ტურისტი გოგონა 111 მეტრი სიმაღლიდან გადახტა მდინარე ზამბეზში და არაფერი დაშავებია.

გასული წლის 31 დეკემბერს ერინ ლენგვორტი ხიდიდან გადახტა ვიქტორიას ჩანჩქერში. გადახტომის პროცესში თოკი, რომელითაც დაჭერილი იყო, გაწყდა და 22 წლის ტურისტი მდინარეში ჩავარდა. დინებამ წაიღო, მაგრამ თოკი ფეხზე ჩამოეცვა და ასე მიაღწია ნაპირამდე.

პირველადი დახმარება გოგონას მეგობრებმა გაუწიეს. ერინ ლენგვორტი აცხადებს, რომ იგი სასწაულებრივად გადარჩა.

# ჯეინ ფონდამ გაამჟღავნა თავისი სილამაზის საიდუმლოება



ცნობილია, რომ ჯეინ ფონდა ჯანსაღი ცხოვრების წესის და აქტიური ფიზიკური ვარჯიშების თაყვანისმცემელია, მაგრამ ნუთუ ეს შეანარჩუნებინებდა 74 წლის ქალს სიცოცხლისმოყვარეობას და სიჯანსაღეს ზუსტად ისეთს, როგორიც 40 წლის წინ ჰქონდა?

ჯეინ ფონდა აღნიშნავს, რომ ყველაზე მთავარი ოპტიმისტური განწყობაა ცხოვრების მიმართ. ჯეინ ფონდა განიზიდავს ცუდ განწყობებსა და სიკვდილის შიშს და შეჰხარის ირგვლივ ყველაფერს.

მთავარია, გჯეროდეს საკუთარი თავის, რომ პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ისეთი მცირედი რამაა, კარგი განწყობით შეგიძლია უკან დაახევინო შიშს, რომელიც შენს შიგნითაა ჩაბუდებული, — ამბობს ჯეინ ფონდა.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!


# ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** — ოჯახური იდილია და სიმტკიცე დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად გჯერათ საკუთარი თავის, რამდენად გიყვართ საკუთარი პარტნიორი და რამდენად მომთმენი ხართ.


**კურო** — სრულიად დარწმუნებული იქნებით თქვენს გრძნობებში, შესაბამისად, რომანტიკული ურთიერთობებიც გელით. შესაძლოა, ზომიერების გრძნობამ გიღალატოთ.


**ტყუპები** — სასიყვარულო პარტნიორთან ურთიერთობა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ, თუმცა ოჯახის შექმნის სურვილი შეიძლება მშობლებთან დაპირისპირების მიზეზად იქცეს.


**კირჩხიბი** — ნაცნობებისა და საზოგადოებრივი კავშირის დახმარებით თქვენ ადვილად მიაღწევთ სასურველ შედეგს.


**ლომი** — შეიძლება ფარულ ინტრიგაში გაებათ. ხოლო თუ საქმიან პარტნიორებთან ითანამშრომლებთ და მათ რჩევებს გაითვალისწინებთ, ადვილად დაამარცხებთ თქვენს ფარულ მტრებს.


**ქალწული** — ამ კვირაში სიფრთხილე გმართებთ საჭესთან. ემოციურად გაუწონასწორებელი იქნებით, რის გამოც კრიტიკულ ვითარებაში არაადეკვატური რეაქცია გექნებათ.


**სასწორი** — სიფრთხილე გმართებთ სამართალდამცავ ორგანოებთან. კვირის ბოლოს თქვენ ოცნებებს მიეცემით და დაკარგავთ სინამდვილის აღქმის უნარს.


**მორიელი** — ამ კვირაში თავი შეიკავეთ კაპიტალდაბანდებებისა და სარისკო ქმედებებისგან. სასიყვარულო ურთიერთობებში სრულ ურთიერთგაგებასა და ჰარმონიას მიაღწევთ.


**მშვილდოსანი** — ფინანსური პრობლემების მოგვარებას მხოლოდ მეგობრების დახმარებით შეძლებთ.


**თხის რქა** — მოულოდნელად წარმოქმნილი დაბრკოლებების გამო იძულებული გახდებით დაგეგმილი მოგზაურობა სამომავლოდ გადადოთ. სასიყვარულო ურთიერთობებშიც შეიძლება, მეტოქე გამოგიჩნდეთ.


**მერწყული** — ყოველდღიური საქმეები დიდ დროს წაგართმევთ. არ ენდოთ კოლეგების შემოთავაზებას. სიმშვიდე და იდილია არც ოჯახში გელით.


**თევზები** — დიდ მნიშვნელობას მიანიჭებთ ბედის მინიშნებას. გაგიჩნდებათ ინტერესი ოკულტური ცოდნისადმი.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**
**სკანვორდი**

1.ბუდვაიზერი. 2. ხორხოცი. 3. ხანდაზმული. 4. ხვატარი. 5. ცეილონი. 6. ფლოტი. 7. გულბოყვი. 8. ვიდოვი. 9. ონჭო. 10. ანთრაციტი. 11. ყარაგანდა. 12. ანეკდოტი. 13. კრებული. 14. შორენა. 15. გარდიანი. 16. სულავესი. 17. შლაგერი. 18. ლურთი. 19. ოქტეადრი. 20. ყირამალა. 21. თეგი. 22. სელაპი. 23. დიოდი. 24. ქონდარი. 25. კუპრინი. 26. კრენდელი. 27. თემო. 28. ლაპი. 29. ყველიერი. 30. რიყე. 31. ლაგვანი. 32. ჟიული. 33. სუზი. 34. გალიერა. 35. სტუმპი. 36. პირიტი. 37. ზეჟანგი. 38. ზებროიდი. 39. დოლი. 40. კანბერა. 41. სმოლნი. 42. კეცტყავი. 43. პეპე. 44. სინტომიცინი. 45. ტყავი. 46. ანგარა. 47. ბაიათი. 48. ავგია. 49. მტლე. 50. მაგო. 51. ლაყბობა. 52. ბანალური. 53. ბუნიაობა. 54. გორდელი. 55. მილისა. 56. გვარნერი. 57. იავნანა. 58. ზიარი. 59. საქმე. 60. დარი. 61. ღუზა. 62. ელიშე. 63. ქიმია. 64. ოქრო. 65. ანაფორა. 66. მანიაკი.